ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 083 (12 458) 9 აპრილი ოთხშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა





## ტოპმიოლერი ლიონის კანდიდატიაო

მსოფლიო ფეხბურთი » 7-10

## ჩემსა და ჯოკოვიჩს შორის არაფერი ხდება

ინტერვიუ მარია შარაპოვასთან » 16

# ეს ხომ ნანახი გვაქვს

## პრემიერნახევარფინალი: ლივერპული vs ჩელსი





ფერნანდო ტორესი ერთ-ერთი საუკეთესო იყო

» 2

## დინამოს ზესტაფონში დასცხება

თასის ნახევარფინალი. პირველი მატჩი » 3





ეს წუთია ვანაძემ ანგარიში გაათანაბრა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ფინკე თანახმაა



გაცხრილული სია კვირის ბოლოს » 4

## საინტერესო უმუშევრები









სამწვრთნელო თემა » 5

## ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები



ბაბელის გარღვევა, რომელსაც მეოთხე გოლი მოჰყვა

### ლივერპული-არსენალი 4:2 (1:1)

ლივერპული: რეინა, ჰიიპია, ფაბიო აურელიო, კარაგერი, შკრტელი, ჩაბი ალონსო, ჯერარდი, მასკერანო, ფერნანდო ტორესი (88. რიისე), კრაუჩი (78. ბაბელი), კუიტი (90+2. აბრელოა).

არსენალი: ალმუნია, გალასი, კლიში, ებუე (72. ვან პერსი), სენდეროსი, კოლო ტურე, ფლამინი (42. ჟილბერტო სილვა), აბუ დიაბი (72. უოლკოტი), გლები, ფაბრეგასი, ადებაიორი.

გოლები: 0:1 აბუ დიაბი (13), 1:1 ჰიიპია (30), 2:1 ფერნანდო ტორესი (69), 2:2 ადებაიორი (84), 3:2 ჯერარდი (86-პენ), 4:2 ბაბელი (90)

მაყურებელი: 45 000

არბიტრი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: არსენალი**
**პირველი ჯარიმა: ლივერპული**
**პირველი კუთხური: არსენალი**
**პირველი გაფრთხილება: არსენალი**

| | | |
|---|---|---|
| 16(5) | **დარტყმა** | 10(4) |
| 11 | **ჯარიმა** | 7 |
| 5 | **კუთხური** | 2 |
| 0 | **გაფრთხილება** | 2 |
| 52% | **ბურთის ფლობა** | 48% |

## სტენოგრამა

#### I ტაიმი

2 - "არსენალის" სახიფათო საჯარიმო. ტურემ კედლიდან გამოვარდნილ ლივერპულელს გაარტყა ბურთი.

5 - "მეთოფეების" მწვავე შეტევა. გლებმა საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი, ადებაიორი მონახა, მაგრამ ეს უკანასკნელი მეორედ მოხვდა თამაშგარეში.

7 - ლონდონელებს გოლი აქვთ გასატანი და ეს მათი მონდომებიდანაც ჩანს.

12 - გოოოოოოოოლ!!!!! "ლივერპულმა" თითქოს მოიგერია "არსენალის" გრძელი და სახიფათო შეტევა, მაგრამ გლებმა უკნიდან ჩამორბენილ აბუ დიაბის გაუჭრა ბურთი. რეინამ მახვილი კუთხიდან დარტყმული ახლო კუთხეში გაუშვა.

16 - გააფრთხილეს ფილიპ სენდეროსი (მსაჯთან კამათისთვის).

19 - "არსენალს" აშკარა უპირატესობა აქვს. ბენიტესის შეგირდები გაშვებულმა გოლმაც ვერ გამოაფხიზლა.

21 - "არსენალს" საინტერესო შეტევა გამოუვიდა, მაგრამ ბოლო მომენტში ადებაიორმა ვერ მიუსწრო ბურთს.

23 - როგორც იქნა, "ლივერპულმაც" მიიყვანა საქმე დარტყმამდე. აურელიოს გასროლა არაზუსტია.

29 - აურელიომ ფლანგიდან ჩააწოდა, ბურთი რიკოშეტით მეკარის საჯარიმოში ეშვებოდა და ალმუნიამ კუთხურზე მოიგერია.

30 - გოოოოოოოოლ!!!!! ისევ ფრე. ჯერარდმა კუთხური მოაწოდა, ჰიიპია ყველაზე მაღლა ახტა და დაახლოებით 10 მეტრიდან თავით ცხრიანში გაუშვა ბურთი.

32 - "ლივერპულს" თამაში წაუვიდა. ჯერარდის გარღვევას და ჩაწოდებას ალმუნია ვერ შესწვდა, მაგრამ მასპინძელთა მხრიდან დამრტყმელი არავინაა.

36 - გუნდებმა ფლამინისა და ჯერარდის შესრულებით არაზუსტი დარტყმები გაცვალეს.

44 - ტურე სახიფათოდ ჩაერთო მარჯვენა ფლანგიდან, აურელიომ ფეხებში ვარდით ბურთი კუთხურზე მოიგერია.

#### II ტაიმი

47 - კრაუჩი საჯარიმოდან ურტყამს - არც ისე ძლიერად და ალმუნია კუთხეში აფიქსირებს ბურთს.



ბალაკმა ჩელსი დასაწყისშივე დააწინაურა

51 - ისევ "ლივერპულის" სახიფათო შეტევა. აურელიოს შორეული დარტყმა კრაუჩს მოხვდა და კინაღამ ალმუნიას კარის კუთხეში შევარდა.

54 - მეორე ტაიმის დასაწყისი, ისევე როგორც პირველის ბოლო, "ლივერპულისაა".

59 - გლების მონდომების წყალობით, "არსენალმა" ოდნავ ამოისუნთქა, თუმცა ბელარუსის დარტყმა რეინასთვის პრობლემას არ წარმოადგენდა.

62 - "არსენალის" ფლანგური შეტევა - ებუე შკრტელს გაექცა, მაგრამ ვერც კარში დაარტყა წესიერად და ვერც პასი გააკეთა.

69 - გოოოოოოოოლ!!!!! საჯარიმოში გრძელი პასი, კრაუჩი თავით უგდებს ბურთს ტორესს, რომელიც შემობრუნებით შორეულ ცხრიანში ულამაზეს გოლს იტანს.

74 - ადებაიორმა ასპროცენტიანი მომენტი გაუშვა ხელიდან. მეკარესთან მარტო დარჩენილმა ერთი შეხებით მოინდომა გოლის გატანა, მაგრამ ააცილა.

84 - გოოოოოოოოლ!!!!! უოლკოტმა ბურთით თითქმის მთელი მოედანი გაირბინა, საჯარიმოს ცენტრში ადებაიორი მონახა, მას კი არ გასჭირვებია ანგარიშის გათანაბრება.

86 - გოოოოოოოოლ!!!!! ტურემ საჯარიმოში ბაბელი წააქცია. პენალტი, რომელიც ჯერარდმა უნაკლოდ შეასრულა.

90+2 - გოოოოოოოოლ!!!!! "არსენალი" მთელი გუნდით წინ წავიდა და კონტრშეტევა გამოეპარა. ბაბელი საჯარიმოში შევარდა და წერტილი დაუსვა შეხვედრას.

90+4 - რიისემ კინაღამ ცენტრიდან გაიტანა და ამით დასრულდა ეს ბრწყინვალე მატჩი.

### ჩელსი-ფენერბაჰჩე 2:0 (1:2)

ჩელსი: კუდიჩინი (26. ილარიო), ე. კოული (88. მალუდა), ტერი, რიკარდო კარვალიო, ბალაკი, ჯ. კოული, ლემპარდი, ესიენი, მაკელელე, კალუ (61. ბელეტი), დროგბა.

ფენერბაჰჩე: ვოლკან დემირელი, ვედერსონი (90+1. ალი ბირჟინი), ლუგანო, გიოქჰან გენიული, ედუ დრასენა, ალექსი, მეჰმეთ აურელიო, მალდონადო (63. კეჟმანი), სემიჰ შენთურქი (78. უგურ ბორალი), ქაზიმ-რიჩარდსი, დეივიდი.

გოლები: 1:0 ბალაკი (4), 2:0 ლემპარდი (90)

მაყურებელი: 38 000

არბიტრი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ფენერბაჰჩე**
**პირველი ჯარიმა: ჩელსი**
**პირველი კუთხური: ჩელსი**
**პირველი გაფრთხილება: ჩელსი**

| | | |
|---|---|---|
| 15(9) | **დარტყმა** | 7(1) |
| 19 | **ჯარიმა** | 19 |
| 3 | **კუთხური** | 1 |
| 2 | **გაფრთხილება** | 0 |
| 51% | **ბურთის ფლობა** | 49% |

## სტენოგრამა

#### I ტაიმი

3 - "ფენერის" ჯარიმა. საჯარიმოში ჩაწოდებას კუდიჩინის კარში სუსტი დარტყმა მოჰყვა.

4 - გოოოოოოოოლ!!!!! ლემპარდმა ჯარიმიდან ჩააწოდა და ბალაკმა უშეცდომოდ დაარტყა!

6 - "ჩელსი" შტურმს აწყობს თურქების კართან.

10 - ბალაკის უძლიერესი დარტყმა ახლო კუთხეში - ვოლკანი მისწვდა ბურთს.

12 - "ფენერბაჰჩე" ნელ-ნელა გამოცოცხლდა. ქაზიმის ჩაწოდება ტერიმ გამოიტანა საჯარიმოდან.

21 - დროგბამ საჯარიმოს კუთხეში იოლად მოატყუა გიოქჰანი, შორეულ კუთხეში დაარტყა და "ფენერი" სასწაულებრივ გადაურჩა გოლს.

24 - კუდიჩინი მუხლზე იკიდებს ხელს, ბოლოს კი, გაზონზე წვება. იტალიელი მეკარე ტრავმირებულია, ტრიბუნაზე ზის პეტრ ჩეხი და თამაშის გაგრძელება პორტუგალიელ ილარიოს უწევს.

30 - თურქების კარგი შეტევა. ალექსი სემიჰს აწვდის, რასაც შორეულ კუთხეში დარტყმა მოსდევს. ბურთი კარს ასცდა.

32 - "ფენერბაჰჩეს" შეტევა. ალექსის ჩაწოდების შემდეგ თავით ლუგანო ურტყამდა. ურუგვაელმაც ააცილა.

34 - სტუმრები ინიციატივას დაეუფლნენ, "ჩელსი" კი, კონტრშეტევებზე გადავიდა. დროგბამ ჯო კოულის პასის შემდეგ დაარტყა, მაგრამ ისევ ვოლკანმა იმარჯვა.

40 - ისევ "ჩელსის" უსწრაფესი კონტრშეტევა. კალუმ თითქოს უზუსტესი პასი გაუკეთა ჯო კოულს, მაგრამ ინგლისელი ბურთს ვერ მისწვდა.

#### II ტაიმი

48 - დროგბა საჯარიმოში გაიხსნა და შემობრუნებით დაარტყა. ვოლკანს გაუმართლა, რადგან პირდაპირ ხელებში მიუვიდა ბურთი.

54 - "ჩელსის" ბრწყინვალე კონტრშეტევა. ჯო კოულმა მოძრაობაში მიიღო ბურთი და კალუს გადააწოდა. კოტდივუარელი ვოლკანთან პირისპირ დარჩა, მოატყუა მეკარე, მაგრამ დაზღვევაზე ლუგანომ ივარგა.

69 - დროგბამ ისევ მოუგო დუელი გიოქჰანს და მაშინვე კარისკენ გაისროლა. ვოლკანი ადგილზე დახვდა ბურთს.

74 - კუთხურის შემდეგ ბურთი რიკარდო კარვალიოს მიუვიდა, მაგრამ მისი ძლიერი დარტყმა კარს ზემოდან გადასცდა.

79 - მორიგი სტანდარტი "ჩელსის" კართან, რასაც საჯარიმოში არეულობა მოჰყვა. იქვე ლონდონელებმა სახიფათო კონტრშეტევა წამოიწყეს და ვოლკანმა წამით დაასწრო ჯო კოულს, რითაც "ფენერბაჰჩეს" შანსი შეუნარჩუნა.

81 - დროგბას ბრწყინვალე დარტყმა - ვოლკანი დიდი გაჭირვებით იგერიებს.

83 - დროგბას პასის შემდეგ, ჯო კოული ბურთის ნაცვლად თავად შევარდა კარში.

85 - უგურმა ლამაზი ფინტით მოატყუა ბელეტი, შორეულ კუთხესთან ჩააწოდა, სადაც დეივიდმა აჯობა ყველას, მაგრამ მისი თავური ილარიომ სასწაულებრივი ნახტომით მოიგერია. იქვე, "ფენერმა" შორეული დარტყმა მოაყოლა და ლამაზ ნახტომში პორტუგალიელმა აქაც იმარჯვა.

86 - ლემპარდი ჯო კოულის პასით საჯარიმოდან ურტყამდა, მაგრამ მცველს მოახვედრა.

89 - ესიენმა უაზრო გაფრთხილება მიიღო და პირველ ნახევარფინალს გამოტოვებს.

90 - გოოოოოოოოლ!!!!! ბრწყინვალედ ითამაშა ესიენმა. მარჯვენა ფლანგზე ორი მეურვე მოატყუა და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ლემპარდმა ახლო მანძილიდან გაიტანა!

90+1 - რიკარდო კარვალიო მოედნის ცენტრში დაჯარიმდა და ყვითელი მიიღო.

90+2 - ესიენმა გოლი გაიტანა, ოღონდ მას შემდეგ, რაც მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა.

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ზაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

# სერიალი გრძელდება

**დინამო-ზესტაფონი**

**1:1**

8.04. თბილისი. ეროვნული
2000 მაყურებელი

0:1 ბ. გოცირიძე (51. კვასხვაძის პასით), 1:1 ვანაძე (65. სპასოევიჩის პასით)

დინამო: ოვონო - შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, გველესიანი - ოდიკაძე (58. სპასოევიჩი), ხმალაძე, დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი - ხუციშვილი (79. აკირემი) - ვანაძე

*სათადარიგოები: ლორია, დობეში, ნერგაძე, გ. კაშია, თომაშვილი*

ზესტაფონი: ჭანტურია - ლობჟანიძე (83. იონანიძე), საჯაია, თოდუა, აკუასაგა - ნ. კვასხვაძე (66. ბიტოო), კესანი, ხიდეშელი, რ. ონიანი, ვიეირა (81. დაუშვილი) - ბ. გოცირიძე

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, შ. ლონლაძე, ჟონატასი, გელაშვილი*

გაფრთხილება: ვიეირა (10), ხიდეშელი (52), ლობჟანიძე (62), ხიდეშელი (90)

გაძევება: კრშკო (56), ხიდეშელი (90)

არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)

**4.** კვასხვაძის სახიფათო გადაცემა "დინამოს" მცველებმა მოიგერიეს.

**12.** ვანაძის შორეულ დარტყმას ჭანტურია უპრობლემოდ გაუმკლავდა.

**33.** კვასხვაძის დარტყმული ბურთი "დინამოს" კარის ძელს მოხვდა.

**36.** ვიეირა მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მასპინძლები ოვონომ გადაარჩინა.

**51.** 0:1 - კესანის წამოწყებული კომბინაცია კვასხვაძემ სოლო-რეიდითა და მეტოქის საჯარიმოში გამჭოლი გადაცემით გააგრძელა, საბოლოო დარტყმა კი ბექა გოცირიძემ შეასრულა.

**56.** გოცირიძის წაქცევისათვის კრშკო მოედნიდან გააძევეს.

**58.** გველესიანი შეუჩერებლად ურტყამს - ბურთი მცირე მანძილით ასცდა ჭანტურიას კარს.

**59.** "დინამო" მეორე გოლს გადაურჩა - ვიეირა მარცხნიდან უტევდა, მაგრამ ბურთი მიზანს ააცილა.

**60.** ხუციშვილის ლამაზი რეიდი არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

**65.** 1:1 - დილმელაშვილი-სპასოევიჩის კომბინაცია ახლო მანძილიდან მათე ვანაძემ ზუსტი დარტყმით დაასრულა.

**73.** ვიეირა შორიდან ცდილობდა წინგამოსული ოვონოსთვის ბურთის გადატარებას - დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

**80.** გოცირიძე მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ოვონომ თავისი გუნდი გადაარჩინა.

**88.** იონანიძის რეიდი შორეული დარტყმით დასრულდა - ბურთი მცირე მანძილით ასცდა "დინამოს" კარს.

**90+3.** იონანიძემ ეფექტურად დაარტყა, მაგრამ ოვონომ არანაკლებ ჩინებულად ითამაშა და ლამაზ ნახტომში ბურთი კუთხურზე მოიგერია.



სახიფათო მომენტი ზესტაფონის კართან

მსაჯის მიერ დამატებული დრო იწურებოდა, **ზურაბ იონანიძემ** შორეული დარტყმით ბურთი მასპინძელთა კარის "ცხრიანისკენ" რომ გაგზავნა. ერთი შეხედვით, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ **დიდიე ოვონომ** ითამაშა კარგად და საკუთარი გუნდი გადაარჩინა. სანამ სტუმრები და მსაჯი იმას არკვევდნენ, თუ რომელი ფლანგიდან უნდა ჩამოწოდებულიყო კუთხური, **ლაშა სილაგავამ** თამაშიც დაამთავრა. ჰოდა, სტუმართა უკმაყოფილება მაშინ უნდა გენახათ - მათი აზრით, მსაჯმა დროზე ადრე დაამთავრა თამაში. თუმცა "ზესტაფონს" მსაჯთან კი არ უნდა ჰქონოდა სასაყვედურო, არამედ საგოლე მომენტების რეალიზებაზე უნდა ეფიქრა. თავის მხრივ, ალბათ, მასპინძლებს ექნებოდათ მსაჯთან საპრეტენზიო. განსაკუთრებით საკამათო კი 56-ე წუთზე მომხდარი ეპიზოდი იყო, როცა **მილოშ კრშკომ** აკრძალული ხერხით **ბექა გოცირიძე** შეაჩერა და მსაჯისგან წითელი ბარათიც მიიღო. ტრიბუნაზე მსხდომთა აზრი ორად გაიყო: ნაწილი თვლიდა, რომ "უკანასკნელი იმედის" ჯარიმა იყო და სასჯელიც ობიექტური გახლდათ; მეორე ნაწილის აზრით კი, მსაჯის გადაწყვეტილება მეტისმეტად მკაცრი იყო და ყვითელი ბარათითაც შეეძლო დაკმაყოფილება. ასეა თუ ისე, სტუმრებმა რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვეს, თანაც უკვე ანგარიშშიც წინ იყვნენ და, წესითა და რიგით, საქმე გამარჯვებამდე უნდა მიეყვანათ. საბოლოოდ ყველაფერი ისე მოხდა, რომ წყვილში ფინალისტის ვინაობას განმეორებითი მატჩი გაარკვევს. ჰოდა, მაშინ გავიგებთ, შეძლებს თუ არა "დინამო" უსიამოვნო ტრადიციის დარღვევას - თასის წინა ორ გათამაშებაში ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ხომ სწორედ "ზესტაფონთან" მარცხდებოდა...

მატჩის საწყისი წუთები და, საერთოდ, პირველი ტაიმი ვერაფერი სანახავი გამოდგა. ნათლად ჩანდა, რომ **დუშან უჰრინსაც** და **თემურ მახარაძესაც** ერთმანეთი კარგად ჰყავდათ შესწავლილი - ორივე მწვრთნელმა იდენტური (4-5-1) განლაგება ამჯობინა. სათასო სპეციფიკიდან გამომდინარე, წესითა და რიგით, მასპინძლებს აქტიური თამაში მართებდათ, რათა განმეორებითი შეხვედრის წინ გარკვეული უპირატესობა მოეპოვებინათ. თუმცა მოედანზე სიტუაცია აშკარად საპირისპირო ხასიათის იყო - "ზესტაფონის" ნახევარმცველებმა მეტოქეს მოედნის ცენტრი "წაართვეს", ფლანგებზე **ნიკა კვასხვაძე** და **ვიეირა** აქტიურობდნენ, შეტევის წინა ხაზზე კი ბექა გოცირიძე გაუთავებელი მანევრებით მუდამ ყურადღების ცენტრში იყო. მოკლედ, პირველ ტაიმში სტუმრები აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ და ორი მეტად სახიფათო მომენტიც შექმნეს "დინამოს" კართან. პირველ ეპიზოდში ნიკა კვასხვაძის დარტყმა ძელს მოხვდა, მეორე შემთხვევაში კი "დინამო" დიდიე ოვონომ გადაარჩინა. "დინამოს" პასიურობის მიზეზი, ალბათ, ლიდერების ინერტული თამაშითაც იყო განპირობებული - **მიხეილ ხუციშვილი** მეორე ტაიმში, ასე თუ ისე, ცოტა გააქტიურდა. აი, **გიორგი მერებაშვილისგან** კი აშკარად მეტს მოველოდით.

სამაგიეროდ, ჩინებულად გამოიყურებოდა სტუმართა "საყრდენი" **პოლ კესანი** - მოედნის ცენტრის ბატონ-პატრონი რომ იყო გუშინ. სწორედ მის მიერ წამოწყებულ კომბინაციას მოჰყვა კიდეც სტუმართა გოლი, რომელშიც ლომის წვლილი რეაქტიულმა ნიკა კვასხვაძემა შეიტანა. ალბათ, ისიც სიმბოლური იყო, რომ გოლი ბექა გოცირიძემ გაიტანა - ამ ახალგაზრდა ფორვარდმა თავისი აქტიური თამაშით ეს პატივი ნამდვილად დაიმსახურა. ამის მერე იყო **მილოშ კრშკოს** გაძევება და ვიეირას გაცუდებული მომენტი, პლუს კვასხვაძისა და ვიეირას შეცვლა, რითაც... ყველაზე კარგად "დინამომ" ისარგებლა. ამ ორი აქტიური ფლანგელების მოედნიდან გასვლის მერე სტუმართა თამაშს სიმწვავე მოაკლდა, სამაგიეროდ "დინამომ" მოუმატა ტემპს და საპასუხო გოლიც სადღაც, ლოგიკურად გამოიყურებოდა - **დავით დილმელაშვილმა** შორეული, დიაგონალური პასით გარღვევაზე **ილია სპასოევიჩი** გაიყვანა. ამ უკანასკნელმა ძალისმიერ ბრძოლაში **ერნესტ აკუასაგას** აჯობა და საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გააკეთა, სადაც ყველას ახალგაზრდა **მათე ვანაძემ** დაასწრო. ამით ყველაფერი არ დასრულებულა, მაგრამ სახიფათო მომენტები მხოლოდ მასპინძელთა კართან იქმნებოდა და იმას, რომ "ზესტაფონმა" პირველივე მატჩში ვერ გაინაღდა ფინალის საგზური, დიდიე ოვონოს ფაქტორი შეიძლება ვუწოდოთ. "დინამოს" მეკარემ ჯერ ბექა გოცირიძეს არ დაანება გოლის გატანა, მერე კი - შეცვლაზე ჩინებულად შემოსულ ზურაბ იონანიძეს.

მატჩის ბოლოს რაც მოხდა, ამაზე ზემოთ ვისაუბრეთ...

**მატჩის შემდეგ**

**თემურ მახარაძე ("ზესტაფონი"):** *"სათასო სპეციფიკიდან გამომდინარე, ვიცოდით, რომ რთული და ემოციური შეხვედრა იქნებოდა. სამწუხაროა, რომ უპირატესობა ბოლომდე ვერ შევინარჩუნეთ. ახლა ყველაფერი ზესტაფონში გადაწყდება. რაც შეეხება შეცვლებს, კვასხვაძე დაილალა, ხოლო ვიეირას ყვითელი ბარათი ჰქონდა მიღებული და გართულებას მოვერიდეთ. რაც შეეხება იონანიძეს, არ ვთვლი, რომ მისი შემოყვანა დავაგვიანეთ - ახლახან მძიმე ტრავმა მიიღო და ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ არის".*

**დუშან უჰრინი ("დინამო"):** *"ვეთანხმები კოლეგას, რომ ყველაფერს განმეორებითი მატჩი გადაწყვეტს. ისე, მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ და საბოლოო შედეგიც ლოგიკური იყო".*

**ზურაბ იონანიძე (ზესტაფონი):** *"თამაში საკმაოდ საინტერესო და ძაბული გამოდგა. ფინალში გამსვლელის ვინაობა ზესტაფონში გაირკვევა. ვფიქრობ, თბილისური ფრის შემდეგ, ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ვართ. შანსები, ვფიქრობ, 60/40-ზეა ჩვენს სასარგებლოდ. თუმცა ეს დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს. ამჯერად, თასი ჩვენ უნდა დაგვრჩეს".*

**ნიკა კვასხვაძე (ზესტაფონი):** *"დაძაბული თამაში იყო. ორივე გუნდს ჰქონდა საგოლე მომენტები. მართალია, თავდაპირველად "დინამო" დარჩა რიცხობრივ უმცირესობაში, მაგრამ მაინც აგრესიულად გვიტევდა. ყველაფერი საპასუხო მატჩში გადაწყდება".*

**სევასტი თოდუა (ზესტაფონი):** *"დღევანდელი ფრის მიუხედავად, შანსებს თანაბრად გავანაწილებდი. რაც შეეხება თამაშს, სიმართლე რომ ვთქვათ, "დინამოს" ვაჯობეთ და ეს თამაში უნდა მოგვეგო... რატომ ვერ მოვიგეთ? "დინამო" ნაგებისგან მეკარე ოვონომ გადაარჩინა. მეტოქე გუნდში ის საუკეთესო იყო.*

**გია ტუხაშვილი**

**დღეს მეორე ნახევარფინალია**

**16:00 ამერი-ბორჯომი**



იმერელთაგან ნიკა კვასხვაძე ერთ-ერთი გამორჩეული იყო

ალექსანდრე კოტორაშვილი ფოტოები



დავით დილმელაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილი ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფინკე საქართველოზე თანახმაა, ამბობებენ გერმანელები

## ფინკე გაფილტრულ სიაში ვერ მოხვდება, ამბობენ ქართველები



ფოლკერ ფინკე

რუსულმა "სპორტ-ექსპრესმა" გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი თითქმის დანიშნული ყოფილა და არ გვცოდნია.

"გერმანელმა სპეციალისტმა ფოლკერ ფინკემ, შესაძლოა, საქართველოს ნაკრები ჩაიბაროს - იუწყება "სპორტ-ექსპრესი", - გერმანული მასმედიის ინფორმაციით, ფინკე უკვე შეხვდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას და ნაკრების ჩაბარებაზე პრინციპული თანხმობაც განაცხადა".

2007 წლის მაისამდე ის "ფრაიბურგში" მუშაობდა და ბოლო წლების რეკორდი დაამყარა - ერთსა და იმავე გუნდში 16 წელიწადი ერთ მწვრთნელს სხვაგან არსად უმუშავია.

სხვათაშორის, "ფრაიბურგიდან" წამოსვლის შემდეგ ფინკეს "ბაზელის", ზალცბურგის "რედ ბულისა" და ესტონეთის ნაკრების ჩაბარებას სთავაზობდნენ. ეს ინფორმაციები ბოლო ერთი წელიწადია ვრცელდება. ოტმარ ჰიტცფელდამდე "ბილდი" იუწყებოდა, რომ მიუნხენის "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელობის კანდიდატიც კი იყო, რადგან მიუნხენელთა გენერალურ მენეჯერ ული ჰიონესთან მეგობრობდა.

ფინკეს კანდიდატურა პერმანენტულად ამოტივტივდებოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სიებში. ასე მოხდა 2003 წელსაც, როდესაც საქართველოში ალენ ჟირესის მოწვევა ამჯობინეს და 2006 წელს, როდესაც ფედერაციამ არჩევანი კლაუს ტოპმიოლერზე შეაჩერა.

ამბობენ, მესამე და სამართალიო, მაგრამ ფინკეს სასარგებლოდ საქმეს პირი ამჯერადაც არ უჩანს.

რუსულ-გერმანული ინფორმაციის კომენტარი ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რეზო არველაძეს ვთხოვეთ.

**- მართალია, თითქოს, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები ფოლკერ ფინკეს შეხვდით და მისგან ნაკრების ჩაბარებაზე თანხმობა მიიღეთ?**

- ფინკეს ნამდვილად არ შეხვედრია ფედერაციის ხელმძღვანელობა..

**- ანუ, მისი კანდიდატურა რეალურად არც განიხილება?**

- როდესაც კანდიდატურების ჩამოთვლა დავიწყეთ, ბუნებრივია, ფინკეს გვარიც დასახელდა. გეტყვით, რომ არ არსებობს კანდიდატების მითიური ფურცელი, ამ კვირის ბოლოს გაფილტრული სია გვექნება.

**- ამ სიაში ფინკე მოხვდება?**

- არ ვიცი, ვერ გეტყვით. ეჭვი მაქვს, რომ ვერ მოხვდება. ფედერაციას ახლა რთული გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. ამ არჩევანმა უნდა გაამართლოს. წინასწარ ვერაფერს გათვლი. ტოპმიოლერზე კარგი სახელი ბევრს არ აქვს და ყველამ ვნახეთ, რა შედეგიც მივიღეთ.

ფაქტია, რომ საქართველოს ნაკრებს მკაცრი მწვრთნელი სჭირდება, რომელიც გუნდს დაალაგებს, თუმცა დიქტატორსაც არ ვეძებთ.

**- ჯერ არცერთ მწვრთნელთან არ გისაუბრიათ?**

- ფედერაციის ხელმძღვანელობა ვილაც-ვილაცებს შეხვდა, რამდენიმე მწვრთნელთან მოლაპარაკება დაწყებულია, მაგრამ ჯერ კონკრეტული არაფერია და მათ დასახელებას ახლა აზრი არ აქვს.

**- გაფილტრულ სიაში რამდენი კანდიდატი მოხვდება?**

- ალბათ სამიდან ხუთამდე.

**- პირადად თქვენი ფავორიტი რომელი კანდიდატია?**

- ამას არც ვმალავ, რომ ვან გაალის ან ოლსენის დანიშვნა უფრო სასურველი და იქნებოდა.

**- ისინი გაფილტრულ სიაში მოხვდებიან?**

- ამაზე ერთად უნდა ვიმსჯელოთ ფედერაციის ხელმძღვანელებმა და მერე გეტყვით. ჯერ ნაადრევია საუბარი. შეიძლება არც მოხვდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ვან გაალი ალქმაარს მხოლოდ ნაკრების გამო დატოვებს



ლუის ვან გაალი

ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატად ჰოლანდიელი **ლუის ვან გაალი** განიხილება, თუმცა ისიც ითქვა, რომ მას "ალკმაართან" მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს. აქამდე სხვადასხვა ვერსია ვრცელდებოდა ამ კონტრაქტთან დაკავშირებით. სწორედ ამ კითხვას პასუხობს გუშინ ვებგვერდ "ევრო ფუტბოლზე" გამოქვეყნებული ინტერვიუ ჰოლანდიელ სპეციალისტთან.

*"ალკმაართან" 2010 წლს ბოლომდე მაკავშირებს კონტრაქტი. თუმცა ხელშეკრულებაში ერთი პუნქტია ჩადებული, რომლის მიხედვითაც კონტრაქტის გაწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში შემიძლია, თუ რომელიმე ქვეყნის ეროვნული ნაკრების თავკაცობას შემომთავაზებენ და ეს წინადადება ჩემთვისაც მისაღები იქნება"*, - აცხადებს ვან გაალი.

როგორც ხედავთ, ვან გაალთან მოლაპარაკების წამოწყება სულაც არაა არარეალური. ამ ინტერვიუში ვან გაალი შოთა არველაძესაც ახსენებს. მას ეკითხებიან, თუ რით ახსნის მიმდინარე სეზონში "ალკმაარის" არცთუ სახარბიელო ასპარეზობას, რაზეც ის პასუხობს:

*"ჩვენ ისეთმა მაღალი კლასის ფორვარდებმა დაგვტოვეს, როგორებიც არველაძე და კოვერმანსი არიან. ორივე ფეხბურთელი ჩვენს გუნდში საკვანძო ფიგურა იყო და მათი სრულფასოვნად შეცვლა გაგვიჭირდა."*

**დავით ცაბაძე**

ცნობები აღმოსავლეთიდან

# ივანკოვიჩი კარგია, მაგრამ ძვირია



ბრანკო ივანკოვიჩი

**საქართველოს ნაკრების შესაძლო მწვრთნელად ხორვატი ბრანკო ივანკოვიჩიც მოიაზრება, ვინც ირანის ეროვნული გუნდი გერმანია 2006-ზე გაიყვანა და ათამაშა. ჰოდა, რადგან ივანკოვიჩი ჩვენთვის საინტერესო შეიქნა, ირანში მოთამაშე ქართველ ლეგიონერს შევეხმიანეთ - ისპაჰანის "სეპაჰანის" მცველი ჯაბა მუჯირი ივანკოვიჩის ყოფილი შეგირდების თანაგუნდელია.**

- ივანკოვიჩზე არც ირანელი გულშემატკივრებისგან და არც ფეხბურთელებისგან აუგი არ გამიგია. ამ სპეციალისტის კვალიფიკაციაზე ირანის ნაკრების უწინდელი შედეგებიც მეტყველებს - მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა ცოტას არ ნიშნავს.

**- მაშინ რატომღა გაუშვეს ის ირანის ნაკრებიდან?**

- ეს თვითონ ივანკოვიჩის სურვილი იყო, თორემ ის არავის გაუშვია.

**- მუნდიალის შემდეგ ივანკოვიჩის გადაბირება "სეპაჰანსაც" უნდოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა - რატომ?**

- მუნდიალის შემდეგ ივანკოვიჩის ფასმა მკვეთრად აიწია და "სეპაჰანი" და მწვრთნელი პირობებზე ვერ შეთანხმდნენ. ამის მერე ჩვენთან ასევე ხორვატი ლუკა ბონაჩიჩი მოიწვიეს და შარშან მნიშვნელოვან წარმატებებსაც მივაღწიეთ - მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში ვითამაშეთ.

**- "სეპაჰანიდან" ბონაჩიჩის წასვლის შემდეგაც იყო ლაპრაკი ივანკოვიჩის მიწვევაზე......**

- კი, მაგრამ ყოველივე იმავე მიზეზით ჩაიშალა - ივანკოვიჩმა სერიოზული ხელფასი მოითხოვა და...

**- მაინც როგორ ახასიათებენ მას "სეპაჰანში" მოთამაშე ირანის ნაკრების ფეხბურთელები?**

- კარგი მწვრთნელი და ასეთივე ადამიანიაო, კონფლიქტური სულაც არ არისო.

**- "სეპაჰანი" ახლა ირანის ჩემპიონატის ლიდერია, შენ კი ბოლო მატჩებში არ ჩანხარ...**

- როცა ბონაჩიჩის შემდეგ მწვრთნელად ბრაზილიელი ვიეირა დაგვინიშნეს, ტრავმა მქონდა, ახლა კი ჯანზე ვარ და ძირითადში ადგილი ხელახლა უნდა მოვიპოვო.

**დავით თავართქილაძე**

# იყო ხუთი, დარჩა ოთხი

## ამხანაგური შეთავაზება ლათინოსებსა და სკანდინავიელებს

უმთავარმწვრთნელოდ დარჩენილ საქართველოს ეროვნულ გუნდს 27 და 31 მაისს შესაბამისად ესტონეთთან და პორტუგალიასთან აქვს ამხანაგური მატჩები. ამ შეხვედრებისთვის საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი უკვე ეყოლება და ფეხბურთის ფედერაცია ცდილობს, ივნისის დასაწყისისთვის კიდევ ერთი ამხანაგური თამაში გაუჩარხოს ნაკრებს. რაც უფრო მეტ მატჩს გამართავს გუნდი შესარჩევის დაწყებამდე, მით უფრო მეტ ინფორმაციას შეაგროვებს ნაკრების ახალი თავკაცი.

შევიტყვეთ, რომ ფეხბურთის ფედერაცია ოთხ ქვეყანასთან აწარმოებს მოლაპარაკებას, სავარაუდოდ, 5 ივნისს გასამართი ამხანაგური მატჩისთვის — ჩილე, პარაგვაი, ნორვეგია და დანია.

თუ რომელიმე ვარიანტი გამოვა, შეხვედრა აუცილებლად თბილისში გაიმართება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შოტლანდიის ნაკრებსაც შესთავაზა ივნისის დასაწყისში თბილისში ჩამოსვლა, მაგრამ სქოთებისგან უარი მიიღო.

**დავით თავართქილაძე**

# საინტერესო უმუშევრები



ჟაკ სანტინი



დევიდ ოლირი



მარტინ იოლი

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მთავარმწვრთნელობის რამდენიმე კანდიდატი უკვე გამოიკვეთა. ფედერაცია საბოლოო გადაწყვეტილებამდე ჯერ არ მისულა და არც ისაა გამორიცხული, აქამდე გამოცხადებულ სიას კიდევ დაემატოს ვინმე. მოდით, სფფ-ის მიერ ნახსენებ სპეციალისტთა გარდა, იმ სხვა ცნობილ მწვრთნელებსაც გადავავლოთ თვალი, რომლებიც დღეისათვის უმუშევრები არიან. ამათ შორის ჟოზე მოურინიო და კიდევ რამდენიმე სუპერმწვრთნელიცა, მაგრამ სჯობს, რეალისტები ვიყოთ.

**კლაუს აუგენტალერი** *(გერმანია, 50 წლის)* – წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი ბოლოს "ვოლფსბურგში" მუშაობდა, მანამდე კი "ბაიერში", "ნიურნბერგსა" და "ბაიერნის" ახალგაზრდულ გუნდებში მოღვაწეობდა.

**იუპ ჰაინკესი** *(გერმანია, 62 წლის)* – "ბაიერნი", "რეალი", "შალკე", "გლადბახი", "ბილბაო", "აინტრახტი", "ბენფიკა", "ტენერიფე" – ეს ჰაინკესის მიერ გაწვრთნილი კლუბების არასრული ჩამონათვალია. 1998 წელს მადრიდის "რეალთან" ერთად მან ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ნელინადზე მეტია, რაც უმუშევარია, ბოლოს "გლადბახს" წვრთნიდა.

**იურგენ რიობერი** *(გერმანია, 54 წლის)* – ყველაზე დიდ წარმატებას ბერლინის "ჰერტასთან" ერთად მიაღწია, რომელიც მეორე ბუნდესლიგიდან პირველში ამოიყვანა და ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა. შარშან ამ დროს "დორტმუნდიდან" დაითხოვეს.

**ბრიუს არენა** *(აშშ, 56 წლის)* – ევროპული გამოცდილება არ აქვს, სამაგიეროდ, თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს 8 წლის განმავლობაში წვრთნიდა. 2002 წლის მუნდიალზე მისი ხელმძღვანელობით ამერიკელებმა მეოთხედფინალსაც უწიეს.

**დევიდ ოლირი** *(ირლანდია, 49 წლის)* – მისი კარიერის საუკეთესო პერიოდი "ლიდსს" უკავშირდება, როცა ოლირის გუნდმა ლაღი და შემტევი სტილით ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გააღწია. ირანდიელი ბოლოს "ასტონ ვილას" წვრთნიდა.

**დინო ძოფი** *(იტალია, 66 წლის)* – ლეგენდარული იტალიელი მეკარე ბოლოს "ფიორენტინაში" მოღვაწეობდა, მანამდე კი წლების განმავლობაში "ლაციოს" თავკაცი იყო. იტალიის ეროვნულ ნაკრებს ძოფი ევრო-2000-ზე წვრთნიდა. მაშინ "სკუადრა აძურა" უჩვეულოდ სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა და კონტინენტის ჩემპიონობამდე სულ ცოტა დააკლდა. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ შესაძლოა, ძოფმა მწვრთნელობა აღარც ისურვოს.

**ალბერტო მალეზანი** *(იტალია, 53 წლის)* – გამოცდილ იტალიელს სხვადასხვა დროს "პარმა", "ფიორენტინა", "კიევო", "ვერონა", "უდინეზე" და "პანათინაიკოსი" გაუწვრთნია. სულ ახლახან, მან **ლევან მჭედლიძის** "ემპოლი" დატოვა.

**ალბერტო ძაკერონი** *(იტალია, 55 წლის)* "უდინეზეში" მწვრთნელობით გაითქვა სახელი, მერე კი "მილანს" მოაპოვებინა სკუდეტო.

**მარტინ იოლი** *(ჰოლანდია, 52 წლის)* – ბოლო სამი წელიწადი "ტოტენჰემს" წვრთნიდა და არცთუ წარუმატებლად. "დეზები" სისტემატურად ხვდებოდნენ უეფას თასის ზონაში. სამშობლოში იოლი "როდასა" და "ვაალვიკში" მუშაობდა.

**ხოსე ანტონიო კამაჩო** *(ესპანეთი, 52 წლის)* – სანაკრებო გამოცდილებაც აქვს და საკლუბოც. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანელებმა მისი ხელმძღვანელობით მეოთხედფინალამდე მიაღწიეს. კამაჩო მადრიდის "რეალიდან" ორ თვეში დაითხოვეს, სამაგიეროდ, ლისაბონის "ბენფიკა" პორტუგალიის ჩემპიონი გახადა.

**ილია პეტკოვიჩი** *(სერბეთი, 62 წლის)* – ბოლო მუნდიალზე სერბეთის ნაკრებს იგი წვრთნიდა. სერბებმა ჯგუფში სამივე თამაში წააგეს.

**კურტ იარა** *(ავსტრია, 57 წლის)* – საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს. სამშობლოს გარდა, საბერძნეთში, შვეიცარიასა და გერმანიაში უმუშავია. გერმანიაში იგი "ჰამბურგსა" და "კაიზერსლაუტერნს" ედგა სათავეში.

**ლასლო ბოლონი** *(რუმინეთი, 55 წლის)* – ცნობილი რუმინელი მწვრთნელი თავის დროზე თავისი ქვეყნის ნაკრებშიც მოღვაწეობდა, უცხოური კლუბებიდან კი 'სპორტინგი", "მონაკო" და "რენი" გაუწვრთნია.

**ჟაკ სანტინი** *(საფრანგეთი, 55 წლის)* – მისი ხელმძღვანელობით "ლიონი" არაერთხელ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი, საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს სანტინი ევრო-2004-ზე ხელმძღვანელობდა (მეოთხედფინალი). ამას "ტოტენჰემში" წარუმატებელი მოღვაწეობა მოჰყვა.

**ბორა მილუტინოვიჩი** *(სერბეთი, 63 წლის)* – სახელგანთქმულ სერბ სპეციალისტს მუნდიალზე არაერთი ნაკრები გაუყვანია. ბოლოს იგი იამაიკის ეროვნულ გუნდს წვრთნიდა.

**დიდიე დეშამი** *(საფრანგეთი, 39 წლის)* – საფრანგეთის ნაკრების ყოფილ კაპიტანს თავის ხანმოკლე სამწვრთნელო კარიერაში უკვე საკმაო მიღწევები აქვს. 2004 წელს დეშამმა "მონაკო" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, შარშან კი "იუვენტუსი" სერია B-დან A-ში აიყვანა.

**კო ადრიაანსე** *(ჰოლანდია, 60 წლის)* – უდიდესი გამოცდილების მქონე ადრიაანსე თავის დროზე **შოთა არველაძის** მწვრთნელიც იყო "აიაქსში". დიდი წვლილი მიუძღვის "ალკმაარის" აღმასვლაშიც. სანამ ამ გუნდში ვან გაალი მივიდოდა, მანამდე ადრიაანსემ დააბრუნდა ლიდერებში და უეფას თასის ნახევარფინალამდეც მიიყვანა. მას "პორტუში", "ზალცბურგსა" და დონეცკის "მეტალურგშიც" უმუშავია.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ბორა მილუტინოვიჩი



კო ადრიაანსე

მეტოქე. ირლანდია

# ტრაპატონის ორმოცეული

**მაისში** ირლანდიის ნაკრები პორტუგალიაში გაივლის შეკრებას. ამის შემდეგ **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდი ამხანაგურ მატჩებს სერბეთისა და კოლუმბიის ეროვნული გუნდების წინააღმდეგ ჩაატარებს. პორტუგალიაში მხცოვანი იტალიელი 40 ფეხბურთელს იახლებს, საიდანაც ზემოთ ხსენებული საკონტროლო შეხვედრებისთვის 28 მოთამაშეს შეარჩევს.

ტრაპატონის ორმოცეული ასეთია:

მეკარეები: **შეი გივენი** (ნიუკასლი), **უეინ ჰენდერსონი** (პრესტონი), **პადი კენი** (შეფილდ იუნ.), **დარენ რენდოლფი** (ჩარლტონი), **კოლინ დოილი** (ბირმინგემი), **ჯო მერფი** (სკანთორპი).

მცველები: **სტივენ კელი** (ბირმინგემი), **ჯონ ოში** (მანჩესტერი), **რიჩარდ დანი** (მანჩესტერ სიტი), **კევინ კილბეინი** (უიგანი), **ჯო ობრაიენი** (ბოლტონი), **პოლ მაკშეინი** (სანდერლენდი), **კევინ ფოლი** (ვულვერჰემპტონი), **დარენ ოდი** (სელტიკი).

ნახევარმცველები: **სტივენ რიდი** (ბლექბერნი), **ლაიამ მილერი** (სანდერლენდი), **სტივენ აირლენდი** (მანჩესტერ სიტი), **დემიენ დაფი** (ნიუკასლი), **აიდენ მაკგიდი** (სელტიკი), **ენდი რიდი** (სანდერლენდი), **ლი კარსლი** (ევერტონი), **დარენ გიბსონი** (ვულვერჰემპტონი), **სტივენ ჰანტი** (რედინგი), **დარენ პოტერი** (ვულვერჰემპტონი), **ოუენ ჰარვანი** (იფსვიჩი), **ვეს ჰულეჰენი** (ბლექპული), **სტივენ მაკფეილი** (კარდიფი), **მარტინ როულენდსი** (ქუინზ პარკი), **გლენ ვილენი** (სტოკი).

თავდამსხმელები: **რობი კინი** (ტოტენჰემი), **სტივენ ელიოტი** (ვულვერჰემპტონი), **კევინ დოილი** (რედინგი), **კლინტონ მორისონი** (კრისტალ პალასი), **შეინ ლონგი** (რედინგი), **ენდი კიუ** (ვულვერჰემპტონი), **ენტონი სტოკსი** (სანდერლენდი), **დერილ მერფი** (სანდერლენდი), **შონ სკანელი** (კრისტალ პალასი), **როი ოდონოვანი** (სანდერლენდი), **დევიდ კონოლი** (სანდერლენდი).

**ლევან ჯანეზაშვილი**



ჯოვანი ტრაპატონი

ლეგიონერი

# ქულა დვალის დუბლით

**მეორე** ტაიმის დასაწყისში, სამწუთიან მონაკვეთში **ჯაბა დვალმა** დუბლი შეასრულა. მისი "დაჩია" "ნისტრუს" 2:2 დაუზავდა. დვალის გოლებით კიშინიოველები წინ გავიდნენ, მაგრამ შემდეგ მათმა მეტოქემ თამაშის გადარჩენა შეძლო. დღეისათვის "დაჩია" მოლდოვის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, დვალის გუნდი ტირასპოლის "შერიფს" ჩამორჩება.

# გიორგი დარასელია ჰაიფას მაკაბიში

**უცხოეთში** ბევრი ქართველი სპეციალისტი არ მუშაობს. სამწუხაროდ, ჩვენს მწვრთნელთა სკოლას დიდი სახელი არ გააჩნია და აქედან გამომდინარე, ქართველებზე დიდი მოთხოვნა არც ყოფილა და სამწუხაროდ, ახლაც არაა. უცხოეთში ყველაზე დიდხანს ორიოდე მწვრთნელს უმუშავია. ამ კუთხით გამორჩეული **ვასილ ჭეიშვილი** გახლდათ, რომელსაც უმუშავია უკრაინაში, უზბეკეთსა და აზერბაიჯანში. შარშან ის ბაქოს "ოლიმპიკის" დუბლებს ავარჯიშებდა.

გამოვარჩევთ **ელგუჯა გუგუშვილსაც**, წლების წინ თურქმენეთის ეროვნული ნაკრები და ამ ქვეყნის საბაზო კლუბი რომ ჩააბარეს.

უცხო ქვეყნის ნაკრებში წარმატებით უმუშავია **რევაზ ძოძუაშვილს** - ის ლატვიის ეროვნულ გუნდს და რიგის "სკონტოს" წვრთნიდა. ევროპის ჩემპიონატზე გასულ გუნდს საფუძვლები სწორედ მან ჩაუყარა.

**ზაურ სვანაძე** კარიერის შემდეგ შვედეთის მესამე ლიგის კლუბს ავარჯიშებდა და ეტყობა, იმდენად კარგი სახელი დატოვა, რომ შარშან გაიხსენეს და დაიბრუნეს. თუმცა ეროვნულ ნაკრებში ფედერაციამ მიიწვია და სამშობლოში დაბრუნდა.

**კახა ცხადაძეს** ბაქოს "სტანდარდი" წლეულს ჩააბარეს, მანამდე კი მახაჩყალის "ანჟის" მოთამაშე-მწვრთნელი გახლდათ. **თემურ ქეცბაია** უკვე მესამე წელია ფამაგუსტის "ანორთოსისს" წვრთნის და მისი გაშვება კვიპროსელებს არაფრის დიდებით არ სურთ.

90-იან წლებში კვიპროსში **დავით ყიფიანი** და **ვოვა გუცაევი** მიიწვიეს. შემდეგ ბატონ ვოვას მცირე ხნით ვლადიკავკაზის "ალანიაც" ჩააბარეს, ყიფიანს კი არ დასცალდა - მოსკოვის "დინამოში" მთავარი მწვრთნელობას რომ დათანხმდა, მაშინ დაიღუპა.

ეს ყველასათვის ცნობილი ფაქტებია. დღეს კი უცნობ სიახლეებს მოგითხრობთ: ფოთის "კოლხეთისა" და ქუთაისის "ტორპედოს" ყოფილმა ნახევარმცველმა **გიორგი დარასელიამ** დიდი ხანია მწვრთნელის პროფესია აირჩია.

გიორგი ისრაელში 1996 წელს წავიდა და დიდი ავტორიტეტიც მოიპოვა. სამი წლის წინათ "ფეთახ-თიქვას" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად დანიშნეს, შემდეგ კი "ბნეი-იეჰდაში". ზაფხულიდან დარასელია ისრაელის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბში იმუშავებს.

"ბნეი-იეჰდას" მთავარი მწვრთნელ **ელიშა ლევის** მომავალი სეზონიდან ჰაიფას "მაკაბის" აბარებენ, მან კი თავის მხრივ, გიორგი დარასელიას ასისტენტობა შესთავაზა.

ჰაიფას "მაკაბიმ" ბოლო დროს პოზიციები დაკარგა. კლუბის პრეზიდენტს სწორედ ეს ადარდებს და ელიშ ლევის მიწვევა "ბეითართან" საბრძოლველად სჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვირკველია: მნიშვნელოვანი ფიგურა რუბინში

ყაზანის "რუბინი", ყველასათვის მოულოდნელად, უდანაკარგოდ ლიდერობს რუსეთის ჩემპიონატს. **ყურბან ბერდიევის** გუნდმა ოთხივე მატჩი მოიგო, მათ შორის გასვლაზე, რუსეთის ჩემპიონ პეტერბურგის "ზენიტთან" - 3:1.

რა თქმა უნდა, ჩემპიონატის სტარტზე თუნდაც ზედიზედ ოთხი შეხვედრის მოგება ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, მაგრამ საყურადღებო ამბავი ნამდვილადაა.

ყველაზე მთავარი კი ამ მოვლენაში ისაა, რომ რუსები ყაზანელთა "ქართულ კვალს" ხედავენ. ამჯერად, ასეთი ხედვა მისალებია - ინტერნეტ-გაზეთმა "სოკერ. რუმ" **დავით კვირკველია** მეოთხე ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა და რაც მთავარია, მას '"რუბინის" წლევანდელი ალმავლობის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედად დაასახელა: *"კიდევ ერთი გოლეადორი. მისი წყალობით, "რუბინმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და პირველი ადგილი ამაყად დაიმკვიდრა. ტრადიციულად, ყურბან ბერდიევის გუნდში დაცვას განსაკუთრებულ ყურადღება ეთმობა. კვირკველია კი, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან რგოლში უმნიშვნელოვანესი ფიგურაა"*- წერს "სოკერ.რუ".

ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ვებგვერდმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი სიმბოლურ ნაკრებში ცენტრალური მცველის პოზიციაზე დაასახელა.

დათოს აქამდე უთამაშია მარცხენა მცველად, მარცხენა და საყრდენ ნახევარმცველად, ზაპოროჟიეს "მეტალურგში" სულაც თავდასხმაში აყენებდნენ, ახლა კი დაცვის ცენტრშიც ითამაშა.

ერთი კარში ჩადგომალა დარჩა და კვირკველია მსოფლიოში ყველაზე უნივერსალური ფეხბურთელის სახელს მოიპოვებს.

**მერაბ მამულაშვილი**



დავითკვირკველია (27) და რუბინი პრემიერლიგას ლიდერობენ

# მორიგი ნაკადი არგენტინაში

## საერთაშორისო ოთხთა ტურნირი თბილისში

ფეხბურთის, ტურიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფონდის დახმარებით, სადღეისოდ, არგენტინაში 8 ქართველი ფეხბურთელი გადის მზადებას იქაური ტექნიკური მომზადების ცენტრებში. ამ დღეებში მათ კიდევ 4 ჭაბუკი დაემატება. რუსთავის "ოლიმპის" ჭაბუკთა გუნდის მოთამაშეები, მცველები **გიორგი ლომიძე** და **თემურ ქურდაძე**, მეკარე **ამინ ვაიევი** და ფორვარდი **ჯაბა არევაძე**, ხვალ მიემგზავრებიან არგენტინაში. სამხრეთ ამერიკაში მათ **ედუარდო დელგადო** დახვდება და დაიწყებს მათ მომზადებას.

როგორც ირკვევა, ფონდის თავმჯდომარე **ნიკო პატარქალიშვილი** ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად კიდევ ერთ პროექტზე მუშაობს. 23-29 ოქტომბერს საქართველოში საერთაშორისო ოთხთა ტურნირის გამართვის საკითხი განიხილება. პატარქალიშვილის თქმით, ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ბრაზილიისა და არგენტინის ახალგაზრდული (20-წლამდე) ნაკრებები. მეოთხე მონაწილე კი, სავარაუდოდ, იტალიის ახალგაზრდული ნაკრები იქნება.

**დავით ცაბაძე**



ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო

# ლეგიონს სამიც დაემატა



მარცხნივ დავით გამეზარდაშვილი

**ევროპაში ყველაზე გვიან ჩემპიონატები ლატვიაში, ბელარუსში და სომხეთში დაიწყო. სამივე ქვეყანაში ქართველი ლეგიონერები გამოდიან. ნაკლებად ძლიერი ლიგებიდან ამ უქმეებზე თავი გამოიჩინეს გიორგი ადამიამ და ვალერი აბრამიძემ.**

### ვირსლიგა და პერტია იწყებენ

ლატვიურ ვირსლიგაში, რომელშიც 10 კლუბი მონაწილეობს, ახალი სეზონი დაიწყო. ჩვენთვის საინტერესო ჩემპიონ „ვენტსპილსის" და „სკონტოს" დაპირისპირება იყო. „ვენტსპილსში" საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი** თამაშობს, „სკონტოში" კი ასევე ნაკრების მცველი **ზაალ ელიავა, დავით გამეზარდაშვილი** და **ლადო დვალიშვილი**. 28 წლის მენთეშაშვილი ლატვიური პირველობის ვეტერანია, მას ვირსლიგაში 166 მატჩში 21 გოლი აქვს გატანილი. ზურას ტრავმა აწუხებს, რის გამოც „ლატვიურ დერბიში" არ უთამაშია. „ვენტსპილსმა" **ზანგარეევსის** გოლის წყალობით სამი ქულით დაიწყო ჩემპიონატი – 1:0. სტუმრებს ტრავმამ ზაალ ელიავა გამოაკლო, დავით გამეზარდაშვილმა კი შეუცვლელად ითამაშა. ლადო დვალიშვილმა 65-ე წუთზე **მარიან პახარსი** შეცვალა. სხვათა შორის, დარჩენილ დროში ლადომ იაქტიურა და ორ-სამჯერ მასპინძელთა კარსაც დაემუქრა, თუმცა აშკარა საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა.

„დინაბურგს" ქართველი **თამაზ პერტია** წვრთნის, ახლა უკვე როგორც მთავარი მწვრთნელი (შარშანდელი სეზონი მან მოვალეობის შემსრულებლის სახელით ჩაამთავრა). დაუგავპილსელებმა ჩემპიონატი მოგებით დაიწყეს, პერტიას შეგირდებმა 2:0 დაამარცხეს „რიგა". „დინაბურგის" 11 ლეგიონერს შორის, ერთი ქართველია – მცველი **ბაქარ გიორგაძე**, თუმცა მას არ უთამაშია პირველ ტურში. მატჩის მერე თამაზ პერტია კმაყოფილი დარჩა შედეგით: *„მეტოქე ბურთს მეტად აკონტროლებდა, ჩვენ კი დაცვითი ტაქტიკა ავირჩიეთ. ძალიან კარგი გუნდი დავამარცხეთ და სეზონი კარგად დავიწყეთ".*

ლატვიაში კიდევ ერთი ქართველია, რეზეკნეს „ბლაზმას" ღირსებას **ირაკლი ქორთუა** იცავს. დებიუტანტი შინ „დაუგავას" დაუზავდა – 1:1. მასპინძელთა ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა.

ლიტვაში A ლიგის მეორე ტურის მატჩები გაიმართა. ჩემპიონმა „კაუნასმა" 3:0 გაანადგურა „სუდოვა". ამ შეხვედრას დააკლდა წინა ტურში ტრავმირებული **ნუკრი მანჩხავა, აკაკი ხუბუტიამ** და **გივი კვარაცხელიამ** კი სასტარტოში ითამაშეს. „კაუნასი" 6 ქულით უკვე ერთპიროვნული ლიდერია.

### ცუდად დაწყებული სეზონი

ბელარუსში მე-18 ჩემპიონატი დაიწყო. წლეულს ტურნირში 16 კლუბი მონაწილეობს. **გია თოდუასა და რომან გოგინაშვილის** ბრესტის „დინამო" სტუმრად მინსკის „მტზ-რიპოსთან" შერცხვა – 0:4. რომან გოგინაშვილი 65-ე წუთზე შევიდა მოედანზე, ხოლო გია თოდუა მატჩის განაცხადში არ ყოფილა. ზუგდიდის „მგლების" ყოფილი ფორვარდი **გიორგი ჭედია** ჟოდინოს „ტორპედოს" ღირსებას იცავს. „ტორპედო" სტუმრად სოლიგორსკის „შახტიორთან" 0:1 დამარცხდა, გიორგი მოედანზე 66-ე წუთიდან ვიხილეთ.



ბურთით ვალერი აბრამიძე

### აბრამიძემ გაიტანა

რუსეთის პირველ დივიზიონში ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა **ომარ თეთრაძის** „ანჟიმ". თეთრაძის გუნდმა სტუმრად ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი" დაამარცხა – 1:0. გადამწყვეტი გოლი 36-ე წუთზე **ვალერი აბრამიძემ** გაიტანა. სტუმრებმა კუთხური ჩააწოდეს, ვალერიმ მოასწრო მცველისგან გათავისუფლება და ისეთი სიძლიერით დაარტყა, რომ მეკარემ შესაშური რეაქციის მიუხედავად ვერ შეძლო კარის გადარჩენა. 90-90 წუთი ითამაშეს **გიორგი ნავალოვსკიმ** და ვალერი აბრამიძემ, **გოჩა ხოჯავა** 90-ე წუთზე **რევაზ ბარაბაძემ** შეცვალა. **მიხეილ აშვეთია** 73-ე წუთზე შეცვალეს. ომარ თეთრაძე ბოლომდე კმაყოფილი არ დარჩა თავისი გუნდის თამაშით: *„ჩვენ ჯერ ვერ მივაღწიეთ სტაბილურ თამაშს".*

### ადამიას დუბლი

აზერბაიჯანში „ნეფთჩი" „მასალის" ესტუმრა და 2:0 მოუგო, ორივე გოლი ქართველმა ლეგიონერმა გაიტანა, 45-ე და 85-ე წუთებზე. პირველად მან **სუბაშიჩის** პასი გამოიყენა, მეორედ კი **ტაგიზადესი**. 88-ე წუთზე მატჩის გმირი ჟოზე **კარლოსით** შეცვალეს. „მასალის" შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა **ვაჟა ლომაშვილმა**, ხოლო **ბორის გონჩაროვი** მე-60 წუთზე შეცვალეს.

**კახი ცხადაძის** „სტანდარდმა" 3:0 დაამარცხა „სიმურგი". ცხადაძის გუნდში **ლადო უგრეხელიძეს** არ უთამაშია. სტუმართა რიგებში სრულად ითამაშეს **კახა ჩხეტიანმა** და **დავით ბოლქვაძემ**.

„კაბალა" ჩემპიონ „ხაზარს" დაუზავდა – 1:1. ერთვიანი შესვენების შემდეგ კარში კვლავ **ზურაბ მამალაძე** ჩადგა. 90-90 წუთი ითამაშეს **ირაკლი ვაშაკიძემ, გიორგი გაბიდაურმა** და **თორნიკე აფციაურმა**. გაბიდაური გააფრთხილეს.

„ბაქი" შინ ლიდერ „ოლიმპიკთან" 0:1 დამარცხდა. **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** 61-ე წუთამდე ითამაშა, ხოლო **ამირან მუჯირი** ტრავმირებულია. „ქარვანი" სტუმრად „ინტერთან" დამარცხდა – 1:3. **ალექსანდრე ინწკირველი** დისკვალიფიცირებულია, **გოჩა ტრაპაიძემ** შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **რომან ახალკაცი** პირველივე ტაიმში შევიდა მოედანზე და ყვითელი ბარათიც პირველ ტაიმში მიიღო. **გოგა ბერაიას** „ყარაბახმა" სტუმრად აუტსაიდერი „გენჩლერბერლიიი" დაამარცხა. გოგამ 90 წუთი ითამაშა.

### ძოძუაშვილის სტიმული

სომხეთში ახალი ჩემპიონატი დაიწყო, ქართველები ორ კლუბში თამაშობენ „განძასარსა" და „ულისეში", თუმცა სომხური წყაროების სიმწირის გამო ვერ გეტყვით, რომელმა ჩვენებურებმა ითამაშეს პირველ ტურში. „განძასარი" შინ „ბანანცს" დაუზავდა – 0:0. „ულისე" ერევნის „პიუნიკს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა.

ყაზახურ პრემიერლიგაში **რევაზ ძოძუაშვილის** „შახტიორმა" ყარაღანდაში **ფინონჩენკოს** ჰეთ-თრიქის წყალობით „ირტიში" დაამარცხა – 3:1. ოთხი ტურიდან 7 ქულით ქართველი მწვრთნელის გუნდი მეოთხე ადგილზეა. **ლაშა ნოზაძემ** 90 წუთი ითამაშა, ხოლო **ლევან მელქაძე** სათადარიგო იყო. უსტ-კამენოგორსკში „ვოსტოკი" „მეგასპორტთან" 1:2 დამარცხდა. **ზვიად** და **გიზო ჯელაძეები** სასტარტოში იყვნენ, უმცროსი ჯელაძე 54-ე წუთზე შეცვალეს. **ლაშა ჭელიძის** „კაისარმა" სტუმრად 1:0 დაამარცხა „ალმა ათა". ლაშა 82-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

ირანში 26-ე ტურის მატჩები გაიმართა. ისპაჰანის „სეპაჰანმა" შინ 2:1 დაამარცხა „ესტეღლალი". **ჯაბა მუჯირს** არ უთამაშია „სეპაჰანის" რიგებში, რომელიც 46 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი. ტრანსფერები

# ვენგერმა შვაინი მოიკითხა

## ლემანი, შეიძლება, ფრანგმა გრეგორი კუპემ შეცვალოს

"არსენალი" "ბაიერნის" მარჯვენა ნახევარმცველ **ბასტიან შვაინშტაიგერით** დაინტერესდა. ამ ინფორმაციას პოპულარული ბრიტანული ტაბლოიდი "დეილი მირორი" ავრცელებს. 23 წლის ფეხბურთელზე სხვა არაერთი კლუბიც აცხადებს პრეტენზიას. შვაინის თავის რიგებში სიამოვნებით იხილავდნენ "ინტერი", "სევილია" და "ვერდერი". "მეთოფეები" პირველები აღმოჩნდნენ, რომელთაც "ბაიერნს" გარიგება შესთავაზეს. ბრიტანელი მიმომხილველების ცნობით, "არსენალმა" მიუნხენურ გიგანტს 14 მილიონი ევრო აღუთქვა. გასულ ხუთშაბათს, ლონდონელი ემისარი "ბაიერნისა" და "ხეტაფეს" მატჩს დაესწრო.



ბასტიან შვაინშტაიგერის ლონდონში გამგზავრების შანსი მინიმალურია

ბავარიელებს მოსალოდნელი გარიგების თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ. მომავალი სეზონიდან კლუბს **იურგენ კლინსმანი** ჩაიბარებს. ბავარიელები სატრანსფერო საკითხებს მასთან შეუთანხმებლად არ წყვეტენ. მაგალითად, "ბაიერნის" გენერალურ მენეჯერ **ულის ჰიონესს ლუკას პოდოლსკის** ტრანსფერზე დაყენება სურდა, მაგრამ კლინსის ერთმა სიტყვამ ამ თემას წერტილი დაუსვა. იურგენმა განაცხადა, რომ პოდოლსკი სჭირდება. გერმანელი ჟურნალისტები წერენ, რომ ბასტიანიც მისი საყვარელი ფეხბურთელია. ამიტომ "არსენალს" ტრანსფერის განხორციელების მინიმალური შანსი აქვს.

"არსენალთან" დაკავშირებით კიდევ ორ ინფორმაციას მოგაწოდებთ. "მეთოფეები"ეძებენ მეკარეს. **იენს ლემანის** საკითხი ჰაერშია გამოკიდებული. გერმანელი ვეტერანი ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება. სეზონის ბოლოს ის ახალ სამსახურს მონახავს. გოლკიპერმა კარიერის დასრულებაც არ გამორიცხა. ვინ შეცვლის ლემანს? ინგლისური სააგენტოების მტკიცებით, "არსენალის" ახალი მეკარე ვიგანელი **კრის კერკლანდი** იქნება. ის 26 წლისაა. კერკლანდი დაახლოებით 5 მილიონი გირვანქა ღირს.

ფრანგული სააგენტოების ცნობით, "არსენალმა", შეიძლება, **გრეგორი კუპეც** გადაიბიროს. საფრანგეთის ნაკრების 36 წლის კარის დარაჯს "ლიონთან" კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება. ორი დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია კუპეს ამერიკაში მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ. "არსენალს" ამ ფეხბურთელით დაინტერესების ფაქტი არ დაუდასტურებია. კიდევ ერთი მეკარე, რომელმაც შეიძლება ლონდონელთა მაისურა მოირგოს, ამერიკის ნაკრებისა და "ჩივას იუ ეს ეის" გოლკიპერი **ბრედ გუზანი** გახლავთ.

რომა

# სოროსი და ჯალოროსი

## სპალეტი შეიძლება მილანში წავიდეს, რომში ანჩელოტის ელოდებიანო

იტალიური სააგენტოები სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებენ. სპეკულაციების თანახმად, სულ მალე "რომას" ახალი მფლობელი ეყოლება. ის ცნობილი ამერიკელი ფინანსისტი **ჯორჯ სოროსი** იქნება. მან "ჯალოროსის" ხელმძღვანელობასთან წინასწარი მოლაპარაკებები უკვე გამართა. პირველი რაუნდით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. საუბრის დეტალები და მით უფრო, მომავალი გარიგების ფინანსური დეტალების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ გახმაურებულა. რომაელთა პრეზიდენტი **ფრანკო სენსი** სხვა სარფიან წინადადებებსაც განიხილავს. "რომაზე" პრეტენზიას აცხადებს კიდევ ერთი ამერიკელი მილიარდერი **ჯონ ფიშერი**. ის კომპანია "გეპის" დამაარსებელია.

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, რომაელთა თავკაცი **ლუჩანო სპალეტი**, შეიძლება, "მილანში" დაინიშნოს. პოპულარული გამოცემა იუწყება, რომ ის უკვე შეხვდა "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანისა** და ტრანსფერების მენეჯერ **არიედო ბრაიდას**. "გაძეტას" თუ ვერწმუნებით, მოლაპარაკებებმა საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. გადაწყდა, რომ თუ სპალეტი "როსონერიში" წავა, ფრანგ მცველ **ფილიპ მექსეს** გაიყოლებს.

რაც შეეხება მილანელთა დღევანდელ თავკაც **კარლო ანჩელოტის**, კლუბის ხელმძღვანელობა ოფიციალურ კომენტარებში მას მხარდაჭერას უცხადებს. "მილანი" ბოლო წლების ერთ-ერთ უსუსტეს სეზონს ატარებს. ის ჩემპიონთა ლიგას ფლეი ოფის პირველსავე ეტაპზე გამოეთიშა. იტალიის ჩემპიონატში კი ოთხეულს მიღმა დარჩენა ემუქრება. კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა — ანჩელოტი იმ შემთხვევაშიც დარჩება, თუ მხოლოდ უეფას თასის საგზურს დავჯერდებითო.



კარლო ანჩელოტი შეიძლება რომში დაბრუნდეს

სპალეტისთან დაკავშირებული სპეკულაციების პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია ანჩელოტის "რომაში" შესაძლო გადაბარგების თაობაზე. კარლეტო ძველი რომაელია. ის "ჯალოროსიში" რვა წლის განმავლობაში, 1979-87 წლებში ასპარეზობდა (171 მატჩი). ანჩელოტის რომში დაბრუნება სულაც არ იქნება გასაკვირი. თანაც მწვრთნელს არაერთხელ უთქვამს, რომ პენსიაში გასვლამდე დედაქალაქური კლუბის გაძღოლა სურს.

"რომას" თემას სატრანსფერო ამბებით გავაგრძელებთ. როგორც ამბობენ, **ანდრეი შევჩენკო** იტალიაში დაბრუნდება. მას მილანში ელოდებიან. თუმცა უკრაინელ თავდამსხმელს რომაელებიც სიამოვნებით გაუფორმებდნენ კონტრაქტს. შევას გარდა, "ჯალოროსიმ" "პორტუს" არგენტინელ ფორვარდ **ლისანდრო ლოპესსაც** დაადგა თვალი. ამ უკანასკნელს ჩერნოგორიელი **მირკო ვუჩინიჩის** შესაძლო შემცვლელად განიხილავენ. სპეკულაციების თანახმად, ვუჩინიჩის შეძენა მადრიდის "რეალს" სურს.

ბრალდება

# კაპელოს გადასახადების გამო ედავებიან

## პროკურორი რომში მოხვეჭილი მილიონების კვალს ეძებს

**ფაბიო კაპელოს** გადასახადების დამალვაში ადანაშაულებენ. ეს ინფორმაცია სააგენტო "როიტერს" იტალიელმა პროკურორმა **მარკო ჯანოლიომ** მიაწოდა. უფრო მეტიც, გადასახადების დამალვაში ეჭვმიტანილები არიან დონ ფაბიოს მეუღლე **ლაურა გიზი** და მისი შვილები — **ედუარდო** და **პიერპაოლო**. გამოძიება გრძელდება. საგადასახადო სამსახურები "რომას" პრეზიდენტ **ფრანკო სენსისაც** ედავებიან. ისინი სინიორ სენსის შვილებით — **მარია კრისტინათი** და **როზელათიც** დაინტერესდნენ. ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, "ჯალოროსის" გენერალური მენეჯერია. ურჩ გადამხდელთა სიაშია "ჯენოას" პრეზიდენტი **ენრიკო პრეციოზიც**.

იანვარში პროკურორებმა განაცხადეს, რომ მიმდინარეობდა გამოძიება კაპელოს იმ ანგარიშებთან დაკავშირებით, რომელიც მას იტალიის გარეთ გააჩნდა. 1999-2004 წლებში დონ ფაბიო "რომას" მთავარი მწვრთნელი იყო. ამ ხნის განმავლობაში მან მილიონობით ევრო გააკეთა, მაგრამ დეკლარაციაში ამ თანხის მხოლოდ მცირე ნაწილი მოხვდა. ესე იგი, დანარჩენი მილიონებიდან საშემოსავლო გადასახადი დაიმალა. ეს მხოლოდ ვარაუდებია, მაგრამ არცთუ უსაფუძვლო ვარაუდები. სამართალდამცველები ცდილობენ, გაარკვიონ, დაახლოებით რა ზარალი მიაყენა კაპელომ სახელმწიფოს, რათა მას პასუხისმგებლობა დააკისრონ. როდესაც იტალიელი მწვრთნელი ინგლისის ნაკრებში ინიშნებოდა, საფეხბურთო ასოციაციამ მისი ფინანსური დოკუმენტებიც შეისწავლა. კითხვაზე, ჰქონია თუ არა რაიმე სახის ფინანსური დარღვევები, დონ ფაბიომ მიუგო — ჩემი ქაღალდები წესრიგშიაო.



ფაბიო კაპელო

ამ საკითხის შესახებ დამატებით ინფორმაციას მისი მიღებისთანავე შემოგთავაზებთ. დასასრულს იმასაც შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინათ კაპელო სულ სხვა მოტივით გამოცხადდა რომის სასამართლოს წინაშე. ის სააგენტო "გეა უორლდის" საქმეზე დაკითხეს, რომელსაც **ლუჩანო მოჯისა** და **მარჩელო ლიპის** შვილები ხელმძღვანელობდნენ.

იუვენტუსი. ტრანსფერები

# გროსო იტალიაში ბრუნდება?

"იუვენტუსი" დაცვის მარცხენა ფლანგის გაძლიერებას ცდილობს. ის "ლიონის" იტალიელი ვარსკვლავით **ფაბიო გროსოთი** დაინტერესდა. ტურინელებს ამ პოზიციაზე რამდენიმე კანდიდატი ჰყავთ. ინტენსიურად განიხილება პერუელ **ხუან მანუელ ვარგასის** (კატანია), **ფრანჩესკო მოდესტოსა** (რეჯინა) და **მანუელ პასკუალეს** (ფიორენტინა) კანდიდატურები, მაგრამ გროსოზე ყველაზე დიდი მოთხოვნილებაა.

აქტუალობით მეორე ადგილზეა ფლორენციელი პასკუალე. იტალიური სააგენტოები "ფიორენტინასთან" შესაძლო გარიგების დეტალებს ახმაურებენ. თუ "იუვეს" პასკუალე ნამდვილად უნდა, იტალიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელის **რაფაელე პალადინოს** დათმობა მოუწევსო, წერს "ტუტოსპორტი". ფლორენციელები მანუელის გაყიდვაზე თანახმანი არიან. მათ მისი შემცვლელიც კი უკვე იპოვეს — უდინელი **ანდრეა დოსენას** სახით. "იუვენტუსის" ხელმძღვანელობას ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა პალადინოს გაშვების წინააღმდეგი არ უნდა იყოს. ეს ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში ძალიან იშვიათად ხვდება.



ფაბიო გროსო (მარჯვნივ)

# ისევ დროგბა: მილანი, მაგრამ სად?

სად გააგრძელებს კარიერას **დიდიე დროგბა**? ზაფხულის მოახლოებასთან ერთად, ეს საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. გუშინდელმა "კორიერე დელო სპორტმა" საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა. იტალიური ტაბლოიდის თანახმად, "ინტერი" მზადაა, კოტდივუარელი თავდამსხმელის სანაცვლოდ, "ჩელსის" 7 მილიონი გირვანქა და **ადრიანო** შესთავაზოს.

მეორე იტალიურ გამოცემა "გაძეტა დელო სპორტს" დროგბა "მილანში" გადაჰყავს. სტატიის თანახმად, "მილანში" დაბრუნდება ლონდონელთა კიდევ ერთი ვარსკვლავი **ანდრეი შევჩენკოც**. უკრაინელი თავდამსხმელი "ჩელსის" ბოს **რომან აბრამოვიჩს** მოურიგდა. ის "არისტოკრატებს" სეზონის დასრულებისთანავე დაემშვიდობება. შევას მილანში ელოდებიან. ამ ტრანსფერის თაობაზე ოფიციალური კომენტარი ჯერ არ გაკეთებულა.

"გაძეტაში" ვკითხულობთ, რომ დროგბამ შევჩენკოს მილანური სახლის მეზობლად, ძვირადღირებული აპარტამენტი შეიძინა. ეს ინფორმაცია ამყარებს სპეკულაციებს, რომ დიდიე ნამდვილად მილანში აპირებს გამგზავრებას. მაგრამ რომელ კლუბში? საკითხავი აი, ეს არის. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "მილანის" პრეზიდენტი **სილვიო ბერლუსკონის** მზადაა, "ჩელსის" 17 მილიონი გირვანქა მიუთვალოს.

# ბოდიში, მარკო!

ბრიტანული ტაბლოიდები **მარკო მატერაცის** ბოდიშს მოუხდიან. ეს გადაწყვეტილება ლონდონის სასამართლომ მიიღო. გაზეთები — "ექსპრესი" და "დეილი სტარი" პირველ გვერდებზე გამოაქვეყნებენ განცხადებას, სადაც აღიარებენ, რომ იტალიელ მცველს ცილი დასწამეს. საქმე 2006 წლის ფინალში მომხდარ გახმაურებულ ინციდენტს შეეხება. მატერაციმ **ზინედინ ზიდანს** რაღაც უთხრა. ზიზუმ მას მკერდში თავი ჩასცხო. ფრანგი ვარსკვლავი მაშინვე გააძევეს. იტალიამ კი საფრანგეთი პენალტების სერიაში დაამარცხა.

ხსენებულ გაზეთებში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ფრაზა, რომელმაც ზიდანს წონასწორობა დაუკარგინა, რასისტულ ქვეტექსტს შეიცავდა. მატერაცის არასოდეს უარუყვია, რომ ზინედინს შეურაცხყოფა მიაყენა, მაგრამ რასისტობაში დადანაშაულება მისთვისაც მეტისმეტი გახლდათ. ამიტომ ადვოკატები დაიქირავა და ბრიტანეთის სასამართლოს მიმართა. 34 წლის ფეხბურთელმა ვერდიქტით კმაყოფილება ვერ დამალა. ტაბლოიდები სასამართლოს ხარჯებსაც აანაზღაურებენ. მათ საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა მოუწევთ.

# დეშამი ლიონში?

"იუვენტუსისა" და "მონაკოს" ყოფილი თავკაცი **დიდიე დეშამი**, შეიძლება, "ლიონში" დაინიშნოს. ამ ინფორმაციას "გაძეტა დელო სპორტი" ავრცელებს. იტალიური გამოცემა ფრანგულ სააგენტოებს ეყრდნობა. ფრანგი მიმომხილველების ვარაუდით, ლიონელთა დამრიგებელ **ალენ პერენს** გათავისუფლება ემუქრება. მართალია, მისი გუნდი საფრანგეთის ჩემპიონი ხდება, მაგრამ მწვრთნელმა უმთავრესი ამოცანა ვერ შეასრულა. მან "ლიონს" ჩემპიონთა ლიგაში წარმატება ვერ მოუტანა. პერენის მდგომარეობას ართულებს წამყვან ფეხბურთელებთან კონფლიქტიც. მას არა და არ აეწყო ურთიერთობა კლუბის საუკეთესო ფორვარდ **ქარიმ ბენზემასთან**.

პრეზიდენტი **ჟან მიშელ ოლა** უკმაყოფილოა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, მან დეშამთან მოლაპარაკებები უკვე გამართა. ფრანგული სააგენტოების ცნობით, მოსიე დიდიეს გარდა, განიხილება ხეტაფელი **მიკაელ ლაუდრუპის**, "პალერმოს" ყოფილი თავკაცის **ფრანჩესკო გვიდოლინისა** და საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის **კლაუს ტოპმიოლერის** კანდიდატურებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ

# იქნებ, სლომკამ გადაიფიქროს...

## მენიუს დაცვა გაერღვა. არც ფერდინანდი, არც ვიდიჩი. რა შანსი აქვს რომას ტოტის გარეშე?



სქოულზი, სილვესტრი და ნევილი მანჩესტერის ვარჯიშზე

### მანჩესტერი-რომა (2:0)

სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ევრა, ბრაუნი, პიკე, ო'ში, სქოულზი, ქერიკი, ნანი, გიგზი, რუნი, კრისტიანო რონალდო.

**რომა:** ა. დონი, პანუჩი, მექსე, ჟუანი, ტონეტო, ტადეი, პისარო, დე როსი, პეროტა, მანსინი, ვუჩინიჩი.

**არბიტრი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

გასულ შაბათს, "ჯენოასთან" მოგების შემდეგ, "რომას" მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ ასეთი რამ თქვა: გენუელებმა ერთ წუთში ორი გოლი გაგვიტანეს და რატომ არ შეიძლება, "მანჩესტერს" 90 წუთში ჩვენ ორჯერ გავუტანოთო. რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ თუ იქით არ გაუშვებ ერთს, ორს ან სამს... მაგრამ შვიდს, ალბათ, აღარ. რაც არ უნდა უარყონ რომაელებმა, შარშანდელი 7:1 დავიწყებას ვერასოდეს მიეცემა. არ ვკამათობთ, რომ დღევანდელი "ჯალოროსი" უფრო ძლიერია, მაგრამ "ოლიმპიკოზე" ერთი კვირის წინანდელმა წაგებამ, ფაქტობრივად, უკვე გასცა პასუხი ამ წყვილის მთავარ კითხვას: "მანჩესტერი" ცალი ფეხით ნახევარფინალშია, თუ მეტით არა.

"რომას" შანსებისადმი სკეპტიციზმს ალრმავებს ის ფაქტიც, რომ ტრავმის გამო ვერ ითამაშებს **ფრანჩესკო ტოტი**. კაპიტანმა პირველი შეხვედრაც გამოტოვა და ცხადია, ესეც იყო სპალეტის შეგირდთა მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. გამომდინარე რეალობიდან, მწვრთნელს დიდი არჩევანი არც აქვს. ალბათ, თავდასხმაში კვლავ მარტო იქნება **მირკო ვუჩინიჩი**, რომელსაც ფლანგებიდან **ამანტინო მანსინი** და **როდრიგო ტადეი** დაეხმარებიან. სხვათა შორის, ტადეი ერთობ ოპტიმისტურადაა განწყობილი:

*"დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენს თამაშს ვითამაშებთ და ცოტა ფორტუნაც გადმოგვხედავს, ნახევარფინალში გავალთ. რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ამოცანა ურთულესია, მაგრამ წინ მთელი 90 წუთია და ვნახოთ... ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ ქომაგები გავახაროთ. რაც შეეხება იმ ავადსახსენებელ 7:1-ს, ეს უკვე დავიწყებულია და თუ დააკვირდით, იმის შემდეგ ჩვენს შორის ყველა მატჩი დაბალანსებული იყო".*

აქვე გავიხსენოთ, რომ წელს ეს გუნდები ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ ერთმანეთს. რომში მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა, "ოლდ ტრეფორდზე" კი მასპინძელმა 1:0 იმარჯვა. დავუბრუნდეთ საკადრო საკითხებს. ტოტის გარდა, "რომას" არ ეყოლება ცენტრალური მცველი **მატეო ფერარიც**. "ჯენოასთან" თამაში ტრავმის გამო გაუცდა **ალბერტო აკვილანისაც**, რომელიც გუნდს ვერც დღეს დაეხმარება. თუმცა უდავო პლუსია ის, რომ დისკვალიფიკაციის შემდეგ ძირითადში ბრუნდება ნახევარდაცვის ლიდერი **სიმონე პეროტა**.

ერთი შეხედვით, "მანჩესტერის" წინასამატჩო განწყობა პოზიტიური უნდა იყოს. გარდა იმისა, რომ უშუალოდ ამ დაპირისპირების წინ სერიოზული ფორა უპყრია ხელთ, გუნდს კარგად მისდის საქმეები პრემიერლიგაშიც, თუ არ ჩავთვლით ბოლო ტურში "მიდლსბროსთან" ნაფორხილებას (2:2), როცა მანკუნიანელებმა თამაში მატჩის მინურულსლა იხსნეს. "რომასთან" შეხვედრამ ამ კითხვასაც უნდა გასცეს პასუხი: გადაღლის ბრალი ხომ არ იყო "რივერსაიდზე" დაკარგული საჭირო ქულები?

ვიზავის არ იყოს, საკადრო პრობლემებს ვერც სერ **ალექს ფერგიუსონი** ასცდა. **რიო ფერდინანდმა** "მიდლსბროსთან" მატჩში ტრავმა მიიღო. თავიდან, დაზიანება სერიოზული ჩანდა, მაგრამ როგორც სკანირებამ აჩვენა, "მენიუს" დაცვის ბურჯს ფეხი მოტეხილი არ ჰქონია. თუმცა ექიმებს არ უთქვამთ, როდის შეძლებს რიო მწყობრში დაბრუნდებას. ფერგის თავსატეხად ექცა კიდევ ერთი ცენტრალური მცველის **ნემანია ვიდიჩის** ტრავმაც. აქედან გამომდინარე, "მენიუს" მწვრთნელს უკანა ხაზის სერიოზული გადაწყობა მოუწევს. ისარგებლებს კი "რომა" მეტოქის პრობლემით? აბა, რა გითხრათ...

| |
|---|
| **მანჩესტერი VS იტალია** |
| 13 მოგება, 4 ფრე, |
| 12 წაგება. ბურთები: 39-37 |
| **რომა VS ინგლისი** |
| 8 მოგება, 9 ფრე, |
| 11 წაგება. ბურთები: 22-37 |

### ბარსელონა-შალკე (1:0)

სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა:** ვალდესი, პუიოლი (ან ძამბროტა), მილიტო (ან რაფაელ მარკესი), სილვინიო, ჩავი, ტურე, ინიესტა, ეტო'ო, კრკიჩი, ანრი.

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ასამოა, ჯოუნსი, ერნსტი, პანდერი, კურანი, ალთინთოფი.

**არბიტრი:** რობერტო როზეტი (იტალია)

"ბარსელონა" სეზონის ერთ-ერთ მთავარ გამოცანად რჩება. კვირას "კამპ ნოუმ" თეთრი ცხვირსახოცები აფრიალა "ხეტაფესთან" დაკარგული ქულების გამო. გულშემატკივრების ერთი ნაწილი, **ფრანკ რაიკაარდთან** ერთად, პრეზიდენტ **ჟოან ლაპორტას** გადადგომას ითხოვს, ზოგს მხოლოდ მწვრთნელი ეთმობა, ზოგიც ოდენ ბოსში ხედავს უბედურების სათავეს. მაგრამ "ინჩასებს", ჯერჯერობით, არაფერი აქვთ სასაყვედურო ჩემპიონთა ლიგის შედეგებიდან გამომდინარე. კატალონიური გრანდი მეოთხედფინალშია და გელზენკირხენში მოგების (1:0) შემდეგ, ფაქტობრივად, ნახევარფინალის ბილეთიც დაჯავშნული აქვს. ამიტომ, რაიკაარდსაც და ლაპორტასაც, ამ ეტაპზე, არაფერი ემუქრებათ. ევროტურნირების პრაქტიკამ ხომ ბევრი ისეთი შემთხვევა იცის, როცა ესა თუ ის გუნდი საგარეო ფრონტზე წარმატებებს აღწევდა, განსხვავებით შინაური პირველობისგან, სადაც ზოგს სავალალოდაც ჰქონია საქმე. მოკლედ, "ბარსას" ფანებს მოთმინება მართებთ. ერთია პრიმერა დივიზიონის უგრძესი მარათონი და მეორე - ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფი, სადაც გამარჯვებულის ბედს ორრაუნდიანი დაპირისპირება წყვეტს. აი, რაიკაარდის კომენტარიც:

*"გუნდს მხარდაჭერა სჭირდება, რათა ერთ მუშტად შეიკრას. პასუხისმგებლობას არასოდეს გავურბივარ. რა თქმა უნდა, პროტესტის ამგვარი ფორმების გამო გულგატეხილი ვარ, მით უმეტეს, ჩვენ ხომ ვიცით, რომ მთელი გუნდი სერიოზულად მუშაობს და თავს არ ზოგავს. ბევრი მოთამაშე გვაკლია, გვაკლია ის ხალხი, ვისაც "ბარსას" ცენტრალურ ფიგურებად მივიჩნევთ. ამიტომ, ეს სიძნელეები გასათვალისწინებელია და ჩვენც სწორედ ამას ვითხოვთ. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება".*

ცენტრალურ ფიგურებს რაც შეეხებათ, ამ შემთხვევაში რაიკაარდს ნამდვილად არ გაემტყუნება. ტრავმირებულები არიან **რონალდინიო, ლეო მესი** და **დეკუ**. პლუს ამას, საეჭვოა, ითამაშებენ თუ არა დაცვაში **კარლეს პუიოლი** და **გაბრიელ მილიტო**. გავიხსენოთ ისიც, რომ "ხეტაფესთან" შეხვედრაში დაშავდა **ჩავი ერნანდესიც** და რაიკაარდს ჯერ მისი საკითხიც არ გაურკვევია. თუმცა არც ისეა საქმე, რომ მწვრთნელი გამუდმებით მოთქვამდეს. განა დასაწუნია **ბოიან კრკიჩის, სამუელ ეტო'ოსა** და **ტიერი ანრის** შემტევი ტრიო? ამ კითხვასაც გაეცემა პასუხი "შალკესთან" დღევანდელ შეხვედრაში.

თავის მხრივ, **მირკო სლომკასაც** უამრავი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი. "ხუმარებს" ძალიან ცოტა გოლი გააქვთ: ჩემპიონთა ლიგის 9 მატჩში მათ სულ 6-ჯერ დალაშქრეს მეტოქეთა კარი. მიუხედავად იმისა, რომ ერთი კვირის წინათ, "ფელტინს-არენაზე", მასპინძელი ბევრს უტევდა, საგოლე მომენტები, ფაქტობრივად, არ შეუქმნია. "შალკეს" მცველ **ჰაიკო ვესტერმანს** იმედი აქვს, რომ ეს შეტევები "კამპ ნოუზე" მოიტანს შედეგს:

*"ჩვენ ზუსტად ის თამაში უნდა ვითამაშოთ, როგორიც ერთი კვირის წინათ, საკუთარ მოედანზე ვაჩვენეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. თუ ამას შევძლებთ, შანსი აუცილებლად გვექნება".*

სლომკამ "ჰანზასთან" ბოლო საბუნდესლიგო მატჩში თავდასხმის ლიდერი **კევინ კურანი** დაასვენა. ცხადია, დღეს ის სასტარტოში იქნება და **ჰალილ ალთინთოფთან** ერთად შეეცდება, რომ "ბარსას" პრობლემები შეუქმნას. მწყობრში ბრუნდება ნახევარმცველი **ჯერმენ ჯოუნსიც**, რომელსაც დისკვალიფიკაციის გამო პირველ შეხვედრაში არ უთამაშია. გერმანულ წყაროებს თუ ვენდობით, **ლევან კობიაშვილისთვის** ძირითად შემადგენლობაში ადგილი არ ჩანს. ვნახოთ, იქნება და, სლომკამ ბოლო წუთს გადაიფიქროს...

| |
|---|
| **ბარსელონა VS გერმანია** |
| 20 მოგება, 8 ფრე, |
| 11 წაგება. ბურთები: 62-43 |
| **შალკე VS ესპანეთი** |
| 5 მოგება, 4 ფრე, |
| 6 წაგება. ბურთები: 15-11 |



შალკეს ვარჯიში კამპ ნოუზე. უკანა პლანზე ლევან კობიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მარჩელო ლიპისთან

# ეს ინტერი იმ იუვეს მაგონებს

## მოგზაურობა, მუზეუმები, რესტორნები და ლექციები... ფეხბურთის დროა. ლიპი, დონადონის იტალიას, ევროწარმატებას უწინასწარმეტყველებს

საფეხბურთო საზოგადოება მარჩელო ლიპის დაბრუნებას ელოდება. დღე არ გავა, იტალიურმა გამოცემებმა მსოფლიო ჩემპიონზე რაიმე ინფორმაცია არ გაავრცელონ. როგორც ბოლოს გაუწყეთ, შეიძლება, ის კვლავ "სკუადრა აძურას" ჩაუდგეს სათავეში. ცალკეული გამოცემები კი მარჩელოს "იუვენტუსში" მესამედ მისვლას უწინასწარმეტყველებენ. ამ და სხვა თემებზე ლიპი "გუერინ სპორტივოსთან" ინტერვიუში საუბრობს...

**- ლიპი, ძალიან გაგიგრძელდათ შვებულება...**

- რატომ გგონიათ, რომ დიდი შვებულება გამომივიდა? განა, არ ვიმსახურებდი დასვენებას ყოველივე იმის შემდეგ, რა სამუშაოც შევასრულე?

**- ახლა რას აკეთებთ?**

- ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თავისა და ოჯახისთვისაც მოვიცალე. ნამდვილი დასვენება თუ გინდა, ესაა. ვიმოგზაურე სხვადასხვა ქალაქში, დავათვალიერე მუზეუმები, დავდიოდი რესტორნებში და... თქვენ წარმოიდგინეთ, არც ფეხბურთს ვტოვებდი უყურადღებოდ, გული არ მითმენდა. ბევრ შეხვედრას დავესწარი, ტელევიზიითაც არ გამომიტოვია მნიშვნელოვანი თამაშები. სხვათა შორის, იტალიის 17 უნივერსიტეტში წავიკითხე ლექცია...

**- რა თემაზე?**

- ლიდერის ფუნქცია და გუნდური მუშაობა.

**- გასაგებია. ახლა პროფესიულ საკითხებზე გადავიდეთ. რა თქმა უნდა, უამრავი შეთავაზება გექნებოდათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან...**

- უამრავი? შვიდი თუ რვა წინადადება მქონდა ეროვნული ასოციაციებისგან, მაგრამ არა ინგლისიდან, როგორც ამას გაზეთები წერდნენ. მეცინებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი გაზეთი დაწვრილებით აღწერდა, როგორ ჩავედი ლონდონში, რომელ რესტორანში და ვისთან ერთად ვივახშმე...

**- არ ყოფილხართ ლონდონში?**

- არა და არა!

**- რაც შეეხება შეთავაზებებს...**

- იცით, მე ვფიქრობ, რომ მწვრთნელმა, რომელმაც თავისი ქვეყნის მთავარ გუნდთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, სხვა ნაკრებში არ უნდა იმუშაოს.

**- კლუბები?**

- დაახლოებით 15 კლუბის წარმომადგენელი შემეხმიანა საფრანგეთიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, ესპანეთიდან, საბერძნეთიდან და თურქეთიდან.

**- და გადაწყვეტილება ჯერ არ გაქვთ მიღებული?**

- დამიჯერეთ, ჯერ არაფერია გარკვეული. მხოლოდ ის ვიცი, რომ ფეხბურთში ვბრუნდები და თან ძალიან მალე. მაკლია ეს სამყარო: კონტაქტი ფეხბურთელებთან და რაღაც ახლის აშენება რომელიმე ამბიციურ კლუბთან ერთად. სხვათა შორის, ამ მხრივ პრობლემებიც მექმნება.

**- რას გულისხმობთ?**

- იმას, რომ საკმარისია, რომელიმე თამაშს დავესწრო, თქვენი კოლეგები მაშინვე ერთ ან მეორე კლუბში "მნიშნავენ".

**- ისიც არ გადაგიწყვეტიათ, დაბრუნდეთ თუ არა იტალიის ნაკრებში?**

- ნაკრებიდან წასვლა არასოდეს მინანია, რადგან ჩემს არჩევანში ყოველთვის თანმიმდევრული ვარ. დარწმუნებული ვარ, ის გადაწყვეტილება იყო აბსოლუტურად დროული და სწორი. რაც შეეხება დაბრუნებას... ამ კითხვაზე ყოველთვის ერთი პასუხი მაქვს და დღესაც იმავეს ვიტყვი: იტალიის ნაკრებს ძალიან კარგი მწვრთნელი ჰყავს და ჩემზე მუდმივი აპელირებით ნუ უშლით ამ კაცს ხელს მუშაობაში! დონადონი დიდ საქმეს აკეთებს. მის გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს. უბრალოდ, ვერ ვხედავ ნაკრებს, რომელიც ამ იტალიას სჯობია.

**- სერია A-ს თვალს ადევნებთ. ვინ არის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი?**

- ჩემი აზრით, დი ნატალე. მას ბრწყინვალე სეზონი აქვს. ანტონიო მალალი ტექნიკური მონაცემებითაა დაჯილდოებული და მთლიანად სწირავს თავს საკუთარ გუნდს.



მარჩელო ლიპი მალე დაბრუნდება

**- და გუნდი?**

- რა თქმა უნდა, "ინტერი". ეს გუნდი ძალიან ჰგავს ჩემს ძველ "იუვეს", უფრო ძველსაც და მომდევნოსაც. მაგრამ ყველაზე ლამაზ ფეხბურთს მაინც "რომა" თამაშობს. დააკვირდით, ლუჩანო სპალეტის აქვს შედეგები იმ პირობებშიც კი, როცა სანახაობრივ სტილზე აკეთებს აქცენტს. ეს ძალზე იშვიათია. მაგრამ თუ "ინტერმა" სკუდეტო მოიგო, მწვრთნელის "ოქროს სკამს" რობერტო მანჩინის მივცემდი. "სამპდორიაც" მომწონს. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, რომ ვალტერ მაძარი პირველივე სეზონში ამდენს მოახერხებდა. კასანომაც ბევრი რამ მისცა გუნდს. მაგრამ პერსპექტიულობის თვალსაზრისით, ყველაზე მეტად მხიბლავს პროექტი, რომელიც "ფიორენტინას" აქვს, დაახლოებით ისეთი, როგორიც "არსენალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედში" მუშაობს.

**- ცხადია, "იუვენტუსზეც" უნდა გკითხოთ. მოგწონთ კლაუდიო რანიერის გუნდი?**

- ძალიან. ეს ხელმეორე დაბადებაა. სწორედ რანიერი და მოთამაშეთა დიდი ჯგუფის გამოცდილება მიმაჩნია იმის გარანტად, რომ სეზონი წარმატებულად ჩაითვალოს. პრინციპში, უკვე შეიძლება წარმატებულ სეზონზე საუბარი, მაგრამ უკეთესი რომ იყოს, ამისთვისაც არსებობს ყველანაირი წინაპირობა.

**გიორგი ბელაშვილი**

# უზრუნველი მომავალი



**ერთხელ, ინგლისელმა ფორვარდმა გარი ლინეკერმა თქვა: ფეხბურთი არის თამაში, რომელშიც 22 ადამიანი მონაწილეობს და ყოველთვის გერმანელები იმარჯვებენო. დღეს კი ფეხბურთი არის თამაში, რომელშიც 22 მილიონერი მონაწილეობს, მათ კი თვალს ორი მილიარდერი ადევნებს...**

ბევრი ითვლის, რამდენი გოლი გაიტანა **კაკამ** ჩემპიონთა ლიგაში, მაგრამ თუ იციან რა დაუჯდა ეს "მილანს", ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით? დავიწყოთ იმ თანხით, რომელსაც ფეხბურთელები თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებისთვის იღებენ. შეხედეთ ყველაზე მაღალანაზღაურებად მოთამაშეთა ათეულს, რომელსაც სათავეში "მილანის" პლეიმეიქერი კაკა უდგას. "ოქროს ბურთის" ამჟამინდელი მფლობელი, ყოველ წელს, საკუთარ ანგარიშს სრული 9 მილიონი ევროთი ავსებს, რაც უზრუნველი მომავლის გარანტიაა.

მეორე ადგილზეა კიდევ ერთი ბრაზილიელი, და ისიც პლეიმეიქერი, **რონალდინიო**, რომლის ხელფასსაც დაახლოებით ნახევარი მილიონი დააკლდა თანამემამულის სარეკორდო თანხამდე. მისი ფრანგი თანაგუნდელი **ტიერი ანრი** კი წამყვანი ხუთეულის ბოლო რგოლია. ამ "ოქროს ფონდის" დანარჩენი მოთამაშეები ინგლისურ პრემიერლიგას წარმოადგენენ. მათი უმეტესობა ლონდონის "ჩელსიდანაა". გასაკვირი არაა ის, რაც თებერვალში ლონდონური კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა, **პიტერ კენიონმა** განაცხადა - უახლოეს ხანში მოთამაშეთა ხელფასების შეკვეცა იგეგმებაო. ეს პროცესი უკვე დაიწყო: თუ 2006 საფინანსო წელს (რომელიც 2007 წლის ზაფხულში დასრულდა) "არისტოკრატებმა" ფეხბურთელების ანაზღაურებაზე შემოსავლის 76 პროცენტი დახარჯეს, ახლა ეს ციფრი 70 პროცენტამდე დავიდა. კლუბის ამოცანაა, გასაყიდი მოცულობიდან გასაცემი თანხის 55 პროცენტამდე დაყვანა. შესაბამისად, აქამდე აღინიშნებოდა მხოლოდ ზრდა: თუ 2005 წელს "ჩელსიმ" მოთამაშეებს 108.9 მილიონი გირვანქა გადაუხადა, 2006 წელს ეს თანხა 114 მილიონამდე გაიზარდა. სიტყვამ მოიტანა და, **დევით ბექჰემის** აშშ-ში გადასაბირებლად, MLS-ს ხელფასების სალიმიტო ზღვრის აწევა მოუხდა, რასაც შემდეგ "ბექჰემის წესი" შეარქვეს.

გამოსავალი მარტივია: დიდი მოთამაშეები აქეთ-იქით დიდი ფულისთვის დადიან. შესანიშნავ ინგლისურ შვიდეულში მხოლოდ ოთხი ინგლისელია. დანარჩენები უცხოელები არიან, თანაც, სუპერვარსკვლავები - ამჟამინდელი, ანდა ყოფილი. რაც შეეხება **კრისტიანო რონალდოს**, ის ახლა მართლაც მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეა. ზოგიერთმა, შეიძლება, ამაზე იდავოს, მაგრამ ფაქტია, რომ პრემიერლიგაში საშუალო ხელფასი დაახლოებით მესამედით მაღალია ესპანურ პრიმერა დივიზიონთან და იტალიურ სერია A-სთან შედარებით. თუ ასეა, მაშინ წინა სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი **როლანდო ბიანკი** რატომ უნდა წასულიყო მანჩესტერში და არა რომში, ტურინში ან მილანში, თანაც არა იმ კლუბში, რომელიც შინაურ მატჩებს "ოლდ ტრეფორდზე" მართავს, არამედ "მანჩესტერ სიტიში".

## ჩიპსებიდან ავტომობილებამდე

...მაგრამ ეს მხოლოდ საერთო სურათის ნაწილია. ვფიქრობთ, ფეხბურთის გულშემატკივრებს ძალიან კარგად ესმით, პირადად ვინ სვამდა კითხვას: "დედა, გინდა "ლეისი"? დიახ, რეკლამაზე ვისაუბრებთ. მხედველობაში მივიღებთ თუ არა თანხას, რასაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები იღებენ ფირმებისგან, რომლებიც აწარმოებენ სხვადასხვა პროდუქციას, ჩიპსებიდან ავტომობილებამდე, სურათი მაშინვე მთლიანად შეიცვლება.

მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი, კაკა, უკვე პირველ ათეულშიც ველარ შედის. შემოსავლების რაოდენობით ლიდერობს ბექჰემი, რომელიც საკუთარი ხელფასით 50 საუკეთესოშიც ვერ ხვდება და პოზიციებს უთმობს, მაგალითად, **სოლ კემპბელს**. ყოველ კვირას, "ლოს ანჯელეს გალაქსის" ნახევარმცველზე, არც მეტი არც ნაკლები, მილიონი დოლარი იხარჯება.

აქ, მეორე ადგილი **რონალდინიოს** უკავია - უნდა იყოს რაღაც მუდმივი, ხომ ასეა? **ტიერი ანრიმაც** შეინარჩუნა პოზიცია. როგორც ჩანს, ეს "ბარსელონის" ფეხბურთელებს "სჩვევიათ". დანარჩენ შემთხვევაში სურათი იგივეა: პრემიერლიგის იგივე წარმომადგენლები, საერთო ჯამში, იგივე პროპორციებით.

არის ცვლილებებიც. სიაში გამოჩნდნენ სერია A-ს ფეხბურთელები: "იუვენტუსის" ქარიზმატული ლიდერი **ალესანდრო დელ პიერო**, რომელმაც დაამტკიცა, რომ ნიჭს ვერაფერს დაუშავებ; **ფრანჩესკო ტოტი** - ადამიანი რომიდან, "რომას" ძირითადი მოთამაშე 17 წლიდან და კაპიტანი 22 წლიდან. არცთუ ისე ცუდი მაგალითია ფეხბურთელებისთვის, რომლებიც ფიქრობენ, რომ უკვე 23-24 წლის ასაკში მათ რაღაც პრივილეგიები ეკუთვნით.

**დავით ჩუბინიძე**

მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელების ათეული (2007, მლნ. ევროებში)

| | |
|---|---|
| 1. კაკა (მილანი) | 9 |
| 2. რონალდინიო (ბარსელონა) | 8.52 |
| 3. ჯონ ტერი (ჩელსი) | 8.04 |
| 4. ფრენკ ლემპარდი (ჩელსი) | 8.04 |
| 5. ტიერი ანრი (ბარსელონა) | 7.8 |
| 6. კრ. რონალდო (მანჩესტერ იუნ) | 7.68 |
| 7. მიხაელ ბალაკი (ჩელსი) | 7.44 |
| 8. ანდრეი შევჩენკო (ჩელსი) | 7.44 |
| 9. სტივენ ჯერარდი (ლივერპული) | 6.78 |
| 10. უეინ რუნი (მანჩესტერ იუნ) | 6.78 |

მაღალშემოსავლიანი ფეხბურთელების ათეული (2007, მლნ. ევროებში)

| მოთამაშე | ხელფასი | სარეკლ. კონტრაქტი | ჯამი |
|---|---|---|---|
| 1. ბექჰემი | 4.5 | 17.25 | 21.75 |
| 2. რონალდინიო | 8.52 | 11.73 | 20.25 |
| 3. რუნი | 6.78 | 8.77 | 15.55 |
| 4. კრ. რონალდო | 7.68 | 5.5 | 13.18 |
| 5. ანრი | 7.8 | 4 | 11.8 |
| 6. დელ პიერო | 4.8 | 5.86 | 10.66 |
| 7. ტერი | 8.04 | 2.1 | 10.14 |
| 8. ლემპარდი | 8.04 | 1.64 | 9.68 |
| 9. ტოტი | 5.46 | 3.43 | 8.89 |
| 10. ჯერარდი | 6.78 | 1.64 | 8.42 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# რეალი ბარსელონისგან ღირსების დერეფანს ელის

## რამონ კალდერონმა ისტორიული მშენებლობა წამოიწყო. ამ დღეზე თვით სანტიაგო ბერნაბეუ ოცნებობდა



**მაჰამადუ დიარა** მადრიდული ცხოვრებით უკიდურესად უკმაყოფილოა. აფრიკელმა ნახევარმცველმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. მოედანზე ის სულ უფრო ცოტა დროს ატარებს. **ბერნდ შუსტერმა** მას პირად საუბარშიც განუცხადა, რომ **ფერნანდო გაგოს** უფრო ენდობა. გერმანელმა სპეციალისტმა დიარა რამდენჯერმე ფლანგზე ათამაშა, მაგრამ შედეგით მწვრთნელი და ფეხბურთელი თანაბრად უკმაყოფილოები დარჩნენ. მოკლედ, მაჰამადუ ძალიან განიცდის რომ უწინდებურად დაფასებული არ არის და შექმნილ სიტუაციას რადიკალური განცხადებით ეხმაურება: "მიუხედავად იმისა, რომ "რეალი" მსოფლიოში ყველაზე ტიტულოვანი კლუბია, სათადარიგოთა სკამზე ჯდომას მაინც ვერ შევეგუები. მე სისტემატურად თამაშის ამბიცია მაქვს. მიმაჩნია, რომ ვარჯიშებზე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა ვარ. თავს არასოდეს ვზოგავ, ყოველთვის მაქსიმუმს ვაკეთებ. რა თქმა უნდა, სეზონის მიწურულს ისევე ენერგიული ვერ იქნები, როგორც ჩემპიონატის დასაწყისში, მაგრამ ჩემი აზრით, ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით მე არავის ჩამოვუვარდები. შუსტერი ან შეცდომას უშვებს, ან მიზნობრივად არ მათამაშებს. ცხადია, "რეალიდან" წასვლა არ მსურს, მაგრამ მომავალშიც თუ ასე გაგრძელდება, იძულებული გავხდები, სხვა გუნდი მოვძებნო."

კაცმა რომ თქვას, დიარას წასვლით "რეალი" არ დაიქცევა. სამეფო კლუბისთვის, ალბათ, **ხავიერ სავიოლას** სხვა გუნდში გადაბარგებაც არ იქნება დიდი ტრაგედია. საქმე ის არის, რომ "სანტიაგო ბერნაბეუდან" წასვლის შესაძლებლობაზე არგენტინელმა ფორვარდმაც ჩამოაგდო სიტყვა. პრინციპში "ბაჭიას" უკმაყოფილებისთვის გაცილებით სერიოზული მიზეზი აქვს. დიარა, მხოლოდ ბოლო ტურებია ძირითადში სტაბილურად თამაშს ვერ ახერხებს, სავიოლა კი "რეალში" ჩარიცხვიდან დღემდე თითქმის სულ სათადარიგოთა სკამზე ზის. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, მისი გუშინდელი განცხადების ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: "როგორ შეიძლება, ჩემი მდგომარეობით კმაყოფილი ვიყო. სამეფო კლუბში გადმოსვლიდან დღემდე შესაძლებლობების დემონსტრირების შანსი არ მომცემია. რა თქმა უნდა, კარგად ვაცნობიერებ, რომ გუნდში უდიდესი კონკურენციაა, თუმცა ისეთი ხელწამოსაკრავი ფორვარდიც არ ვარ, რომ მუდმივად სათადარიგოთა სკამზე მამყოფონ. ჩემი აზრით, უფრო სამართლიანი იქნებოდა, მოედანზე გასვლის საშუალება უფრო ხშირად რომ მომცემოდა. ცხადია, ბედთან შეგუებას არ ვაპირებ. ურთულესი სიტუაციის მიუხედავად, ოპტიმიზმი არ დამიკარგავს. მჯერა, ომახიანი სიტყვის თქმის შესაძლებლობა მაინც მომეცემა. ვარჯიშზე მიღებული ტრავმა მცირე ხნის წინ მოვიშუშე. ნელ-ნელა სასურველ კონდიციებს ვუახლოვდები. გაათმაგებული ენერგიით ვიმუშავებ და მწვრთნელს დავარწმუნებ, რომ არავის ჩამოვუვარდები. მოკლედ, ყველაფერს გავაკეთებ, რათა თამაში შევძლო... მაგრამ, თუ მაინც არაფერი გამომივა და არ მათამაშებენ, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობას სხვა კლუბში წასვლაზე დაველაპარაკები. ფეხბურთელის პროფესიული ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა, რამდენიმე წელიწადში კარიერის დასრულება მომიწევს და მინდა, მანამდე ფეხბურთი ვითამაშო. სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ყელში ამომივიდა."

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სავიოლას "რეალის" დატოვება მოუწევს. საქმე ის არის, რომ **პრედრაგ მიატოვიჩმა** არგენტინელი ფორვარდის ტრანსფერზე დაყენების ინიციატივა ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ გაახმაურა. სამხრეთამერიკელისთვის რაოდენ მძიმე მოსასმენიც არ უნდა იყოს, სამეფო კლუბის ძირითად შემადგენლობაში მისთვის ადგილი არ მოინახება.

ერთი წლის წინათ **რუბენ დე ლა რედსაც** აბსოლუტურად ანალოგიური პრობლემა აწუხებდა. ახალგაზრდა მცველისთვის მსოფლიო ფეხბურთის უდიდეს გრანდში ადგილი არ მოინახა და ის „ხეტაფეს" მიჰყიდეს. დედაქალაქური გიგანტის ხელმძღვანელობა ახლა, ალბათ, ძალიან ნანობს, რადგან დე ლა რედი **მიქაელ ლაუდრუპის** გუნდში ფანტასტიკურად ათამაშდა. მან **ლუის არაგონესის** მოწონებაც კი დაიმსახურა. თავად განსაჯეთ, "სელექსიონის" თავკაცმა ის ქვეყნის უმთავრეს გუნდში მიიწვია. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რუბენი შესანიშნავ ფორმაშია. ბერნდ შუსტერმა მისი გასხვისება შეცდომად შერაცხა და ხელმძღვანელობას "რეალის" კანტერაში გაზრდილი ფეხბურთელის სასწრაფოდ უკან დაბრუნება მოსთხოვა. მიატოვიჩმა მწვრთნელის თხოვნის სისრულეში მოყვანის მიზნით "ხეტაფეს" პრეზიდენტს დაურეკა. **ანხელ ტორესი** კოლეგის ზარს აშკარად ელოდა. ყოველ შემთხვევაში, მას სამეფო კლუბის დაინტერესება არ გაკვირვებია. სენიორ ტორესს დე ლა რედის გაშვება არ სურს, მაგრამ მას სხვა გზა უბრალოდ არ გააჩნია. ერთი წლის წინათ სატრანსფერო ხელშეკრულების გაფორმებისას ერთ-ერთ პუნქტად ჩაიწერა, რომ "რეალს" რუბენის გამოსყიდვის ექსკლუზიური უფლება ექნებოდა. სხვათა შორის, ამ ოპერაციის თანხაც გარკვევით გაიწერა. მადრიდულ გრანდს დე ლა რედის სახლში დასაბრუნებლად 4.5 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე "ხეტაფემ" მის სანაცვლოდ მხოლოდ 3 მილიონი გადაიხადა. გუნდს 1.5-მილიონიანი მოგება კი დარჩება, მაგრამ პრეზიდენტი მაინც უკმაყოფილოა. ტორესი რა თქმა უნდა, იმაზე დარდობს, რომ დე ლა რედის საბაზრო ღირებულება გაცილებით მეტია, თუმცა "ხეტაფეს" უმაღლესი ხელისუფალი კონტრაქტის მისთვის ავადსახსენებელ პირობას ვერსად გაექცევა. ფულის გაკეთების ერთადერთი შანსი მას იმ შემთხვევაში მიეცემოდა, თუ **რამონ კალდერონსა** და პრედრაგ მიატოვიჩს რუბენის დაბრუნების სურვილი არ გაუჩნდებოდათ. სენიორ ანხელი მცველს სხვა გუნდში შეუდარებლად ძვირად გაყიდდა, მაგრამ სამეფო კლუბში გიჟები არ მუშაობენ. ისინი რა თქმა უნდა, ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ.

გუშინ "რეალის" პრეზიდენტმა ისტორიულ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი. რამონ კალდერონმა სამეფო კლუბის ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დაიწყო. მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უპირველესი გრანდის უმაღლესმა ხელისუფალმა საძირკველში ცემენტის პირველი გროვა პირადად ჩაასხა. სიტყვა ისტორიული შემთხვევით არ გვიხსენებია. საქმე ის არის, რომ ამ პროექტის განხორციელებაზე თვით ლეგენდარული **სანტიაგო ბერნაბეუ** ოცნებობდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები ერთჭერქვეშ ცხოვრებით "რეალის" ღირებულებებს შეისისხლხორცებდნენ. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ამ იდეის რეალიზება აქამდე ვერავინ შეძლო. რამონ კალდერონი დარწმუნებულია, რომ სანტიაგო ბერნაბეუს ჩანაფიქრის ხორცშესხმა XXI საუკუნეშიც უდიდეს ეფექტს იქონიებს:

"ჩვენ დღეს ისტორიულ მშენებლობას ვიწყებთ. სხვადასხვა ლეგენდარული ფეხბურთელის მემუარებში წამიკითხავს, რომ სენიორ ბერნაბეუ კანტერისთვის იმ დროისთვის ფეშენებელური საცხოვრებელი კორპუსის აშენებაზე ოცნებობდა. მისი სიტყვები ძალიან რომანტიკულად ჟღერს. არ დაგიმალავთ, თავიდანვე მოხიბლული დავრჩი, მაგრამ ამ მშენებლობის დაწყება მხოლოდ ამისთვის არ გადამიწყვეტია. ყველაფერი პრაგმატული გათვლებით ავწონ-დავწონეთ, ბიზნესპარტნიორები დავითანხმეთ და დღეს საძირკველი ჩავუყარეთ. ეჭვი არ მეპარება, რომ ერთჭერქვეშ შეკრებილი ახალგაზრდა ფეხბურთელები ადაპტაციას უფრო მარტივად გაივლიან. ჩვენს კანტერაში მარტო მადრიდელები ხომ არ ირიცხებიან. ნიჭიერ ფეხბურთელებს მთელ მსოფლიოში ვეძებთ. წარმოიდგინეთ, რამხელა შვება იქნება, ღარიბი მოზარდისთვის უფასო საცხოვრებელში ცხოვრება. ადრე ხელფასის საკმაოდ სოლიდურ ნაწილს ბავშვების მშობლები ბინის ქირაში იხდიდნენ. ახლა მათ შეეძლებათ სამშობლოში დარჩნენ და შვილი ჩვენ მოგვანდონ. ბავშვებს მთელი ხელფასი დაეზოგებათ, რადგან მათ ყველა ოთახს, რა თქმა უნდა, უფასოდ დავუთმობთ. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ინიციატივას სპონსორები უდიდესი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ. მაგალითად, კომპანია "აუდიმ" პროექტის ღირებულების 65 პროცენტი დაფარა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, იმაზე მეტყველებს, რომ "რეალი" უწინდებურად პოპულარული გუნდია. გერმანული კონცერნის მესვეურები დარწმუნებულები არიან, რომ ჩვენთან თანამშრომლობით სერიოზულ რეკლამას გაიკეთებენ და ფინანსურ მოგებას ნახავენ. ამ პროექტში სხვა კომპანიებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. მაგალითად, "აუდის" შემდეგ ყველაზე მეტი თანხა "ადიდასმა" და "მაუმ" გაიღეს. ჩვენი კონტრაქტის დეტალებზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ მოკლედ ვიტყვი, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ კორპუსზე ყველა სპონსორის სარეკლამო დაფებს დავალაგებთ."

კალდერონის ინიციატივას **რაულ გონსალესმა** ხოტბა შეასხა. აი, რა განაცხადა "რეალის" კაპიტანმა: "ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვარ. მე "რეალის" კანტერაში ვთამაშობდი და ასეთი ფუფუნება არ მქონია. მიუხედავად იმისა, რომ მადრიდში სახლ-კარი მქონდა, თანაგუნდელებთან ერთად მაშინ დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი. კარგად მახსოვს, ვარსკვლავების დანახვა განუზომელ სიხარულს მანიჭებდა. ვცდილობდი, მათთვის მიმებაძა, მაგრამ მშობლებს სახლში მივყავდი და მუდამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაწუხებდა. ამიერიდან, "რეალის" პატარა ბავშვებსა და კანტერის მოთამაშეებს საკუთარი კორპუსი ექნებათ. ბავშვები დიდი ფეხბურთელების მაგალითზე გაიზრდებიან. ჩვენ ერთ ბაზაზე ვიქნებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ერთად სამეფო კლუბს წარმოვადგენთ. მოკლედ, დღეს მართლაც ძალიან დიდ საქმეს ჩაეყარა საფუძველი."

"დიარიო მარკას" კორესპონდენტმა **ხოსე ფელიქს დიასმა** რაული იქამდე არ გაუშვა, მანამ "რეალის" საჩემპიონო გეგმებზე არ ალაპარაკა. მოგეხსენებათ, მადრიდელები პრიმერა დივიზიონს ერთპიროვნულად ლიდერობენ. მრავალი ქულის გაფლანგვის მიუხედავად, ისინი ტიტულის მოპოვების საუკეთესო შანსს ფლობენ. მოტივაცია ფეხბურთელებს ისედაც არ აკლიათ, მაგრამ ერთი გარემოება მათ გამარჯვების სურვილს უათკეცებს. საქმე ის არის, რომ "რეალს" ესპანეთის ჩემპიონატში ზედიზედ ორჯერ აგერ უკვე 18 წელიწადია არ გაუმარჯვია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი შემადგენლობიდან ზედიზედ ორი საჩემპიონო ტიტულით გამოწვეული სიხარული არავის განუცდია. გონსალეს ბლანკოს ჯერა, რომ ნანატრი დღე ძალიან ახლოსაა: "კარიერის განმავლობაში უამრავი ჯილდო მომიგია. ამ მიღწევებით მთელი ცხოვრება ვიამაყებ, მაგრამ არ მინდა, ფეხბურთიდან ისე წავიდე, რომ ესპანეთის ჩემპიონატი ზედიზედ ორჯერ მაინც არ მოვიგო. ყველა დამეთანხმება, წელს საამისოდ საუკეთესო შესაძლებლობა გვაქვს. სიბელესამდე რამდენიმე ნაბიჯილა გვაშორებს. თუ ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ჩვენ გვაქვს დაგეგმილი, მაისში სუპერკლასიკოს ჩემპიონების სტატუსით ჩავატარებთ. ძალიან მინდა, "ბარსელონამ" "სანტიაგო ბერნაბეუზე" ღირსების დერეფანი გაგვიკეთოს. ეს უდიდესი სიამოვნება იქნება. ერთი სიტყვით, ზედიზედ ორი ტიტულის მოპოვება ჩემი კარიერის მორიგი ტრიუმფი იქნება."

"რეალზე" საუბარს არცთუ სასიამოვნო ინფორმაციით დავასრულებთ. "მალიორკასთან" მატჩში **სერხიო რამოსმა** წითელი ბარათი მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა. გუნდის ხელმძღვანელობამ ესპანეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომიტეტში აპელაცია შეიტანა. მათი მტკიცებით, **დაუდენ იბანიესმა** ახალგაზრდა მცველი დაუმსახურებლად გააძევა. ერთი სიტყვით, დედაქალაქელები დისკვალიფიკაციის გაუქმებას ითხოვდნენ, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტმა მათი არგუმენტები არ გაითვალისწინა და რამოსს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაუტოვა. ასე რომ, სერხიო "მურსიასთან" მატჩში ვერ ისასპარეზებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### ვან გაალს ჰამბურგი შესთავაზეს

"ალკმაარის" თავკაცი **ლუის ვან გაალი**, შეიძლება, "ჰამბურგში" დაინიშნოს. 55 წლის ჰოლანდიელი სპეციალისტი "აზ 67-ს" სეზონის ბოლოს დატოვებს. კლუბთან ორმხრივი შეთანხმება მიღწეულია. მხარეები კონტრაქტს ვადაზე ადრე გაწყვეტენ. "ჰამბურგს" ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **სლავენ ბილიჩის** მიწვევა სურდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ევროპის ჩემპიონატის დასრულებასაც არ დაელოდა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან ახალ ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი. ახალი მწვრთნელის გარდა, "ჰამბურგს" განზრახული აქვს, დაიბრუნოს ჰოლანდიელი მცველი **ხალიდ ბულარუზი**, რომელიც ჩელსის იჯარის წესით "სევილიაში" ჰყავს გაშვებული.



### მილანი მცველებს ინგლისში ეძებს

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "მილანს" "მანჩესტერ სიტისა" და ხორვატიის ნაკრების მარჯვენა მცველის, **ვედრან ჩორლუკას** შეძენა სურს. "როსონერი" უკანა ხაზის გადახალისებას აპირებს. მისი ყურადღება პრემიერლიგაში მოასპარეზე კიდევ ერთმა მცველმა, **კრისტოფერ სამბამ** მიიპყრო. ჩორლუკა 22 წლისაა, სამბა — 24-ის. ეს უკანასკნელი კონგოელია და "ბლექბერნში"თამაშობს. "სანდი მირორის" ცნობით, მილანელთა სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. კლუბი მზადაა, "ვესტ ჰემს" 3.5 მილიონი გირვანქა შესთავაზოს ირლანდიელი მარცხენა მცველის, **ჯორჯ მაკარტნის** სანაცვლოდ. სპეკულაციებს ოფიციალური კომენტარები არ მოჰყოლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ვინ არის გიორგი შერმადინი?



გიორგი შერმადინი

2004 წლის შემოდგომით, "კახეთის დედაქალაქში", საკალათბურთო მატჩზე გამგზავნეს. ერთმანეთს თელავის "ბურჯი" და სოხუმის სსუ ეთამაშებოდნენ. იმ დღეს ორი რამ დამამახსოვრდა: ყოველი სახლის ეზოდან გამომავალი მწვადის სურნელი და "ბურჯის" სიმაღლე. თელაველებს მეტისმეტად ტანმაღალი კალათბურთელები ჰყავდათ. ყველაზე მაღალი, ერთი გამხდარი ახალგაზრდა, თამაშში არ ჩართულა, სამაგიეროდ, მისმა მოგვარემ, შედარებით ჩასხმულმა, დაახლოებით 20 წუთი ითამაშა.

2008 წლის 21 მარტსაც იგივე განმეორდა - "ვითასთან" მატჩი ახალგაზრდამ სათადარიგოთა სკამზე გაატარა. მისმა უფროსმა მოგვარემ კი ორმაგი დუბლი შეასრულა. ამ შეხვედრის დასაწყისში **გიორგი შერმადინმა** სიმბოლურად ყვითელი მაისური გაიხადა, უფროს ძმას, **სოსოს** გადაულოცა, თვითონ კი საქართველოს ჩემპიონატს გამოემშვიდობა - NBA-ს დრაფტისთვის მოსამზადებლად ამერიკაში წავიდა.

ალბათ მიხვდით, რომ თელავის "ბურჯში" 2004 წელს სწორედ ორი ძმა შერმადინი თამაშობდა. როგორ შეიძლება სამნახევარ წელიწადში საქართველოდან NBA-ს დრაფტზე მოხვედრა, ამას გიორგის მაგალითზე განვიხილავთ. მანამდე გავიხსენოთ, რას წარმოადგენდა შერმადინი პირველ სეზონში (2004-05 წლებში).

თელავიდან "მაკაბიში" გიორგი შერმადინი 2004 წლის დეკემბერში გადავიდა. **ჯამლეტ ხუხაშვილი** მას ჯერ ინდივიდუალურად ავარჯიშებდა და დუბლების ჩემპიონატში ათამაშებდა, უმაღლესი ლიგისთვის შეამზადა და სუპერლიგაში "შერმადინის" დებიუტი 2005 წლის თებერვალში შედგა. მისი პირველი ინტერვიუ მეორე თამაშის შემდეგ ჩავწერე. როგორც წესი, ახალგაზრდა კალათბურთელებს ჯერ ვაკვირდები, მათზე ინფორმაციებს მწვრთნელებისგან ვაგროვებ და შემდეგ ვესაუბრები, მაგრამ შერმადინის შემთხვევაში ასე არ მომხდარა. საწყის ორ შეხვედრაში გამხდარმა, წელში ოდნავ მოხრილმა და სიმაღლის კვალობაზე კარგად მსროლელმა ახალგაზრდამ მე კი არა, ქართული კალათბურთის ყველა სპეციალისტი დააინტერესა.

ინტერვიუს ჩაწერისას ერთდროულად ვესაუბრებოდი გიორგი და სოსო შერმადინებს. უმცროსი მორიდებით, ლია თვალებით საუბრობდა, სოსო კი თამამად ყვებოდა მკითხველისთვის საინტერესო ამბებს. უფროსი ძმის მონათხრობიდან გამოირკვა, რომ გიორგიმ კალათბურთის თამაში მისი მიბაძვით დაიწყო, თუმცა თავიდან მხოლოდ გასართობად თამაშობდა. ძმებს შორის ასაკში სხვაობის გამო "მაკაბიმდე" ერთმანეთის წინააღმდეგ ამხანაგურადაც არ უასპარეზიათ. ყველაზე საინტერესო სოსოს მიერ მომავლის განჭვრეტა გახლდათ.

*"შემომხედეთ, გვერდებში ცოტა გავსუქდი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი კარიერა ქვემოთ ეშვება. შესაბამისად დიდი კალათბურთის თამაშს ველარ შევძლებ. ჩემი ძმის სხეული კი მზადაა დატვირთვებისთვის და კუნთების ასასხმელად. კალათბურთელის ტანი აქვს, ვეცდები ყველანაირად დავეხმარო, რათა დიდ კალათბურთელად ჩამოყალიბდეს".*

სოსოს ვარაუდი გიორგის შესახებ გამართლდა, საკუთარ თავზე საუბრისას კი შეცდა - მისმა კარიერამ ალმავლობა სწორედ "მაკაბიში" გადასვლის შემდეგ განიცადა. იგი თავიდან მძიმე იყო, შემდეგ ყოველგვარი ზედმეტი წონა მოიშორა და ახლა საქართველოს ჩემპიონატის ღირებული ცენტრია.

214 სმ სიმაღლის მეფარის ხელში ჩაგდების შემდეგ "მაკაბის" დამრიგებელმა ჯამლეტ ხუხაშვილმა შორი გათვლა გააკეთა. 2005-06 წლების სეზონში მან პირველად ახსენა შერმადინის NBA-ს დრაფტზე დაყენების ამბავი, თან დასძინა - იგი ამერიკაში პირდაპირ საქართველოდან მოხვდებაო. 2005 წელს ამ ფრაზამ ბევრს ირონიული ღიმილი მოჰგვარა, ზოგი შერმადინის მომავალზე დააფიქრა. მეც ამ უკანასკნელთა შორის ვიყავი. ნამდვილად არ მჯეროდა, რომ საქართველოს ჩემპიონატიდან NBA-ში მოხვედრა შეიძლებოდა. ვფიქრობდით, ასეთი მიდგომით, შეიძლება შერმადინს კარიერა დაუნგრიონ-მეთქი და არაერთი სტატია დავწერე, რომელთა შინაარსი ერთი იყო - გიორგიმ კარიერა უცხოეთში უნდა გააგრძელოს. ისეთ გუნდში, სადაც საკალათბურთო ანა-ბანას ასწავლიან, შემდეგ ევროპის მაღალი დონის ჩემპიონატში ათამაშებენ და ამის მერე შეიძლება NBA-ზე ფიქრი-მეთქი. წინ სამი მაგალითი მქონდა - **ცქიტიშვილი, სტეფანია** და **ფაჩულია** საქართველოდან ჭაბუკურ ასაკში გავიდნენ, ევროპაში მოემზადნენ და NBA-ში ამის შემდეგ მოხვდნენ.

სლოვენიაში გამოწვრთნილმა **დავით უგრეხელიძემ** ჩემს მოსაზრებას მხარი აუბა - შერმადინი "ოლიმპიის" დარ კლუბში უნდა წავიდეს, სადაც შედეგზე მეტად კალათბურთელის წინსვლა აინტერესებთო. ჩემი და დათოს მოსაზრებებს ერთი საფუძველი ჰქონდა: საქართველოში პირობების არქონის (სამედიცინო შემოწმებებიდან დაწყებული, შხაპის მიღებით დამთავრებული) და შიდა ჩემპიონატის დაბალი დონის გამო პროფესიული ზრდა თითქმის წარმოუდგენელი იყო.

შერმადინსა და მის მომავალზე თითქმის ყველა რესპოდენტს ვეკითხებოდი. ერთ-ერთისგან საინტერესო მოსაზრება მოვისმინე. აი, რა მითხრა **ნუგზარ კანდელაკმა**: *- მჯერა, რომ საქართველოდან პირდაპირ NBA-ს დრაფტზე გიორგის დაყენება შეიძლება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი სწრაფად პროგრესირებს, შრომისმოყვარეა და ყველა მონაცემი აქვს მაღალი კლასის კალათბურთელად ჩამოსაყალიბებლად. მეორეც, მას ჯამლეტ ხუხაშვილი ხელს სათანადოდ უწყობს, სწორ რეჟიმში ამუშავებს. ...და მესამე - ამერიკაში 216 სმ სიმაღლის ცენტრები იშვიათობაა, მითუმეტეს ისეთი, რომელსაც სროლა შეუძლია. თუკი გიორგი საქართველოში კარგად დამუშავდება, ამერიკელები მის ევროპულ მონაგარზე წინ მის მონაცემებს დააყენებენ. შეიძლება პირველ წელს NBA-ს ნაცვლად მეორე, განვითარების ლიგაში ათამაშონ, მაგრამ მჯერა, რომ ადრე თუ გვიან, შერმადინი NBA-ში მოხვდება.*

დავუკვირდეთ ნუგზარ კანდელაკის ფრაზას - გიორგის ჯამლეტ ხუხაშვილი ხელს სათანადოდ უწყობს. "მაკაბის" მწვრთნელმა მობილიზება გაუკეთა მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს, რათა შერმადინი ისე გაზრდილიყო, როგორც ნებისმიერ ევროპის ტოპ-გუნდში: ტრენაჟორებზე სპეციალური ვარჯიშები დაუნიშნა, ეტაპობრივად სამედიცინო შემოწმებაზე ატარებდა, მიაბარა პირადი ექიმი, ვარჯიშების შემდეგ შხაპის მიღებაზე საუბარი არც ღირს...

...მთავარი კი სათამაშო დრო გახლდათ. შერმადინს პირველ წელს დუბლებსა და დიდ გუნდში 40-40 წუთი უხდებოდა თამაში. მომდევნო ორ სეზონში (2006-08) მხოლოდ უმაღლეს ლიგაში თამაშობდა შეუცვლელად.

ბევრი სკეპტიკოსი ამბობდა, რომ შეუცვლელად მოედანზე ყოფნა შერმადინის გადაღლასა და გამოფიტვას გამოიწვევდა, მაგრამ მას სათანადო გამძლეობა აღმოაჩნდა. თამაშების პარალელურად ტრენაჟორებზე დატვირთვამაც შედეგი გამოიღო და 2008 წლისთვის მივიღეთ წელში გამართული, კუნთასხმული და სათამაშო პრაქტიკის მქონე შერმადინი. მოკლედ, ისეთი, რომელმაც არაერთი საკალათბურთო აგენტის ყურადღება მიიქცია. "მაკაბის" მწვრთნელმა და კალათბურთელმა ხელშეკრულება ისეთ სააგენტოსთან გააფორმეს, რომლის ხელმძღვანელი, **ტოდ რამასარი** გიორგის დრაფტზე დაყენებას დაპირდა.

შერმადინი ახლა ამერიკაშია და ცნობილ სპეციალისტ **ჯო აბუნასართან** ინდივიდუალურად ვარჯიშობს. დრაფტის მოახლოვებასთან ერთად, მოიმატებს საჩვენებელი ვარჯიშების რაოდენობა. **ნიკა ცქიტიშვილმა** სწორედ წინასადრაფტო ვარჯიშებზე მოხიბლა "დენვერის" უფროსობა და ამიტომაც აიყვანეს მე-5 ნომრად. დღეს ძნელია შერმადინის სადრაფტო ნომრაზე საუბარი, მაგრამ ტოდ რამასარი იმისაც დაჰპირდა, გიორგის გვარს დრაფტზე აუცილებლად გაიგონებთო. თუ იგი "სან ანტონიოს" დარმა კლუბმა აიყვანა, პირველივე წელს ევროპაში გამოუშვებს, თუ "სიეტლის" მსგავსმა...

ამერიკაზე საუბრით იმდენად გავერთე, რომ ერთი დეტალი გამომრჩა - ჯერჯერობით, გიორგი შერმადინს საქართველოს ნაკრებში მხოლოდ 10 წუთი აქვს ნათამაშები...

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი. რუსეთი-საქართველო. 12 აპრილი

# დავამარცხოთ, როგორც ყოველთვის!

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები გუშინ, დილით კრასნოიარსკში ჩაფრინდა და შაბათს რუსეთის ეროვნულ გუნდთან საბრძოლველად ემზადება. ბორჯღალოსნებს ციმბირში ცივი ამინდი დახვდათ. რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე მაშინ მოვიხელთეთ, როცა ირაკლი აბუსერიძესთან და გოდერძი შველიძესთან ერთად ვახშმობდა.**

- მგზავრობა ძალიან ხანგრძლივი და მომქანცველი იყო. - - კრასნოიარსკში თოვლი და ყინვა დაგვხვდა. საორგანიზაციო საკითხები მოგვარებულია. რატი ურუშაძის კლუბმა "ენისეიმ" სავარჯიშო მოედანი გამოგვიყო. აქ მოღვაწე ჭიდაობის ცნობილმა მწვრთნელმა დიმიტრი მინდიაშვილმა კი - ავტობუსი. სასტუმრო ნორმალურია, არც საკვების ხარისხს ვუჩივით.

**- კრასნოიარსკში ახლა თოვსო, თქვით. ხომ არ დადგება დღის წესრიგში უამინდობის გამო მატჩის გადატანის საკითხი?**

- არა, ყველა თამაში აუცილებლად გაიმართება. იმ მოედანს, სადაც უნდა ვითამაშოთ, ხელოვნური გათბობა აქვს და საფარი, როგორც ამბობენ, კარგ მდგომარეობაშია.

**- ნაკრების მოთამაშეებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ხომ არ აწუხებთ?**

- დავით დადუნაშვილს აქვს მცირე ტრავმა, გიორგი შკინინს ფეხი აწუხებს, გიორგი ჩხაიძეს კუნთი აქვს დაჭიმული.



ირაკლი აბუსერიძე



გოდერძი შველიძე

თუმცა იმედი გვაქვს, მატჩის დღისთვის ყველა სრულ მზადყოფნაში იქნება. გუნდმა დღეს ერთი ვარჯიში გამართა. ხვალიდან ორჯერადზე გადავლენ. ვიდეოანალიზიც ნახეს. ერთი სიტყვით, მზადება დაგეგმილი სცენარით მიდის და იმედი გვაქვს, თამაშიც ასევე წარიმართება.

**ირაკლი აბუსერიძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:** - კრასნოიარსკში ძალიან კი ცივა, მაგრამ არა უშავს, გავუძლებთ;. რუსები ყველაფერს აკეთებენ, რომ წავაგოთ, მაგრამ... არ მინდა წინასწარ ლაპარაკი. რუსეთის ნაკრების ორი შეხვედრა განვიხილეთ რუმინეთთან და პორტუგალიასთან. რომ ვთქვა მომატებული აქვთო, არ იქნება სწორი. ძირითადად უკანა ხაზით ცდილობენ გაშლილ თამაშს, შერკინებით - ნაკლებად. ათთან თამაში იოლი არასდროს ყოფილა. რთული და დაძაბული შეხვედრა გველის.

მართალია, ბევრი მოთამაშე გვაკლია, მაგრამ ვინც არიან, ისინიც არანაკლებ იბრძოლებენ. ერთი სიტყვით, როგორც ყოველთვის, რუსეთი ამჟამადაც უნდა დავამარცხოთ.

**გოდერძი შველიძე, ვიცე-კაპიტანი:** - ძნელი თამაში იქნება. ყოველთვის ასე იყო. ახლა სიტუაცია ისეთია - ან ჩვენ, ან ისინი. კარგი იქნება, თუ მოვიგებთ და ერთა თასს დავეუფლებით. არ გვიყვარს წინასწარ ლაპარაკი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა - ჩვენც გამარჯვებაში იოტისოდენა ეჭვიც არ მეპარება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ხელბურთი. ლეგიონერები

# დათუკაშვილის უგოლო ნაგება

ორკვირიანი პაუზის შემდეგ, გერმანიის სახელბურთო ბუნდესლიგა განახლდა. **სერგო დათუკაშვილის** "ლიუბეკემ" მეცხრეადგილოსან "გროსვალშტადტს" უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 26:27 წააგო. სერგოს გერმანიაში გადასვლის შემდეგ, მეორედ მოხდა, რომ მან უგოლოდ დატოვა მოედანი. ქართველი შუამარბი ახლა ბუნდესლიგის რიგით 22-ე ბომბარდირია 26 მატჩში გატანილი 125 გოლით. "ლიუბეკე" კვლავ გასავარდნი ზონიდან 1 საფეხურით ზემოთ - მე-15 ადგილზე იმყოფება და "ესენს" 1 ქულით უსწრებს. თუმცა, ესენელებს 1 მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

# ჭანტურიას ნახევარფინალი

მაკედონიაში გაიმართა სახელბურთო ჩემპიონატის მორიგი ტური, რასაც ქვეყნის თასის გათამაშების მეოთხედფინალური ეტაპი მოჰყვა.

ჩემპიონატში **რეზო ჭანტურია** და სკოპიეს "მეტალურგი" შინაურ "ავტოკომანდაზე" დაუხვდნენ "ტინექსს". დედაქალაქელებმა 37:25 იმარჯვეს, 53 ქულა მოუგროვდათ და კვლავ 3 ქულით უსწრებენ უშუალო კონკურენტ "ვარდარს". მაკედონიის ჩემპიონატის დამთავრებამდე 9 ტურია დარჩენილი. რეზომ "ტინექსს" 1 გოლი აკმარა. თასზე "მეტალურგებს" შედარებით გაუჭირდათ. მათ "პროლეტი" მხოლოდ 4-ბურთიანი სხვაობით (30:26) დაამარცხეს, მაგრამ ნახევარფინალში გასვლისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ჭანტურიამ ამჯერად 8 გოლით გამოიჩინა თავი, რაც მოედანზე მყოფ ხელბურთელებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# საქართველოს ჩემპიონი შეფერხდა

დუბაიში მიმდინარე მეათე, საიუბილეო ტურნირზე, რომელზეც დუბაის შეიხ რაშიდ ბინ ჰამდან ალ მაქთუმის სახელობის თასიც თამაშდება, გუშინ მესამე ტურის პარტიები გათამაშდა. ტურნირში ოთხი ქართველი მონაწილეობს - საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **ლევან ფანცულაია** (2617), **თამაზ გელაშვილი** (2622), **დავით არუთინიანი** (2593) და **მერაბ გაგუნაშვილი** (2553). ფანცულაია ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია და გუშინდლამდე რენომეს ინარჩუნებდა, მაგრამ მესამე ტურში დასანანი მარცხი განიცადა ფილიპინელი **ვესლი სოუსგან** (2540). მარცხის სიმწარეს ისიც ამძაფრებს, რომ ლევანი თეთრი ფერით თამაშობდა. ქართველმა დიდოსტატმა პარტიის დაბოლოებაში დაუშვა შეცდომა, თორემ დასაწყისში საგანგაშო არაფერი იყო...

აქამდე ქართულ კვარტეტში მცირე დანაკარგი **დავით არუთინიანს** ჰქონდა - პირველ ტურში ქულა გაუყო კლასით მასზე აშკარად ნაკლებ მეტოქეს, თუმცა შემდეგი ორი პარტია მოიგო და 2,5 ქულით ცხრილის ზედა ნაწილშია. 2,5 ქულა აქვს **თამაზ გელაშვილსაც**, თუმცა არუთინიანისგან განსხვავებით ყაიმი მესამე ტურში ითამაშა - აზერბაიჯანელ **რასულ იბრაგიმოვთან** (2535) სულ რაღაც 14 სვლაში გააფორმა ყაიმი.

ყველაზე შედეგიანი ქართელთაგან **მერაბ გაგუნაშვილია** - მას სამიდან სამი ქულა აქვს. მესამე ტურში მერაბმა თეთრებით საუდის არაბელ **მოუსა ოტმანს** მოუგო. ოტმანი მხოლოდ ფიდეს ოსტატია, მაგრამ რეიტინგი საკმაოდ მაღალი აქვს ამ წოდებისთვის - 2335. გაგუნაშვილმა ზუსტად შეაფასა მეტოქე, არ მოეშვა და კლასის ხარჯზე, 29-ე სვლაზე მოწინააღმდეგეს დანებება აიძულა.

**ზვიად შათირიშვილი**

# პატივი ეცი მეტოქის აზრს

იმერეთის ჭადრაკის რეგიონული ფედერაცია ჭადრაკის მოყვარულებს ხშირად ანებივრებს საინტერესო ტურნირებით. ერთი ასეთი შეჯიბრება დევიზით „პატივი ეცი მოწინააღმდეგის აზრს“ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით ქუთაისის საჭადრაკო სკოლაში გაიმართა. ერთმანეთს სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს, როგორც პროფესიონალმა მოჭადრაკეებმა ასევე მოყვარულებმა. ტურნირი შვეიცარიული სისტემით ცხრა ტურად გაიმართა, რის შედეგადაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

პროფესიონალ მამაკაცთა შორის: 1. **კოტე მხეცაძე** (ბიზნეს სექტორი), 2. **ერეკლე გიორგაძე** (პოლიცია), 3. **თამაზ სვანაძე** (ქსუ) მოყვარულთა შორის: 1. **გიორგი ჭეიშვილი** (სატელეკომუნიკაციო კომპანია), 2. **რევაზ მგელაძე** (ქუთაიუსის ტექნიკური უნივერსიტეტი), 3. **გულივერ ქარდავა** (მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე)

ქალთა შორის: 1. **შორენა ჯიმშელეიშვილი** (ქუთაისის №2 საპყრობილე), 2. **ნინო გაბუნია** (ასოციაცია „საჩინო“), 3. **ჯულიეტა ბედიაშვილი** (წითელი ჯვარი)

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

წყალბურთი. ინტერვიუ სოსო მაისურაძესთან

# ეროვნული ჩემპიონატი გვიბრუნდება

**საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები უკრაინის ღია პირველობის IV ტურიდან დაბრუნდა, სადაც 5-დან 4 მატჩი მოიგო და მეორე პოზიცია შეინარჩუნა. გუშინ გავესაუბრეთ საქართველოს ნაკრების თავკაც სოსო მაისურაძეს, რომელმაც უკრაინული პერიპეტიები გაიხსენა და სასიამოვნო სიახლეებიც გაგვანდო.**

- მეოთხე ტურისთვის 3 ლეგიონერი ჩამოგვივიდა. პავლე ჯაფარიძისა (ჰანოვერი, გერმანია) და ილია ბუტიკაშვილის (მაგდებურგი, გერმანია) გარდა, დაგვეხმარა რუსეთში მცხოვრები ქართველი წყალბურთელი ირაკლი კუტალაძე. ირაკლი სახელოვანი ვეტერანი წყალბურთელის - გივი ჩიქვანაიას შვილიშვილია, რომელსაც უთამაშია მოსკოვის ცსკა-სა და "დინამოში". კარიერა ახლახან დაასრულა, მაგრამ ვთხოვეთ, რომ საქართველოს ნაკრებში ეთამაშა და დაგვთანხმდა. მისი გამოცდილება ძალიან გამოგვადგა.

5 მატჩიდან 4 მოვიგეთ. დავამარცხეთ მარიუპოლის მეორე გუნდი (10:5), მოლდოვის ნაკრები (14:10), კიევის "დინამო" (9:7) და ხარკოვის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (9:7). ლვოვის "დინამოსთან" კი ორი ლიდერი - ჯაფარიძე და ბუტიკაშვილი თამაშის ბოლომდე ველარ დარჩნენ, რადგან კლუბებში აგვიანდებოდათ. ამიტომაც ცოტა გაგვიჭირდა და მატჩი 9:9 დამთავრდა. მთლიანობაში, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. წინ 2 წრეა და ლიდერ მარიუპოლის "ილიჩევეცს" 6 ქულით ჩამოვრჩებით (მოგებაზე 3 ქულაა). ჩვენ და ლვოვის "დინამოს" თანაბარი ქულები გვაქვს. თუკი ლეგიონერები შემდეგ წრეებშიც დაგვეხმარებიან, ლიდერთან დაწევა შესაძლებელია.

**- საქართველოზე გადმოვერთოთ. როგორც შევიტყვეთ, მაისში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას აპირებთ...**

- დიახ, ნამდვილად ასეა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ბოლოს 1991 წელს გაიმართა და 17-წლიანი პაუზის შემდეგ, მის აღდგენას ვაპირებთ.

**- მერე კლუბები გყავთ?**

- თბილისში რამდენიმე აუზია, რომლებშიც წყალბურთელები ვარჯიშობენ და ამ აუზებს გამოჰყავთ გუნდები. სულ 6 გუნდი გროვდება. აქედან 5 თბილისური იქნება, მეექვსე კი ქუთაისელებით დაკომპლექტდება. მოლაპარაკებას ვაწარმოებთ აზერბაიჯანელებთან და ერთ გუნდს ალბათ, ისინიც ჩამოიყვანენ. შეჯიბრების ჩატარებას ლაგუნა ვერესა და სტუ-ს აუზებში ვაპირებთ. იგი დასაწყისისთვის ერთ წრედ გაიმართება. ჩემპიონატში 15 წელს ზემოთ ყველა წყალბურთელს შეუძლია მონაწილეობა.

**- ეროვნული ჩემპიონატის აღდგენის შემდეგ, ალბათ, არც ის დრო იქნება შორს, როცა ეროვნული ნაკრებიც დაუბრუნდება ოფიციალურ შეჯიბრებებს...**

- რა თქმა უნდა. გაისად ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი იწყება და აუცილებლად უნდა გამოვნახოთ საიმისო ფინანსები, რომ ევროპას დავუბრუნდეთ.

**კობა ხატისაშვილი**

გასწორება

"ლელოს" გუშინდელ ნომერში, მე-12 გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში **"მარიამ ქევხიშვილმა ამერიკელთა №1 ოლიმპიელს აჯობა", გაიპარა დასანანი კორექტურული შეცდომა. პირველ აბზაცში ნაცვლად "სამხტომისა", უნდა იკითხებოდეს "სიმაღლეზე ხტომა".**

გაიცანით გიორგი მარგველაშვილი

# დოლი, მუსიკა და ჭადრაკი



გიორგი მარგველაშვილი

**საქართველოს 67-ე ჩემპიონატი ერთი კვირაა, რაც დასრულდა. ჩემპიონი ლევან ფანცულაია გახდა და მასთან საუბარი უკვე შემოგთავაზეთ. დღეს ჩვენი რესპონდენტი ვერცხლის მედალოსანი გიორგი მარგველაშვილია. გიორგის მეორე ადგილზე გასვლა ყველასთვის მოულოდნელი შედეგია და მათ შორის მოჭადრაკისთვისაც - ბოლო დროს იგი ჭადრაკს მთელ დროს აღარ უთმობდა, შესაბამისად პრაქტიკაც მოაკლდა და ცხადია, ამბიციაც ნაკლები გააჩნდა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ბევრისთვის ბრძოლა შეძლებაა და კარგად დაწყებული საქმე კარგადვე დაასრულა...**

**- გიორგი, სათამაშო პრაქტიკა აშკარად გაკლდა და რამ განაპირობა შენი წარმატება?**

- ზუსტად პასუხს ვერც მე მოგახსენებთ, მაგრამ ფაქტია, რომ უკეთ ავთამაშდი. შესაძლოა, ასაკის მატებასთან ერთად სიბრძნეც მომემატა. ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ სხვა ახსნას ვერ ვპოულობ: ბოლო რამდენიმე თვეა, მთელ დროს სწავლას ვუთმობ - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტ "ალმა-მატერში", ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე ვსწავლობ. ამ უნივერსიტეტში კი მკაცრი მოთხოვნებია, ლექციების გაცდენა არ შეიძლება, სპორტსმენებისთვის პრივილეგიებიც არ არის გათვალისწინებული და ჯარიმას ვერ ავცდებოდი. როგორც ჩანს პაუზა და სხვა სფეროთი დაკავება აუცილებელი იყო...

**- მე ვიცი, რომ ბოლო დროს მუსიკითაც დაინტერესდი, უფრო სწორად, მედოლეობამ გაგიტაცა.**

- მუსიკალური განათლება არა მაქვს, თუ არ ჩავთვლით ბავშვობაში, ექვსი წლის ასაკში მცირე ხნით ქართულ ხალხურ სიმღერებზე სიარულს. 2006 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნისას, ერთ-ერთმა ამერიკელმა მოჭადრაკემ, რომელსაც ახლოს დავუმეგობრდი, თანამედროვე, ელექტრონული დრამერი მაჩუქა, რომელიც კომპაქტურია და ოთახში დიდ ადგილს არ იკავებს. პირველად ამ ინსტრუმენტზე მასთან დავუკარი და ძალიან მომეწონა. ცხადია, პროფესიულად ვერ ვუკრავდი, მაგრამ ეტყობა ძალიან მონდომებული ვიყავი და ჩემმა მეგობარმაც გადაწყვიტა, რომ ინსტრუმენტი ეჩუქებინა - მას ასეთივე მეორეც ჰქონდა და უარი აღარ მითქვამს. თბილისში დაბრუნების შემდეგ სერიოზულად მოვკიდე ხელი დოლზე დაკვრის შესწავლას და დღეისთვის კერძო გაკვეთილებს ვიღებ. პროფესიულმა მიდგომამ მუსიკისადმი ინტერესი კიდევ მეტად გამიღვივა და დიდი სურვილი გამიჩნდა, ფორტეპიანოზე დაკვრაც შევისწავლო. გიტარა რატომღაც არ მიზიდავს - ამ ინსტრუმენტით ჩემი უმცროსი ძმაა დაინტერესებული.

**- რა სტილის მუსიკას უსმენ?**

- ძირითადად, როკს და კლასიკას - ბეთჰოვენი, ვივალდი, მოცარტი მომწონს ძალიან. სხვებსაც ვუსმენ, მაგრამ ვთვლი, რომ ბეთჰოვენის მუსიკა საუკეთესოა. მომწონს ასევე როკ-ოპერები - კლასიკური ოპერების დიდი მოყვარული არა ვარ.

**- ჭადრაკისგან თავისუფალი დრო უქმად ნამდვილად არ დაგიკარგავს და ამან აშკარად გარგო? თუმცა ჩემი აზრით შენმა სადებიუტო მომზადებამაც ითამაშა უმნიშვნელოვანესი როლი - ჩვენში აღიარებულია, რომ საკმაოდ მაღალ დონეზე ფლობ სადებიუტო რეპერტუარს.**

- სიმართლე გითხრათ, მე არ ვთვლი - ნამდვილად არ მაქვს სხვაზე უკეთესი რეპერტუარი. შესაძლოა რამდენიმე წლის წინ მცირედით ვილაცეებს ვჯობდი, მაგრამ შემდეგში იმ მწვრთნელებთან, ვისთანაც ვმეცადინეობდი, სხვა მრავალიც მოემზადა - ესენია ლაშა ჯანჯღავა და ხვიჩა სუპატაშვილი, ამიტომ უპირატესობაც გაქრა. ჩემი აზრით, საქართველოში მაღალ დონეზე დებიუტებში ვერ მოემზადები - ამ ორ სპეციალისტს არც დრო ეყოფა საიმისოდ და არც ენერგია, სხვები კი მსგავსი სამწვრთნელო საქმიანობით არ არიან დაკავებულნი.

იმასაც გეტყვით, რომ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში თითქმის არცერთ მეტოქესთან არ მქონია სადებიუტო უპირატესობა, პირიქით - ოდნავ უარესს ვიღებდი და შემდგომში ვახერხებდი სიტუაციის გამოსწორებას. ჩემს უპირატესობაზე შეიძლება ითქვას ნახევარფინალში მიხეილ მჭედლიშვილთან პირველ პარტიაში, სადაც საბოლოოდ გავიმარჯვე და მეორედ, ლევან ფანცულაიასთან ფინალური დაპირისპირების მეორე პარტიაში, რომელიც წავაგე.

**- კვალიფიციურ მწვრთნელთა პრობლემა რომ არსებობს, ამის უარყოფა არ შეიძლება. არადა, ამის გარეშე მაღალ სიმაღლეებზე ასვლა შეუძლებელია. როგორ მიგაჩნია, რა გამოსავალი არსებობს?**

- ამაზე ფედერაციამ უნდა იზრუნოს და პერმანენტულად უნდა დააფინანსოს მაღალკვალიფიციური უცხოელი მწვრთნელების ჩამოსვლა საქართველოში? მათი მონაწილეობით მოაწყოს ნაკრებ გუნდთა შეკრებები და სემინარებიც ჩაატარებინოს ხოლმე. როგორც ვიცი, თბილისში სწორედ ამ მიზნით გაიხსნა საჭადრაკო აკადემია, რომელსაც ზურაბ აზმაიფარაშვილი ხელმძღვანელობს, მაგრამ ის სრული დატვირთვით არ ფუნქციონირებს.

**- საქართველოს ჩემპიონატზე დიდოსტატის ნორმა შეასრულე და მეორე ბალი მოიპოვე. ალბათ წელსვე ეცდები მესამე ბალის მოპოვებას, რაც წოდებისთვის საკმარისია. უახლოესი შეჯიბრი ათიოდ დღეში იწყება პლოვდივში - ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი. ამ ტურნირზე წარმატებას თუ ფიქრობ?**

- სურვილი, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ გააჩნია, რას ჩათვლით წარმატებულად. ჩემი აზრით, ოცეულში, მით უფრო თექვსმეტეულში, რაც მსოფლიო თასის საგზურს იძლევა, ვერ მოვხვდები. თუკი რეიტინგში მცირედს მაინც მოვიმატებ, წარმატებად ჩავთვლი - 11 ტურად ტარდება ჩემპიონატი და ქულათა 50%-ზე მეტი უნდა დავაგროვო, სასურველი შედეგი რომ მივიღო.

**- ასე პესიმისტურად რატომ ხარ განწყობილი - არ გჯერა, რომ მაღალ დონეზე წარმატებით თამაში შეგიძლია?**

- ევროპის ჩემპიონატზე ძალიან ძლიერი შემადგენლობა იყრის თავს და თანაც რაოდენობრივადაც ბევრნი იქნებიან მაღალი კლასის დიდოსტატები. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე მათთან ტოლ-სწორად სათამაშოდ მზად არა ვარ.

**- კი, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში სამი დიდოსტატი გამოთიშე ასპარეზობას და ერთ-ერთი მათგანი 2635 ქულის მქონეა - მჭედლიშვილი. იგი ნაკრების წევრიც არაერთხელ ყოფილა და ალბათ, წელსაც მოხვდება გუნდში, დავით არუთინიანი კი ორი წელია ნაკრების წევრია და მისი სადღეისო რეიტინგი 2600-ს სულ მცირედით - 7 პუნქტით ჩამორჩება. მჭედლიშვილიც და არუთინიანიც ერთ-ერთი კანდიდატები იქნებიან ოცეულში მოხვედრისა და რატომ გგონია, რომ შენც იგივე არ ძალგიძს?**

- გამოცდილება ბევრ რამეს წყვეტს, მე კი ამის ნაკლებობა მაქვს. ისიც არის, არავინ იცის სპორტული შეჯიბრება როგორ წარიმართება, - შესაძლოა მოვიპოვო კიდეც მსოფლიო თასის საგზური, მაგრამ მაინც მგონია, რომ ამის ნაკლები შანსი მაქვს.

**- საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრის შანსი და ამბიცია მაინც თუ გაქვს?**

- არა მგონია, ერთ ტურნირზე ნაჩვენები შედეგი ნაკრებში მოსახვედრად საკმარისი იყოს, თუმც ვთვლი, რომ თუ ნაკრებში თამაშის საშუალება მექნება, შემიძლია თავი საუკეთესო მხრიდან წარმოვაჩინო. აჩქარებას აქაც არ ვაპირებ და ამიტომ ამ პრეტენზიას არ ვაყენებ - ვნახოთ, ევროპის ჩემპიონატი და მომდევნო თვეები როგორი წარმატებული მექნება და ნაკრებში მოხვედრა-არმოხვედრაზე საუბარიც ამის შემდეგ იქნება გამართლებული.

**- როგორც ვხედავ, ჭადრაკს კვლავ სერიოზულად უდგები, მაგრამ უკეთ მომზადებაში სწავლა ხელს არ შეგიშლის? შენივე ნათქვამია, რომ გაცდენებს სასწავლებლის ხელმძღვანელობა არ პატიობს, ასე კი ტურნირებზე ვერ ივლი.**

- მთლად ასეც არ არის - ჩემი წარმატება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ძალიან გაუხარდა და ხელშეწყობას დამპირდნენ. ევროპის პირველობაზეც გულდამშვიდებული მივდივარ. ზაფხულამდე, ვიდრე სწავლის პერიოდია, ვეცდები, სწავლას მაინც მეტი დრო დავუთმო, ზაფხულში კი მრავალი ტურნირი ტარდება და დანაკლისს ამ დროს ავინაზღაურებ. საჭადრაკო ოლიმპიადა ნოემბერშია, ამ დროისათვის რეიტინგი თუ მაღალი მექნა და დიდოსტატიც გავხდი, ალბათ, ნაკრებში მოვხვდები, თუ არადა, არც მაგაზე დამწყდება ძლიერ გული - ჯერ მხოლოდ 18 წლისა ვარ და ყველაფერი წინა მაქვს.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. 11-13 აპრილი

# ზოგისთვის ლისაბონი პეკინის ბოლო შანსია



რიოკო ტანი მეხუთე ოლიმპიადაზე იჭიდავებს




ამდილით, საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები გაფრინდა ლისაბონში, სადაც 11-13 აპრილს ევროპის პირველობაში იასპარეზებს. ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** იქ წასაყვანად **ნესტორ ხერგიანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (+100) ადრევე შეარჩია. გუნდმა ბოლო მოსამზადებელი ეტაპი ბორჯომში, სპორტკომპლექს "ოლიმპის" ბაზაზე გაიარა, ნაყოფიერადაც ივარჯიშა და ხაბარელი გუნდის მომზადებით კმაყოფილია. რაც მთავარია, სერიოზული ტრავმა არავის მიუღია, ხოლო პატარ-პატარა ხარვეზებს მნიშვნელოვნად არავინ შეუფერხებია. შედარებით საპრობლემო ქევხიშვილის მდგომარეობა იყო, რომელსაც ჯანმრთელობა ისედაც აწუხებს, რის გამოც დატვირთვებს და წონის დაკლებას ვერ ეგუება. მწვრთნელებმა სწორედ ამიტომ არ აჭიდავეს არც ერთ ტურნირში და ლისაბონისთვის საგანგებო პროგრამით აჭიდავებდნენ. ამ ეტაპზე მისი მდგომარეობაც დამაკმაყოფილებელია, დანარჩენი კი ლისაბონში გამოჩნდება, თუმცა ამ ტურნირს ნაკრების ხელმძღვანელობა ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ ეტაპად განიხილავს და შედეგს წინა პლანზე არ აყენებენ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ლისაბონში ჩვენგან ქალთა ტურნირში არავინ იჭიდავებს. ვაჟთაგან პირველ დღეს ტატამზე 60 და 66 წონითი კატეგორიების წარმომადგენლები გავლენ, 12-ში - 73 და 81-ის ფალავნები იჭიდავებენ, ჩემპიონატს კი 13-ში 90, 100 და მძიმე წონების ათლეტები დაასრულებენ.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატი სალიცენზიო რეიტინგში ჩასათვლელ ქულებსაც იძლევა - ჩემპიონი 100 ქულას მიიღებს და ასე შემდეგ, მაგრამ ჩვენებს ეს პრობლემა უკვე აღარ აწუხებთ. ფედერაციამ 5 საგზური მსოფლიო ჩემპიონატზე გაინაღდა, ხოლო 66-სა და 81-ში ჩვენები იმდენად მყარად ლიდერობენ, მათი ულიცენზიოდ დარჩენა გამორიცხულია. ეს ბოლო სალიცენზიო ტურნირია და მისი დასრულების შემდეგ ევროპული ფედერაცია ოფიციალურად დაასახელებს ოლიმპიადის ევროპელ მონაწილეებს.

თუმცა, სალიცენზიო რეიტინგებს ახლაც თუ გადავხედავთ, რამდენიმე საინტერესო ფაქტს აღმოვაჩენთ. ასე მაგალითად, 66-ში ულიცენზიოდ რჩებიან ისეთი გამოცდილი და კედელაშვილისთვის ანგარიშგასაწევი ფალავნები, როგორებიც გერმანელი **ადრიან კულიჩი**, ავსტრიელი **ანდრეას მიტფელნერი**, ესტონელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **კინტერ როტბერგი**, სლოვაკი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **იოზეფ კრნაჩი**, პორტუგალიელი **პედრო დიასი**. ალბათ, ყველაზე მეტ სახელოვან ფალავანს ულიცენზიოდ დარჩენა 73-ში ემუქრება - ბულგარელი ოლიმპიური პრიზიორი **გეორგ გეორგიევი**, ებრაელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **იოელ რაზვოზოვი**, ფრანგი ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **დანიელ ფერნანდესი**, ჰოლანდიის ნაკრები, ესპანელი ევროპის ჩემპიონი **კიოში უემაცუ**, უნგრელი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **აკოშ ბრაუნი**. აქ საგზურები არც ჰოლანდიელებს და იტალიელებს მოუპოვებიათ. 81-ში ულიცენზიოდ რჩება ესტონელი ევროპის ჩემპიონი **ალექსეი ბუდოლინი**, 90-ში ლისაბონში წარუმატებლობა, შესაძლოა, ულიცენზიოდ დარჩენად დაუჯდეს ბრიტანელ **ვინსტონ გორდონს**. 100-შიც ბევრი ტიტულოვანი ფალავანი რჩება უსაგზუროდ - ბელარუსი ოლიმპიური ჩემპიონი **იჰარ მაკარაუ**, უკრაინელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ვიტალი ბუბონი**, ფრანგი მსოფლიოს პრიზიორი **ტიერი ფაბრი**, იტალიელი **ფრანჩესკო ლეპრე**.

"ლელო" პერიოდულად განვდიდათ მეტოქე გუნდების შემადგენლობებს. რამდენიმე ნაკრებს ახლაც გაგაცნობთ, თუმცა მანამდე რუსთა გუნდში მომხდარ სერიოზულ ცვლილებაზე ვთქვათ - ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე მყესები გაიწყვიტა ევროპის ჩემპიონმა **ივან პერშინმა** (90) და ჩელიაბინსკელ ფალავანს მისივე თანაქალაქელი, 23-წლიანებში ევროპის ჩემპიონი და პარიზის წლევანდელი სუპერთასის ბრინჯაოს პრიზიორი ახალგაზრდა **ზაფარ მახმადოვი** შეცვლის.

ახლა კი ჰოლანდიელებზე, რომლებიც ლისაბონში უძლიერესი გუნდით წავლენ: **რუბენ ჰოუკესი** (60), **დაქს ელმონტი** (66), **ჰენრი სხუმანი** (73), **გიიომ ელმონტი** (81), **მარკ ჰუზინგა** (90), **ჰენკ გროლი** (100), **გრიმ ვუისტერსი** (+100). როგორც ვხედავთ, ზედა წონებში ამჯერად არ არიან **ძმები ელკო და დენის ფან დერ ხესტები**, რომლებმაც, ჩანს, საბოლოოდ დაკარგეს ადგილები ნაკრებში.

გერმანელები მეორე შემადგენლობით იჭიდავებენ, თუმცა რამდენიმე ლიდერიც მიჰყავთ, რომლებსაც ლიცენზიები ჯერ კიდევ არ გაუნაღდებიათ: **ადრიან კულიჩი** (66), **კრისტოფ ვოლკი** (73), **სვენ მარეში** (81), **ნიკ ჰაინი** (90), **ბენიამინ ბერლა** (100), **ფაბიან ჰუბერტი** (+100), ხოლო 60-ში მონაწილე არ ეყოლებათ.

გადახალისებულია უკრაინის ნაკრებიც: **გიორგი ზანთარაია** (60), **სერგეი დრებოტი** (66), **პიოტრ კუზმინი** (73), **არტიომ ვასილენკო** (81), **დმიტრი მარკოვი** (90), **ვიტალი ბუბონი** (100), **ევგენი სოტნიკოვი** (+100).

აქვე იმ ლიცენზიამოპოვებულთა სიასაც შემოგთავაზებთ, რომლებიც, წინასწარი მონაცემებით, ლისაბონში არ იჭიდავებენ: უკრაინელები - **მაქსიმ კოროტუნი** (60) **გენადი ბილოდიდი** (73), **რომან გონტიუკი** (81) და **ვალენტინ გრეკოვი** (90); გერმანელები - **ოლე ბიშოფი** (81), **ანდრეას პინსკე** (90), და **ანდრეას ტოლცერი** (+100); ფრანგები - **ფრედერიკ დემონფოკო** (100) და **ტედი რინერი** (+100); ბელარუსები - **სიარხეი შუნდძიკაუ** (81) და **იური რიბაკი** (+100); იტალიელი **პაოლო ბიანკესი** (+100), თუმცა, ცხადია, ეს არასრული სიაა.

ამ დღეებში საინტერესო ცნობები ვრცელდება იაპონიის ნაკრებზე, რომლებმაც უკვე გამოაქვეყნეს ოლიმპიური გუნდის წინასწარი შემადგენლობა. გადაჭრით ამბობენ, რომ პეკინის ოლიმპიადაზე არ იასპარეზებს იაპონური ძიუდოს ლეგენდა, სამგზის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი **ტადაჰირო ნომურა** (60). ამის მიზეზი 5-6 აპრილს ფუკუოკაში გამართულ იაპონიის ჩემპიონატზე მარცხი გახდა. 33 წლის ნომურამ ტურნირი მძიმედ დაიწყო და პირველივე შეხვედრაში დამატებითი დრო დასჭირდა, ნახევარფინალში კი **დაისუკე ასანოსთან** ვაზარით დამარცხდა. ამით მეოთხე ოლიმპიადაზე ოცნებაც დაასრულა, თუმცა მასთან გამარჯვება არც ასანოს წაადგა დიდად - ჩემპიონი ჩვენი ტურნირის მრავალგზის მონაწილე და ერთხელ გაჩემპიონებული ჰიროაკი **ჰიროაკა** გახდა და პეკინშიც ის იჭიდავებს. სეზონის დასაწისში არსებული ჩავარდნა დასძლია ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მასატო უჩიშიბამ** (66) და ისიც გაემგზავრება პეკინში. გუნდში ადგილი ასევე გაინაღდეს ჩვენი ტურნირის წლევანდელმა მონაწილე **იუსუკე კანამარუმ** (73), მსოფლიოს პრიზიორმა **ტაკეში ონომ** (81), ათენის ოლიმპიადის ფინალში **ზურაბ ზვიადაურთან** წაქცეულმა მსოფლიო ჩემპიონმა **ჰიროში იზუმიმ** (90) და ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა **კეიძი სუძუკიმ** (100). სუძუკიმ საჩემპიონო ბრძოლა ნახევარფინალში დამატებით დროში მოუგო **ტაკამასა ანაის**. ახლა მათ ნაკრებში ვაკანტური მხოლოდ მძიმე წონაა, თუმცა ლიდერი აქაც გამოიკვეთა - ოლიმპიური და სამგზის მსოფლიო ჩემპიონი **კოსეი ინუე** - მან ნახევარფინალში უშუალო კონკურენტი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი **იასუიუკი მუნეტა** ემსხვერპლა. ინუემ მას დამაჯერებლად მოუგო, ფინალში კი **ჰიდეკაცუ შოდას** მოუგო. თუმცა იაპონელები ინუეს დაყენებას ჯერ მაინც არ ჩქარობენ და მუნეტას კიდევ ერთ შანსს აძლევენ - აპრილის ბოლოს ქვეყნის კიდევ ერთი, ამჯერად ღია პირველობა გაიმართება და მისი ბედიც იქ გაირკვევა.

დაბოლოს, იაპონური ძიუდოს კიდევ ერთ ლეგენდაზე, ამჯერად ქალბატონზე - პეკინში თავის მეხუთე ოლიმპიადაზე იჭიდავებს ოლიმპიადის ორ-ორგზის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი **რიოკო ტანი** (48), რომელიც გათხოვებამდე ტამურას გვარით ჭიდაობდა. 2005 წლის ბოლოს მან ბავშვი გააჩინა და ისევ დაუბრუნდა დიდ სპორტს, შარშან კი რიო დე ჟანეიროში მეშვიდედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. სხვათა შორის, მაშინ დარბაზში მას აქტიურად ქომაგობდნენ... საკუთარი ფან-კლუბის წევრები, რომლებიც ტრიბუნაზე დროშებთან ერთად რიოკოს უზარმაზარ სურათებსაც აფრიალებდნენ. რიოკო ტანი პირველი იაპონელია, ვინც მეხუთე ოლიმპიადაზე იჭიდავებს.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# დევიძე ბადისთვის იბრძოლებს

ამერიკის ქალაქ ჯექსონში დაიწყო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. ძირითად ბადეში გაღწევას ცდილობს **სალომე დევიძე**, რომელიც საკვალიფიკაციო ბადეში მე-11 ნომრად განთესეს. 21 წლის ქართველი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში მან "უაილდ ქარდით" მიწვეული ამერიკელი **ჩერითი ჯონსი** გაანადგურა - 6:0, 6:0. ფინალურ წრეში სალომე არგენტინელ **ვერონიკა შპიგელს** (391) შეხვდება, რომელიც საკვალიფიკაციოს მესამე ჩოგანია. ამ ტურნირის ძირითად ბადეში **ანა ტატიშვილი** ითამაშებს.

ბიარიცში (საფრანგეთი) 25-ათასიანი ტურნირი იწყება, სადაც საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** მონაწილეობს. პირველ წრეში მაკა სამხრეთაფრიკელ **ნატალი გრანდინს** დაუპირისპირდება, რომელმაც ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან გააღწია.

თურქულ ანთალიაში (10 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში ხუთი ქართველი მონაწილეობდა. **სალომე უგრეხელიძე** შვედ ანა ბრაუნიკოვასთან დამარცხდა - 1:6, 1:6. **სოფიკო შარანგიამ** ბელგიელ აპოლონია მელზანისთან წააგო - 2:6, 2:6. **ნათია გეგია** უკრაინელ ანა ნაუმოვას არ გამოუცხადდა, ხოლო **სოფიო ქვაცაბაიამ** და **თეონა ცერცვაძემ** უბრძოლველად მოიპოვეს მეორე წრის საგზური. მეორე წრეში ქვაცაბაია იტალიელ ელეონორა პუნცოს გაუსწორდა - 6:0, 6:1, ცერცვაძემ კი ეფრატ მიშორს მოუგო (ისრაელი) - 6:1, 6:3. მესამე საკვალიფიკაციო წრეში ქვაცაბაიამ ბრიტანელი ნატაშა მარქსი დაამარცხა - 7:6 (2), 6:2, ხოლო ცერცვაძე ფრანგ სიდი შალასთან დამარცხდა - 1:6, 0:6. ბოლო საკვალიფიკაციო წრეში ქვაცაბაიამაც წააგო, მას სლოვენიელმა ტაია მოჰორჩიჩმა აჯობა - 6:4, 5:7, 0:6.

წაგების მიუხედავად, სოფიო ქვაცაბაია ძირითად ბადეში მაინც მოხვდა "იღბლიანი დამარცხებულის" სტატუსით და პირველი წრეც დაძლია, ქართველმა რუსი ეკატერინა დრანეცი დაამარცხა - 6:1, 6:4. მერვედფინალში ქვაცაბაია ცერცვაძის მძლეველ სინდი შალას შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კრივი. ინტერვიუ ავთანდილ ხურციძესთან

# კლიჩკოებთან კარგად ვარ

ქართველი პროფესიონალი მოკრივე ავთანდილ ხურციძე წელიწადნახევარია უკრაინაში, ძმებ კლიჩკოების კლუბში ირიცხება. ამ ხნის განმავლობაში მან შვიდი ორთაბრძოლა გამართა და შვიდივეში გაიმარჯვა. უკრაინაში გადასვლამდე ხურციძე ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდიოდა პროფესიულ რინგზე. ქართველ მოკრივეს პროფესიონალებში 17 ორთაბრძოლა აქვს გამართული. აქედან 14-ში გაიმარჯვა, ორჯერ ფრეს დასჯერდა, და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. ახლახანს, დნეპროპეტროვსკის სპორტკომპლექს „მეტეორში" ავთანდილ ხურციძემ ლატვიელი იური ბორეიკო დაამარცხა და ევროპის კრივის ასოციაციის ქამარი დაიცვა. ქართველ მოკრივეს უკრაინაში შევეხმიანეთ...

**-გილოცავთ მორიგ გამარჯვებას, რას იტყოდით განვლილი ორთაბრძოლის შესახებ?**

- იური ბორეიკოს დამარცხება არ გამჭირვებია. EBA-ს ქამრის მოსაპოვებლად გაცილებით რთულ მეტოქესთან უნდა მეჩხუბა, მაგრამ ამ ტიტულის მფლობელი ესპანელი არტურ მური ტრამვირებული იყო და რინგზე გამოსვლა ვერ მოახერხა. მასთან პაექრობა მაინც მომიწევს. ქამრის დაცვა სურს და 26 მაისს ხარკოვში უნდა შევხვდეთ ერთმანეთს.

**-უკრაინამდე წელიწადნახევარი აშშ-ში პროფესიულ რინგზე გამოდიოდით. სამომავლოდ ისევ ოკეანის გაღმა ხომ არ აპირებთ კარიერის გარძელებას?**

-უკრაინას ისე შევეჩვიე, აქედან წასვლას არ ვაპირებ. სახელოვანი მოკრივეების ძმებ კლიჩკოების კლუბის წევრი ვარ. საუკეთესო პირობებში ვვარჯიშობ და ყველაფრით კმაყოფილი ვარ. უკრაინაში შვიდჯერ ვიჩხუბე აქედან ორში ქულებით გავიმარჯვე. ხუთ ორთაბრძოლაში კი მეტოქეები ნოკაუტით დავამარცხე.

**- სამომავლო გეგმებზე რას იტყვით?**

ევროპის ჩემპიონის ქამარს რომ დავიცავ შემდეგ ინტერკონტინენტალის ქამრის ჯერი დადგება.

**- საქართველოში ხომ არ გეგმავ ორთაბრძოლის გამართვას?**

- ჩემი ოცნებაა, საქართველოში მსოფლიო ჩემპიონის ქამარისთვის ვიბრძოლო. ჯერ არა ვარ მაგ დონეზე, თუმცა დასახული მიზნისაკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევ და იმედი, მაქვს რომ ქართველი გულშემატკივრის თვალწინ ამ წარმატებას მივაღწევ.

**დავით კოხრეიძე**



ავთანდილ ხურციძე (მარცხნივ)

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი. ახალი ამბები

# ჯო და კობი




ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად "ატლანტა ჰოქსის" მცველი **ჯო ჯონსონი** და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** დაასახელა. ჯონსონმა აღმოსავლეთ კონფერენციაში აჯობა ყველას. მან საშუალოდ მატჩში 25.3 ქულა დააგროვა და თავის გუნდს ოთხიდან სამ შეხვედრაში მოაგებინა. "ატლანტა" აღმოსავლეთ კონფერენციაში მერვე ადგილს იკავებს და უახლოეს კონკურენტს, "ინდიანა პეისერსს" სამი მოგებით უსწრებს. ასე რომ, **ფაჩულიას** გუნდს კარგი შანსი აქვს 1998-99 წლების სეზონის შემდეგ, პირველად ითამაშოს პლეი ოფში.

რაც შეეხება კობი ბრაიანტს, ის გასულ კვირას ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მის ანგარიშზე 30 ქულა მოდიოდა, რასაც 9.3 მოხსნა და 6.0 შედეგიანი პასიც დაემატა.

**გიორგი თვალია**

# ჩიკაგო დენგს იტოვებს

ერთი ნაგებაც და "ჩიკაგო ბულზი" ოფიციალურად დაემშვიდობება პლეი ოფის საგზურს. ახლა, კლუბის ხელმძღვანელობას ისღა დარჩენია, მომავალ სეზონზე დაიწყოს ფიქრი. ამ ეტაპზე, "ხარების" შეფობას სამი ძირითადი საკითხი აქვს გადასაწყვეტი. კლუბმა უნდა მონახოს ახალი მთავარი მწვრთნელი და აგრეთვე, კონტრაქტები უნდა გაუფორმოს გუნდის ლიდერებს - **ლუოლ დენგსა** და **ბენ გორდონს**.

როგორც გაზეთი "ჩიკაგო სანი" იუწყება, "ბულზის" გენერალური მენეჯერი ჯონ **პაქსონი** ლუოლ დენგთან კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. რაც შეეხება გორდონს, მასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. სავარაუდოდ, თუ ბენს მსურველი გამოუჩნდება, "ჩიკაგო" მის ტრანსფერს ხელს არ შეუშლის. ასე იმიტომ ხდება, რომ გუნდს სათადარიგო კალათბურთელების სერიოზული მარაგი აქვს.

ჯერჯერობით, ასევე უცნობია, თუ ვინ დაიკავებს "ბულზის" მთავარი მწვრთნელის პოსტს. როგორც ცნობილია, ამ სეზონის მსვლელობისას "ჩიკაგოს" დამრიგებლის თანამდებობიდან გაანთავისუფლეს **სკოტ სკაილზი** და აქამდე გუნდის მთავარი მწვრთნელის მოვალეობებს **ჯიმ ბოილენი** ასრულებდა.

**გია თვალაბეიშვილი**

# არგენტინას ორი კაცი გამოაკლდა

პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე არგენტინის ნაკრებს შესუსტებული შემადგენლობით მოუწევს თამაში.

ჩინეთში გამგზავრებაზე უარი განაცხადეს "დეტროიტ პისტონზის" ფორვარდმა **ვალტერ ერმანმა** და "ბარსელონას" გამთამაშებელმა, **პეპე სანჩესმა**. ეს ის კალათბურთელები არიან, რომლებმაც ოთხი წლისწინათ, ათენში არგენტინის ნაკრებთან ერთად ოლიმპიადის ოქროს მედლები მოიპოვეს.

*"ერმანს ოჯახთან და ახლო მეგობრებთან სურს ზაფხულის გატარება. მან მითხრა, რომ ამიერიდან მისთვის კალათბურთი მხოლოდ სპორტია და აღარ აქვს სიამაყის გრძნობა ნაკრების მაისურით თამაშისას. ვალტერის გადაწყვეტილების გამო დასკვნების გაკეთება არ მსურს. იმედია, ის გადაიფიქრებს და პეკინში დაგვეხმარება"*, - აცხადებს არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სერხიო ერნანდესი**.

რაც შეეხება პეპე სანჩესს, მან ნაკრებში თამაშზე უარი პირადი მიზეზების გამო განაცხადა.

**გია თვალაბეიშვილი**

# ბლატს ულტიმატუმი დააბრუნეს

თურქეთის "ეფეს პილსენი" მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. კლუბის ხელმძღვანელობამ და **დევიდ ბლატმა** კონტრაქტის შეწყვეტის თაობაზე ორმხრივ შეთანხმებას მიაღწიეს. ოფიციალური ვერსიით, ამ ცნობილი სპეციალისტის გადადგომის მიზეზად ეროვნულ ჩემპიონატსა და ევროლიგაზე ნაჩვენები არადამაკმაყოფილებელი შედეგები დასახელდა. კერძოდ, თურქეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, "ეფესმა" აუტსაიდერ "ქარსიაქასთან" წააგო.

*"წლევანდელი შედეგები ნამდვილად ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი. მატჩის შემდეგ არსებული სიტუაცია შევისწავლეთ და ბლატთან კონტრაქტის გაუქმება გადავწყვიტეთ"*, - განაცხადა თურქული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ენგინ ოზერჰუნმა**. ამ სეზონის ბოლომდე "ეფეს პილსენს" ბლატის ასისტენტი **ექრემ მემნუმი** გაწვრთნის.

შეგახსენებთ, რომ დევიდ ბლატი ის მწვრთნელია, რომელმაც შარშან, რუსეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა.

**გიორგი თვალია**

ძალოსნობა. დოპინგ-სკანდალი

# ბერძნები ჩინურ ლაბორატორიას უჩივიან

საბერძნეთის ძალოსნობის ფედერაცია ჩინურ კომპანიას ადანაშაულებს იმაში, რომ 11 ბერძენ ძალოსანს დოპინგ-შემოწმებისას, სინჯში აკრძალული ნივთიერებები აღმოაჩნდა. ტესტზე დადებითი შედეგი მხოლოდ სამ ძალოსანს არ ჰქონდა. თუ განმეორებითი შემოწმება პირველის პასუხებს დაადასტურებს, ამ შემთხვევაში, საბერძნეთის ოლიმპიურ ნაკრებს პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება ჩამოერთმევა.

"როიტერთან" კონფიდენციალური საუბრისას, საბერძნეთის ძალოსნობის ფედერაციის ანონიმურმა წევრმა განაცხადა, რომ ჩინურმა საწარმომ, რომელიც ბერძენ ძალოსნებს სპეციალური საკვები დანამატებით თვეების განმავლობაში ამარაგებს, საბერძნეთის ძალოსნობის ფედერაციას ბოდიშის წერილი გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია, რომ მათ შეცდომით ბერძნებს სხვა დანამატები მიაწოდეს.

*"ჩვენ მათგან წერილი მივიღეთ, რომელშიც ნათქვამია, რომ შეცდომით სხვა ინგრედიენტები გამოგვიგზავნეს, რომლებიც აკრძალულ სუბსტანციებს შეიცავენ. ისინი ამის გამო ბოდიშს გვიხდიან"*, - ამბობს უცნობი რესპონდენტი. მისივე თქმით, ჩინური კომპანიის (მისი სახელი არ კონკრეტდება) მიერ გამოგზავნილ წერილში ასევე ნათქვამია, რომ ბერძნებისთვის გამოგზავნილ საკვების დანამატებში ასევე შეიძლება ერიოს ტოქსიკური და კანცეროგენული ნივთიერებები. ყველაფერი კი ადამიანური შეცდომის ბრალია.

ამ ინფორმაციას ადასტურებს საბერძნეთის ძალოსანთა ნაკრების მწვრთნელი **ქრისტოს იაკოვუ**, რომელიც მომხდარის გამო, დროებით გათავისუფლებულია თანამდებობიდან. იაკოვუს თქმით, ჩინური საწარმოსგან ბოდიშის წერილი მანაც მიიღო.

*"ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი ფარმაკოლოგიური კომპანიისგან წერილი მივიღეთ, რომელშიც ისინი ბოდიშს გვიხდიან იმის გამო, რომ ტრაგიკული შეცდომა დაუშვეს, როცა შეცდომით, აკრძალული და ტოქსიკური მინარევების შემცველი დანამატები გამოგვიგზავნეს. ვერაფრით წარმოვიდგენ, რომ იაკოვუმ ოდესმე თავის სპორტსმენებს აკრძალული სუბსტანციები, ან პრეპარატები მიაწოდოს. ეს გამორიცხულია"*, - ამბობს მწვრთნელის ადვოკატი **მიქაელის დიმიტრაკოპულოსი**.

ცნობისთვის, მსოფლიოს დოპინგ-საწინააღმდეგო სააგენტოს წესებით, სპორტსმენებს, რომლებიც პირველად ჩავარდებიან, ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრებათ.

მას შემდეგ, რაც 11 ბერძენი ძალოსანი დოპინგზე ჩავარდა, ათენის პროკურორმა ამასთან დაკავშირებით, საქმის გამოძიება დაიწყო. საბერძნეთის სპორტის მინისტრი **იანის იოანიდისი** კი ამბობს, რომ მომხდარი საბერძნეთის საზოგადოების დიდ ყურადღებას იმსახურებს, რადგან ბერძენ ძალოსნებს რამდენიმე ოლიმპიური მედლის (მათ შორის ოქროსიც) მოპოვების რეალური შანსი აქვთ.

*"ჩვენ ძალოსნობაში რამდენიმე ოლიმპიურ მედლის მოპოვებას ვიმედოვნებთ, მაგრამ ამას სამართლიან პაექრობაში უნდა მივაღწიოთ და არა აკრძალული პრეპარატების გამოყენებით. ჩვენი ვალია, საქმე დაწვრილებით შევისწავლოთ და თუ დამნაშავეს ვიპოვნით, ის სათანადოდ უნდა დავსაჯოთ"*, - ამბობს მინისტრი.

რაც შეეხება იაკოვუს, მას საბერძნეთის სპორტულ სამყაროში დიდი ავტორიტეტი აქვს. სწორედ მისი დამსახურებაა ის ფაქტი, რომ ბოლო რამდენიმე ოლიმპიადაზე ბერძენმა ძალოსნებმა არაერთი მედლის მოპოვება შეძლეს. ბარსელონას 1992 წლის ოლიმპიადის შემდეგ, საბერძნეთის ძალოსანთა ნაკრების ანგარიშზე სულ 12 მედალია, რომელთაგან ხუთი ოქროსია (აქედან ორი **კახაბერ კახიაშვილზე** მოდის, სამი კი - **პიროს დიმასზე**). სხვათა შორის, ბარსელონამდე ბერძნებს ამ ანტიკურ სახეობაში ერთი მედალიც კი არ ჰქონდათ აღებული. იაკოვუ, ვინც თავადაც ყოფილი ძალოსანია, სწორედ ბარსელონას ოლიმპიადის შემდეგ უდგას ქვეყნის გუნდს სათავეში. სხვათა შორის, ათენის ოლიმპიადაზე ბერძენმა ძალოსნებმა მხოლოდ ერთი, ბრინჯაოს მედლის (დიმასი) აღება შეძლეს.

თუ ბერძენი ძალოსნები ნაკრების დისკვალიფიკაციას გადაურჩებიან, ისინი პეკინში რვა სპორსტმენის გაგზავნას აპირებენ, რომელთაგან ხუთი მამაკაცი იქნება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ცურვა. დიდი პრიზების სერია

# კაფლინი თავის რეკორდს ვერ შესწვდა



კაფლინი ასპარეზობისას

ოლიმპიური სეზონის დასაწყისი რეკორდებით მდიდარი აღმოჩნდა მოცურავეებისთვის, რომლებმაც უკვე მსოფლიოს 19 რეკორდის გაუმჯობესება მოასწრეს, რასაც მიმომხილველები და ცურვის საერთაშორისო ფედერაციის მესვეურები ახალ საცურაო კოსტუმებს მიაწერენ.

რეკორდების უმეტესობა კი იმ მოცურავეების ანგარიშზეა, რომლებიც კომპანია "სპიდოს" მიერ შექმნილი ახალი, აეროდინამიკური საცურაო კოსტუმებით ასპარეზობენ. ამასთან, ოთხის გარდა, ყველა დანარჩენი რეკორდი ევროპისა და ავსტრალიის ჩემპიონატებზე დამყარდა, რომელთაგან ავსტრალიის ტურნირი, ამავდროულად, პეკინის ოლიმპიადის შესარჩევიც იყო.

რა თქმა უნდა, ყველა მოუთმენლად ელის ამერიკელი მოცურავეების გამოსვლებს. მართალია, ამერიკელებს ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი მოგვიანებით ექნებათ, მაგრამ ახლა მათგან ყველა ტურნირზე რეკორდებს ელიან. არადა, ამჟამად ისინი ფორმის პიკიდან საკმაოდ შორს არიან. თანაც, ამერიკელები გერმანულ კომპანია "ადიდასის" საცურაო კოსტუმებს იყენებენ.

სტენფორდში გამართულ დიდი პრიზის სერიის ტურნირზე, 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში, მსოფლიოს თავისივე რეკორდამდე (რომელიც ორი თვის წინ დაამყარა) 0.23 წამი დააკლდა ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **ნატალი კაფლინს**, ვინც დისტანცია 59.44 წამში გაცურა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ამ დისტანციაზე ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგია.

*"რეკორდს ვერ შევწვდი, მაგრამ ის ჩემს გეგმებში არც შედიოდა. მთავარი ისაა, რომ ფინიშის სიახლოვეს გამყოფ ხაზს არ შევხებივარ. არადა, ცოტა დამაკლდა. და კიდევ, სეზონის ამ ეტაპზე, ასეთი კარგი შედეგი ადრე არასოდეს მქონია"*, - განაცხადა კაფლინმა, ვინც აღიარებს, რომ ახლა საუკეთესო ფორმისგან ძალიან შორსაა და იმედოვნებს, რომ პეკინის ოლიმპიადისთვის სათანადოდ მოემზადება.

აღსანიშნავია, რომ გულაღმა ცურვამდე, კაფლინმა 200 მეტრი შერეული ინდივიდუალური სტილით მოიგო, რის შემდეგაც განაცხადა, დაღლილობას ვგრძნობ და შესაძლოა, სხვა დისციპლინებში აღარც გამოვიდეო. არადა, შერეულ სტილში თავის უახლოეს მეტოქეს სამ წამზე მეტით აჯობა. ცნობისთვის, კაფლინი იმ შვიდ ქალ მოცურავეთაგანია, რომლებსაც 100 მეტრი გულაღმა ცურვით წუთზე ნაკლებში აქვთ დაფარული.

სეზონის დასაწყისში კარგ ფორმაში იმყოფება კიდევ ერთი ამერიკელი მოცურავე, **კლეტ კელერი**, რომელმაც 200 მეტრი თავისუფალი სტილით, სტენფორდის აუზისთვის სარეკორდო შედეგით (1:46.56) გაცურა და თავდაჯერებულად განაცხადა, რომ პეკინში აშშ-ის ოთხეული 4X200 მეტრზე თავისუფალით ესტაფეტაში მსოფლიოს თავისივე რეკორდის გაუმჯობესებას შეძლებს. ცნობისთვის, კელერი მოქმედი რეკორდის თანაავტორია.

*"პეკინში ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ესტაფეტა იქნება. ამ დისტანციაზე ბევრი ძალიან ძლიერი მოცურავე გამოდის. მაგრამ ჩვენი ოთხეული მსოფლიოს საუკეთესოთა ექვსეულში შედის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოტენციურად, ჩვენ ყველაზე სწრაფები ვართ. თუმცა პეკინში ბევრი სიურპრიზიცაა მოსალოდნელი"*, - ამბობს კელერი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი.
ფორმულა 1.
ინტერვიუ
ფერნანდო
ალონსოსთან

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# მეტი არ შემეძლია



**"მაკლარენიდან" "რენოში" გადასულმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ფერნანდო ალონსომ ახალი სეზონი არც ისე კარგად დაიწყო. ესპანელ პილოტს ექვსი ქულით მხოლოდ მეცხრე ადგილი უჭირავს საერთო ჩათვლაში.**

**- ფერნანდო, ყველას ახსოვს, როცა "რენოში" დაბრუნდით და იქაური მეგობრული ატმოსფერო დაინახეთ, გახარებულმა გუნდის ყველა წევრს თითო ბოთლი ესპანური ღვინო აჩუქეთ. დღეს კი, ალბათ, ასეთი საჩუქრის გაკეთების სურვილი აღარ გიჩნდებათ. კიდევ ბევრი დრო სჭირდება რეალური წარმატების მიღწევას?**

- სხვანაირად ვიტყოდი: მე უფრო რეალურად დავიწყე არსებული სიტუაციის შეფასება. დღევანდელი მდგომარეობა ნაწილობრივ ჰგავს იმ სიტუაციას, რაც "რენოში" 2003 და 2004 წლებში იყო. მაშინაც და დღესაც, ჩვენ გუნდთან ერთად ვიზრდებოდით. ამიტომაც ვთვლი, ყველაფერი წინ მაქვს. სულაც არ ვარ იმედგაცრუებული.

**- "რენოს" შეფმა ფლავიო ბრიატორემ, ამასწინ ყოველ მეორე რბოლაში საპრიზო ადგილის დაკავება გისურვათ. ეს რეალურია?**

- სამწუხაროდ, ამ მიზნამდე ჯერ ბევრი გვიკლია.

**- მიუხედავად ამისა, სეზონი ავსტრალიაში მოპოვებული მეოთხე ადგილით დაიწყეთ...**

- დიახ, მელბურნში შესანიშნავ შედეგს მივაღწიე, მაგრამ სულაც არ გამჩენია იმის ილუზია, რომ მომდევნო რბოლებშიც ასე იქნებოდა. კარგად მესმოდა, რომ მეოთხე ადგილი არ ასახავდა ჩვენს ნამდვილ შესაძლებლობებს და მალაიზიაში, სავარაუდოდ, ვერ მივუახლოვდებოდი საპრიზო ადგილებს.

**- რა ემართება თქვენს ბოლიდს?**

- აეროდინამიკის თვალსაზრისით, კონკურენტებს საგრძნობლად ჩამოვრჩებით. კიდევ სხვა მიმართულებითაც ბევრია სამუშაო. მოკლედ, სიტუაციის გამოსწორებაზე უნდა ვიზრუნოთ.

**- ევროპული ეტაპების სერიამდე დღეები დარჩა. შეგიძლიათ თუ არა მდგომარეობის კარდინალურად შეცვლა?**

- "ფერარის", "მაკლარენისა" და BMW-ს წინააღმდეგ არანაირი შანსები არ გვაქვს. მინდა ვაღიარო, რომ ამ დასკვნამდე დღეს არ მივსულვარ. იგივეს ბაჰრეინის გრან-პრიმდეც ვგრძნობდი. ამჟამად, "რენოს" "რედ ბულის", "ტოიოტასა" და "უილიამსის" გვერდით ვაყენებ. ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ხშირად ხუთეულის მიღმა აღმოვჩნდებით.

**- მოქმედ პილოტებს შორის ჯერჯერობით, საუკეთესო შედეგი გაქვთ - 19 გამარჯვება. შემდეგ მოდის კიმი რაიკონენი თავისი 16 ტიტულით. თუმცა თქვენი ფანატები შეწუხებულნი არიან: როდის ავა ალონსო პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე?**

- ამ მომენტისთვის ვცდილობ, ქულების რაღაც რაოდენობას მოვუყარო თავი - მეტის გაკეთება არ შემიძლია. მართალია, სეზონი მხოლოდ ახლა დაიწყო, მაგრამ თუ რაიმე არ გაუმჯობესდა; შეიძლება მოთმინებაც კი დავკარგო.

**- თქვენთვის ეს, ალბათ, ყველაზე რთული სეზონია?**

- ყველაზე რთული შარშან იყო. მაგრამ სწორედ სირთულეები გვეხმარება განვითარებაში და პროფესიონალური დონის ამაღლებაში.

**- შარშანდელი სირთულეები ლუის ჰემილტონთან დაძაბულ ურთიერთობებს უკავშირდება?**

- ჰემილტონთან განსაკუთრებული პრობლემები არ მქონია. უბრალოდ, ბუზისგან სპილო შექმნეს.

**- როგორ უყურებთ იმას, რომ ზოგიერთ თქვენს კოლეგას არ სურს ფორმულა 1-ის პროფკავშირთან თანამშრომლობა?**

- უბრალოდ არ მესმის, რატომ ამბობენ უარს რაიკონენი და ჰემილტონი. პროფკავშირი ხომ ჩვენს მხარეს არის, ცდილობს გააკეთოს ის, რომ პილოტები კამიკაძეებს არ დავემსგავსოთ.

**- საუბრის ბოლოს, ამ სეზონში თქვენი გამოსვლა შევაჯამოთ. რა გვაქვს ამ მომენტისთვის? კარგი შედეგი ავსტრალიაში, მხოლოდ ერთი ქულა მალაიზიაში და ჩავარდნა ბაჰრეინში. ბუნებრივია, კმაყოფილი ვერ იქნებით.**

- მართალია, ჩემს ანგარიშზე ექვსი ქულაა, მაგრამ ესეც რაღაცას ნიშნავს. როგორც ზემოთ ვთქვი, მეტის გაკეთება, უბრალოდ, შეუძლებელია. ჩვენი შესაძლებლობები კარგად ვიცით და ბევრს ვმუშაობთ კონკურენტებთან ჩამორჩენის გასაბათილებლად.

**- რას აპირებთ მომავალში?**

- ტექნიკური თვალსაზრისით, წინსვლასა და ქულების დაგროვებას.

**- თქვენი შეფი ბრიატორეც ამბობს, რომ მანქანას დახვეწა სჭირდება...**

- იმედი მაქვს, ასეც მოხდება. თანაც, რაც შეიძლება მალე.

**გია თვალაბეიშვილი**

გუნდები. BMW-ზაუბერი

# ტიისენი ფრთხილ პროგნოზებს აკეთებს

შთამბეჭდავად წარმართა სეზონის პირველი სამი რბოლა "BMW-ზაუბერმა" - სამი პოდიუმი (აქედან ორი მეორე ადგილი), მოგებული პოული და ერთი საუკეთესო წრე. შესაბამისად, ამ მომენტისთვის ეს საჯინიბო კონსტრუქტორთა თასზე ლიდერობს. მართალია, BMW-ს უპირატესობა "ფერარისთან" მხოლოდ ერთი ქულაა, მაგრამ ფაქტია, რომ ფავორიტები მის ზურგსუკან არიან. მაგრამ გუნდის შეფის, **მარიო ტიისენის** აზრით, ჯერ ადრეა დასკვნების გაკეთება. გერმანული საჯინიბოს ხელმძღვანელი ძალიან ფრთხილია პროგნოზებსა და შეფასებებში. მისი სიტყვებით, ბარსელონაში მომდევნო ეტაპზე გაირკვევა, თუ რა პოტენციალი გააჩნია "BMW-ზაუბერს" და სხვა გუნდებს.

*"შემდეგი რბოლა, რომელიც ბარსელონაში გაიმართება, ორი მიზეზით იქნება საინტერესო. ეს ტრასა აერთიანებს ამ სეზონის სხვა დანარჩენი ტრასების თვისებებს. მეორეს მხრივ, ყოველი გუნდი იქ ტექნიკური სიახლეებით ჩავა. ამიტომაც, მხოლოდ ბარსელონის რბოლის შემდეგ შეგვეძლება იმის თქმა, რამდენად რეალურია ჩვენი პოზიცია"*, - ამბობს BMW Motorsport-ის დირექტორი, მარიო ტიისენი.

*"გასულ უიქ ენდზე, ჩვენ "მაკლარენზე" აშკარად უფრო სწრაფები ვიყავით, ამიტომაც ასე ვიტყოდი - ამიერიდან ბრძოლა არა ორ, არამედ სამ გუნდს შორის წარიმართება"*, - ამატებს ტიისენი.

მიუხედავად მაღალი შედეგებისა, BMW-ის შეფი ადრინდელ ჩვენებას არ ცვლის და აზუსტებს, რომ მისი გუნდის მიზანი არ შეცვლილა: *"ეს ჩვენს გეგმებში არაფერს ცვლის, რადგან ამ სეზონში ჯერ რბოლა არ მოგვიგია. სწორედ ეს არის წელს ჩემი გუნდის მთავარი მიზანი"*.

**გია თვალაბეიშვილი**

## TV სპორტი

### 9 აპრილი. ოთხშაბათი

#### რუსთავი 2

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. მანჩესტერი-რომა (LIVE).
**01:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-შალკე.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:20** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ჩემპიონთა. ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-არსენალი.
**14:15** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:15** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:30** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**17:00** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ფენერბაჰჩე.
**19:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:20** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:20** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-არსენალი.
**22:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერი-რომა (LIVE).
**00:40** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-შალკე.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:20** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. 1/4 ფინალი. ფენერბაჰჩე-მონტეპასკი.
**09:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
**09:33** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:36** სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
**11:05** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ფენერბაჰჩე.
**13:00** ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (მოკლე აუზი). I დღე. მანჩესტერი. ბრიტანეთი (LIVE).
**15:35** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. რაფაელ ნადალი-ნიკოლაი დავიდენკო. მაიამი. აშშ.
**18:10** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**18:38** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-იუვენტუსი.
**20:25** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
**21:00** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
**21:28** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**21:55** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერი-რომა (LIVE).
**01:05** ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (მოკლე აუზი). I დღე. ფინალები. მანჩესტერი. ბრიტანეთი.
**03:30** სპორტდოსიე. პლაჟის ფრენბურთი.
**03:59** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. რაფაელ ნადალი-ნიკოლაი დავიდენკო. მაიამი. აშშ.
**06:34** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

#### EUROSPORT

**10:30** ექსტრემალური სპორტი.
**11:00** ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-კანადა. აშშ.
**13:00** ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (მოკლე აუზი). I დღე. მანჩესტერი. ბრიტანეთი (LIVE).
**15:15** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ფლანდრიის ტური. ბელგია.
**16:30** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. გენტი-ვეველგემი. ბელგია (LIVE).
**18:30** ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-შვედეთი. აშშ (LIVE).
**20:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:15** ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-შვედეთი. აშშ (LIVE).
**21:00** ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (მოკლე აუზი). I დღე. მანჩესტერი. ბრიტანეთი.
**22:00** ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (მოკლე აუზი). I დღე. ფინალები. მანჩესტერი. ბრიტანეთი (LIVE).
**00:00** მულტისპორტი.
**00:10** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**00:15** გოლფი. PGA-ს ტური.
**01:15** გოლფი. ევროპის ტური.
**01:45** გოლფ-კლუბი.
**01:50** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**01:55** მულტისპორტი.
**02:00** კიკ-ბოქსინგი.

#### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. კოლორადო-როჩესტერი.
**13:00** არენა ფეხბურთი. რეგულარული სეზონი. ორლანდო-ჩიკაგო.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. ბეშიქთაში (თურქეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი).
**17:00** ბილიარდი.
**18:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ლუქსემბურგი.
**21:00** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** კალათბურთი. ULEB-ის თასი. ტელეჟურნალი.
**22:30** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი.
**00:00** კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. ხირონა (ესპანეთი)-ჰემოფარმი (სერბეთი).
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** კალათბურთი. ULEB-ის თასი. ტელეჟურნალი.
**01:45** ექსტრემალური სპორტი.
**02:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ინგლისი

**ვესტ ჰემი-პორტსმუთი 0:1**

ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, სპექტორი, ა. ფერდინანდი, მაკარტნი, სოლანო (82. პანტსილი), მულინზი (73. კ. კოული), პარკერი, ბოა მორტე, ეშტონი, ზამორა (58. სირსი).

პორტსმუთი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, დისტენი, ს. კემპბელი, ჰრეიდარსონი, დიოპი, მიგელ მენდეში (82. რ. ჰიუზი), მუნტარი, მვუემბა, ნაჯენტი (73. კანუ), კრანჩარი.

გოლი: 0:1 კრანჩარი (61)

გაფრთხილება: 0-0; დარტყმა: 10(8)-18(9); კუთხური: 7-4; ჯარიმა: 16-11; ბურთის ფლობა: 57%-43%

მაყურებელი: 33 629

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ | 33 | 24 | 5 | 4 | 70-17 | 77 |
| 2. ჩელსი | 33 | 22 | 8 | 3 | 58-23 | 74 |
| 3. არსენალი | 33 | 20 | 11 | 2 | 63-27 | 71 |
| 4. ლივერპული | 33 | 17 | 12 | 4 | 57-25 | 63 |
| 5. ევერტონი | 33 | 18 | 6 | 9 | 49-27 | 60 |
| 6. პორტსმუთი | 33 | 16 | 8 | 9 | 47-33 | 56 |
| 7. ასტონ ვილა | 33 | 14 | 10 | 9 | 56-44 | 52 |
| 8. ბლექბერნი | 33 | 13 | 12 | 8 | 43-39 | 51 |
| 9. მანჩესტერ სიტი | 33 | 13 | 10 | 10 | 37-39 | 49 |
| 10. ვესტ ჰემი | 33 | 12 | 8 | 13 | 35-40 | 44 |
| 11. ტოტენჰემი | 33 | 10 | 10 | 13 | 62-56 | 40 |
| 12. ნიუკასლი | 33 | 10 | 8 | 15 | 40-58 | 38 |
| 13. სანდერლენდი | 33 | 10 | 6 | 17 | 32-50 | 36 |
| 14. მიდლსბრო | 33 | 8 | 11 | 14 | 30-47 | 35 |
| 15. ვიგანი | 33 | 9 | 7 | 17 | 30-47 | 34 |
| 16. რედინგი | 33 | 9 | 5 | 19 | 37-61 | 32 |
| 17. ბირმინგემი | 33 | 7 | 9 | 17 | 38-51 | 30 |
| 18. ბოლტონი | 33 | 6 | 8 | 19 | 30-52 | 26 |
| 19. ფულჰემი | 33 | 4 | 12 | 17 | 30-56 | 24 |
| 20. დერბი | 33 | 1 | 8 | 24 | 16-68 | 11 |

#### ჩემპიონატი

ბლეკპული-ვესტ ბრომვიჩი 1:3
შეფილდი-უენსდი 2:2

#### I ლიგა

კარლაილი-სუონსი 0:0
ნოტინგემი-როვერსი 1:1
საუთენდი-ბრაიტონი 2:0

#### II ლიგა

ბრედფორდი-ბარნეტი 1:1
მილტონი-რექსჰემი 4:1
მორეკამბი-შრიუსბერი 1:1
როჩდეილი-ნოტსი 4:2

#### კონფერენსი

ბარტონი-ალტრინჩემი 2:1
გრავესენდი-ალდერშოტი 2:2
ფარსლი-დროილსდენი 1:2
ჰალიფაქსი-კიდერმინსტერი 1:6
ჰისტონი-ქროული 3:0
ნორთვიჩი-ფორესტ გრინი 1:1
რაშდენი-კემბრიჯი 1:2
სალისბერი-ექსეტერი 2:0
სტეფორდი-იორკი 0:4
ტორკი-ოქსფორდი 3:2
უეიმაუთი-გრეისი 1:1
უოკინგი-სტივენეიჯი 0:2

#### შოტლანდია

##### I დივიზიონი

პარტიკი-სტირლინგი 1:0

##### III დივიზიონი

დამბარტონი-ფორფარი 0:0

#### უელსი

რილი-ტნს 0:1

#### პოლონეთის თასი

რუხი-გროცლინი 1:1

#### სლოვაკეთის თასი

კოშიცე-ტრნავა 0:0
ჟილინა-არტმედია 0:1

#### უნგრეთის თასი

დებრეცენი-ინტეგრალი 6:0

### ჰოკეი

#### გერმანია

დიუსელდორფი-აისბარენი 5:1
ფრანქფურტი-კიოლნი 4:3

#### ჩეხეთი

კარლოვი ვარი-სლავია 3:4

#### შვეიცარია

ჟენევა-ციურიხი 2:2

### ჩოგბურთი

#### WTA. ამელია აილენდი

კრისტეა-მატეკი 6:3, 2:6, 6:4
ციბულკოვა-როდიონოვა 6:3, 7:5
ვოზნიაჩკი-პარმენტიე 6:3, 6:1
აზარენკა-ერანი 3:6, 7:5, 6:4
გალოვიტცი-დულკო 5:7, 2:6
შავაი-მაკაროვა 6:4, 6:1
ვესნინა-სეკერა 7:6, 6:0
მედინა გარიგესი-ჩინკი 3:6, 6:3, 6:4
დავენპორტი-კინგი 6:2, 6:3
სუგიამა-შპრემი 4:6, 6:7
სრებოტნიკი-ჩანი 6:4, 6:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემსა და ჯოკოვიჩს შორის არაფერი ხდება




გასულ კვირას ეროვნულ საჩოგბურთო ასოციაციებს ოლიმპიური განაცხადების წარდგენის ვადა ამოეწურათ. პეკინის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირის სავარაუდო მონაწილეთა რიგებში რუსი მარია შარაპოვაც მოხვდა, რომლის ბავშვობის ოცნებაც, თურმე, ოლიმპიადაზე გამოსვლა ყოფილა.

სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, მარიას გუნდის წევრები მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ ჩოგბურთელს თავი შეეკავებინა პეკინში გამგზავრებაზე. შარაპოვას მწვრთნელ მაიკლ ჯოისისა და აგენტ მაქს აიზენბადის აზრით, შუა სეზონში ოლიმპიადაზე გამოსვლა, რუსის გრაფიკს არევს და მარიას სეზონის პირველი ჩოგბურთელის რანგში დასრულების საშუალებას არ მისცემს.

*„რაში გჭირდება ეს ოლიმპიადა, თუ ის სარეიტინგო ქულებს არ მოგიტანს?! პეკინში საშინელი სიცხე იქნება, შეიძლება მხარის ძველი ტრავმა გაგიმიზეზდეს. დასვენებას ვერ მოასწრებ, რადგან ერთ კვირაში, ნიუ იორკში აშშ-ის ღია პირველობა დაიწყება, რომელიც აუცილებლად უნდა მოიგო. დაფიქრდი მაშა, მე ხომ შენზე ვზრუნავ",* - უჩიჩინებდა შარაპოვას აიზენბადი, მაგრამ როგორც ჩანს, ვერაფერს გახდა, რადგან მარიას სერიოზულად აქვს განზრახული პეკინში გამგზავრება.

**მარია, როგორც ჩანს, თქვენ არ აპირებთ მიბაძოთ ენდი როდიკს, რომელმაც უარი თქვა პეკინის თამაშებში მონაწილეობაზე. ამერიკელის თქმით, ოლიმპიადაზე გამოსვლა აშშ-ის ღია პირველობისთვის მზადებაში შეუშლის ხელს...**

- ამერიკის ჩემპიონატი ყოველ წელს ტარდება, ოლიმპიადა - ოთხ წელიწადში ერთხელ. და მე ბავშვობიდან ვოცნებობდი ამ უდიდეს სპორტულ ფორუმზე გამოსვლას. ეს ხომ შესანიშნავია - შეიგრძნო ოლიმპიური სული! მინდა, გახსნის ცერემონიაზე მთელს ოლიმპიურ გუნდთან ერთად სარბენ ბილიკზე გავიდე, რათა ათასობით გულშემატკივრის აპლოდისმენტები მოვისმინო. ასეთ რამეს, სხვაგან ვერ იგრძნობ.

**- ცოტათი გასაკვირია თქვენი მხრიდან გუნდური სულის შესახებ საუბარი. ბევრი შეეჩვია იმ აზრს, რომ მარია ყოველთვის მარტო, სხვებისგან განცალკევებულად დგას.**

- გუნდურობის გრძნობა ფედერაციის თასზე ისრაელთან მატჩის დროს გამიჩნდა. ჩავფრინდით ამ ქვეყანაში და რაღაც უზარმაზარი ქარიშხლის ეპიცენტრში მოვექეცით. სანამ სტიქია მძვინვარებდა, სასტუმროს ნომერში ვიჯექი. თანაგუნდელებს სადილზე ვხვდებოდი, ბევრ რამეზე ვსაუბრობდით. შემდეგ იყო ათასობით გულშემატკივრის წინაშე გამართული ორი არანორმალური მატჩი. იქაური ფანები ერთი წამითაც არ გაჩერებულან. ასეთ პირობებში არასოდეს ვყოფილვარ. და მათ გასაჩუმებლად, ორმაგი ენერგიით ვთამაშობდი. შესანიშნავი გრძნობა იყო.

**- შარშანდელისგან განსხვავებით, წლევანდელი სეზონი თქვენთვის განსაკუთრებულად წარმატებით მიმდინარეობს. გამარჯვება ავსტრალიის ღია პირველობაზე, დოჰას სუპერტურნირზე, 18-მატჩიანი მოგებათა სერია... თქვენმა მწვრთნელმა მაიკლ ჯოისმა გასაღები მოგარგოთ?**

- ის თავად თამაშობდა ჩოგბურთს, სპორტის ამ სახეობაში ბევრი რამ უნახავს და იცის, როგორ გამოვიდეს სხვადასხვა რთული სიტუაციებიდან. ის ხშირად მეუბნება: "არ შეიძლება ყოველდღე მწვერვალზე იყო, არ უნდა გაგიკვირდეს, რომ ხანდახან ჩავარდნაც გექნება". როდესაც ინდიან უელსზე სვეტლანა კუზნეცოვასთან წავაგე, სწორედ ასეთ ჩავარდნას ჰქონდა ადგილი. როცა ფიზიკური მდგომარეობა აღარ მაძლევს წარმატების მიღწევის საშუალებას, სწორედ მაშინ უნდა მოვიშველიო ჩემი მწვრთნელის სიტყვები. ჯოისი იმასაც მეუბნება, რომ ბევრი შემიძლია და ესეც სასარგებლო სიტყვებია - საკუთარი თავისადმი რწმენა მემატება. თუმცა ჩემს ჩოგბურთს სრულყოფამდე ჯერ ბევრი უკლია. გარდა ამისა, კორტზე დაშვებული შეცდომების შემდეგ, რთულია ისევ თამაშში შესვლა, ამ დროს საკუთარ თავს ძალა უნდა დაატანო.

**- არ გღლით შედეგისთვის გამუდმებული რბოლა?**

- როგორ უნდა დავიღალო? მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვიყავი და ვიცი, როგორ უნდა გავუმკლავდე დაძაბულობას. დეპრესიისადმი მიდრეკილება არ მაქვს, ყოველთვის ბოლომდე ვიბრძვი და ყურების ჩამოყრაც არ მახასიათებს. სპორტი ბრძოლის, კონკურენციისა და დაძაბულობის გამო მიყვარს. ამის გარეშე თამაში არ გამომივა. რა თქმა უნდა, ამაში ასაკიც მიწყობს ხელს - ამ დროს ყველაფერი ალმავალია. მაგრამ გასული წელი ძალიან რთული იყო - ტრავმებმა გამაწამეს. რაღაც მომენტში, ყველაფრისადმი იმედგაცრუება ვიგრძენი. მაგრამ თუ შენ გაქვს იმის უნარი, რომ ამ ყველაფრიდან გაკვეთილი მიიღო, ეს მხოლოდ სარგებლობას მოგიტანს. უფრო ძლიერი გავხდი, მეტად ვაფასებ იმას, რაც მაქვს. როცა ურთულესი გამარჯვების შემდეგ კორტს ვტოვებ, ვხვდები, რომ წინა რთულ პერიოდებს უკვალოდ არ ჩაუვლია. უფრო გამობრძმედილი გავხდი.

**- რელაქსაციისთვის რას აკეთებთ ხოლმე?**

- უპირატესობას სადილის შემდეგ ძილს ვანიჭებ. ზედმეტი ერთი საათი ძილი ჩემთვის განსაკუთრებული სიამოვნებაა.

**- კითხვა გიყვართ?**

- ამისთვის დიდი დრო არ მრჩება ხოლმე. თვითმფრინავებში ვკითხულობ მსუბუქ ლიტერატურას - ისეთ რომანებს, რომელიც მეორე დღეს გავიწყდება ხოლმე. მაგრამ ამასთან, სერიოზულად ვსწავლობ ჩერნობილის თემას რადგან გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის რანგში ამ რეგიონს ვეხმარები. ტერიტორიის აღდგენის ბევრი პროექტი არსებობს. ბოლო ნახევარი წელია ვეცნობი სხვადასხვა ვარიანტებს და ვცდილობ, საკუთარი დასკვნები გავაკეთო. ეს ჩემთვის საშინაო დავალებასავითაა.

**- დღეს ბევრს საუბრობენ თქვენს სიმპათიებზე ATP-ის ახალი ვარსკვლავის, ნოვაკ ჯოკოვიჩის მიმართ...**

- ჯოკოვიჩი ჯეი ლენოს თოქ-შოუში მიიწვიეს და სწორედ მაშინ ჰკითხეს პირველად ჩვენი ურთიერთობების შესახებ. პირველმა სწორედ ნოვაკმა გამაფრთხილა, რომ ჩვენზე ასეთი ჭორები ვრცელდება.

**- ნოვაკს თქვენი პაროდირება უყვარს. ამას იუმორით უყურებთ?**

- ავსტრალიის ღია პირველობაზე ვნახე, როგორ გააკეთა ეს ათასობით გულშემატკივრის წინაშე. მაგალითად, დედაჩემს ძალიან მოეწონა. საერთოდ, ნოვაკი ძალიან მხიარული ადამიანია, უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, მაყურებლების გართობა - კორტზე ყოველთვის რაღაც სასაცილოს მოიგონებს ხოლმე. ცხოვრებას მარტივად უყურებს, მაგრამ ამავდროულად, ასეთი შრომისმოყვარე ადამიანი ძნელად მოიძებნება. ძალიან ბევრს ვარჯიშობს და ეს დაუფასდა კიდეც ავსტრალიის ღია პირველობის მოგებით. დარწმუნებული ვარ, მომავალში კიდევ უფრო დიდი წარმატებები ელის.

**- ცნობილია, რომ ჯოკოვიჩი და მარატ საფინი ATP-ის ტურში ცნობილი ხუმარები არიან. ვინ ვის ჯობნის ამ მხრივ?**

- იუმორის განსხვავებული გრძნობა აქვთ. ნოვაკი არ ჩერდება და ხუმრობას ხუმრობაზე უშვებს, საფინს კი, შეუძლია დიდხანს ჩუმად იყოს, მაგრამ შემდეგ ერთი ფრაზა თქვას და ყველა ძირს დააწვინოს. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ სამივენი ერთად ვვარჯიშობდით და კორტზე სიცილი ერთი წამითაც არ შეწყვეტილა.

**- მხიარული კომპანია გყვარებიათ. სხვათა შორის, უკვე გადაწყვიტეთ, სად იცხოვრებთ პეკინის ოლიმპიადის დროს?**

- ოლიმპიურ სოფელში, დანარჩენ სპორტსმენებთან ერთად, ანუ რუსეთის ოლიმპიური გუნდის ერთი უბრალო წევრი ვიქნები. თამაშები სხვა სპორტის სახეობების წარმომადგენლებთან ურთიერთობის საშუალებას იძლევა და გამიგია, რომ იქ შეძენილი მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გაგაყვება. ოლიმპიურ სოფელში ნომერი ორ ადამიანზეა გათვლილი და იქ არანაირი მკაცრი რეჟიმი არ არსებობს. სამაგიეროდ, 24-საათიანი კვება და მრავალფეროვანი სამზარეულოა, ასე რომ, საკუთარი თავი უნდა ვაკონტროლო და ცდუნებას უნდა გავუმკლავდე.

**- ცეკვა გიყვართ? ზოგიერთმა საჩოგბურთო ვარსკვლავმა, მაგალითად მონიკა სელეშმა, წელს "ვარსკვლავებთან ცეკვის" პროექტში მიიღო მონაწილეობა. იქნებ თქვენც გეცადათ?**

- დედას ბავშვობაში ბალეტზე დავყავდი. რა თქმა უნდა, ცეკვა მიყვარს, ოღონდ არა პუბლიკის თანდასწრებით. ამიტომაც, არ მგონია, საცეკვაო პროექტში მონაწილეობას დავთანხმდე მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ შენზე გულიანად იცინოს. ცეკვა სერიოზულ ვარჯიშებს მოითხოვს და ამასთან, მე ყველგან გამარჯვება მსურს. ეს კი პარკეტზე და კორტზე ერთდროულად არ გამომივა.

**- ტურნირებზე ყოველთვის თავშეკავებულობის მაგალითს წარმოადგენთ...**

- ეს ტოპ-სპორტსმენების თვისებაა. ხანდახან თავს ნერვიულობის უფლებას ვაძლევთ, მაგრამ შეგვიძლია ამ მღელვარებას გავუმკლავდეთ. ამიტომაც ვართ ლიდერები. რა თქმა უნდა, ჩავარდნები მაქვს, როგორც სხვებს. მაგრამ ყოველთვის გვერდით მიდგას ოჯახი, ჩემი გუნდი. წინ დიდი და გრძელი კარიერა მელის და ის უნარიანად უნდა წარვმართო. კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ დღეს შეიძლება სულ სხვა სიტუაციაში ვყოფილიყავი და სულ სხვა საქმე მეკეთებინა, მაგრამ ბედმა ისე გადაწყვიტა, რომ ჩემი თავის რეალიზება კორტზე უნდა მომეხდინა. ეს არის ჩემი ცხოვრება და ამის გამო, ბედნიერი ვარ.

**გია თვალაბეიშვილი**